

**ბიზნესის
ტექნოლოგიური
გარემო
საქართველოში
და
ეფსაორტის
კონკურენტუნარიანობა**



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
საერთაშორისო ბიზნესის კათედრა

**ბიზნესის ტექნოლოგიური
ბარემო საქართველოში
და
ექსპორტის
კონკურენტუნარიანობა**



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

ავტორთა კოლექტივი:

ჭ იაშა მესხია
შოთა შაბურიშვილი
ლარისა ყორღანაშვილი
ლეილა ქადაგიშვილი
დავით სიხარულიძე
ვახტანგ ჭარაია
ოთარ ანგურიძე

ეკა მაღლაფერიძე – ინფორმაციის მოძიება და ტექნიკური მხარდაჭერა

რედაქტორი:

ჭ იაშა მესხია – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საერთაშორისო ბიზნესის კათედრის ხელმძღვანელი

რეცენზენტები:

რამაზ ფუტყარაძე – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ვასილ კიკუტაძე – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

მონოგრაფია შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ფინანსური უზრუნველყოფით.

პროექტი: „ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო საქართველოში და მისი გავლენა ექსპორტის გლობალურ კონკურენტუნარიანობაზე“

პროექტის ძირითადი აკადემიური პერსონალი (პროფესორები):

- **იაშა მესხია** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
– სამეცნიერო ხელმძღვანელი;
- **ლარისა ყორღანაშვილი** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
– უფროსი მკვლევარი;
- **შოთა შაბურიშვილი** – ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი – მკვლევარი;
- **დავით სიხარულიძე** – ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი – მკვლევარი;
- **ლეილა ქადაგიშვილი** – ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი – მკვლევარი;

პროექტის დამხმარე პერსონალი (სტუდენტები):

- **ვახტანგ ჭარაია** – დოქტორანტი (ამჟამად ეკონომიკის დოქტორი)
– ინფორმაციის მოძიება და ანალიზი;
- **ოთარ ანგურიძე** – დოქტორანტი – ინფორმაციის მოძიება და ანალიზი;
- **ეკა მაღლაფერიძე** – ბაკალავრიატის სტუდენტი
– ინფორმაციის მოძიება და ტექნიკური მხარდაჭერა.

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016

ISBN 978-9941-13-578-1

შინაარსი

შესავალი <i>(იაშა მესხია)</i>	7
თავი 1. ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს არსი და სტრუქტურა <i>(შოთა შაბურიშვილი)</i>	13
თავი 2. ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები <i>(ლარისა ყორღანაშვილი)</i>	26
თავი 3. ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს სტატიკური პარამეტრების მახასიათებლები საქართველოში <i>(ლელია ქადაგიშვილი)</i>	44
თავი 4. ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს დინამიკური პარამეტრების მახასიათებლები საქართველოში <i>(ლარისა ყორღანაშვილი)</i>	68
თავი 5. კონკურენტუნარიანობის კონცეფცია და საქართველოს საგარეო ვაჭრობა <i>(ლარისა ყორღანაშვილი)</i>	94
თავი 6. ინოვაციების გავლენა ექსპორტის კონკურენტუნარიანობაზე <i>(დავით სიხარულიძე)</i>	130
თავი 7. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ტექნოლოგიური ტრანსფერი <i>(ვახტანგ ჭარაია)</i>	155
თავი 8. ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო და მწვანე ეკონომიკის კონცეფცია <i>(ოთარ ანგურიძე)</i>	171
დასკვნები <i>(იაშა მესხია)</i>	179

შესავალი

პროექტის აქტუალურობა. მსოფლიო გლობალიზაციისა და ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება დღის წესრიგში ბიზნესის სწრაფი ტემპებით განვითარების ამოცანას აყენებს. ეკონომიკური საზღვრების გახსნილობამ, საბაჟო და საგადასახადო რეჟიმების ლიბერალიზაციამ თანამედროვე ბიზნესი მთლიანად მოაქცია კონკურენტული ძალების ზემოქმედების ქვეშ. ეს ობიექტური და პრაქტიკული რეალობა გახდა გამომდინარე იქიდან, რომ კონკურენციამ საერთაშორისო, გლობალური ხასიათი მიიღო და, შესაბამისად, ღია ეკონომიკის პირობებში არაკონკურენტუნარიანი საქონლისა და მომსახურების წარმოებამ აზრი დაკარგა. დღეს იაფი და ხარისხიანი საქონლის დამზადება ბიზნესის განვითარების მთავარი კრიტერიუმია. ამისათვის კი საჭიროა შესაბამისი წარმოების ფაქტორების ერთმანეთთან ისეთი შეერთება, რომ მინიმალური დანახარჯებით მიღებულ იქნას მაქსიმალური ეფექტი. ეს უკანასკნელი კი დამოკიდებულია იმ გარემოზე, სადაც ბიზნესს საქმიანობა პრაქტიკულად უხდება.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო გლობალიზაციის გაღრმავების კვალდაკვალ მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების როლი სულ უფრო იზრდება, რადგან მათი საშუალებით მაღალი შრომის მწარმოებლურობა და კონკურენტუნარიანი საქონლისა და მომსახურების წარმოება მიიღწევა.

ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს ეკონომიკამ სერიოზული ტრანსფორმაცია განიცადა, მისი დარგობრივი სტრუქტურა არსებითად შეიცვალა, ტექნიკასა და ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რეალური სექტორი მოიმაღლა. ამასთან, პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოსათვის დამახასიათებელია განვითარების ინერციული მოდელი, რომელმაც თავისი შესამლებლობები მთლიანად ამოწურა. აღნიშნულის გამო ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და კონკურენტუნარიანი ეროვნული ეკონომიკის ფორმირებისათვის აუცილებელია განვითარების ინოვაციურ მოდელზე გადასვლა.

დღეს ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება, ინტელექტუალური პოტენციალის რაციონალური გამოყენება ყველა დონის ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი ფაქტორი ხდება. ამ მიმართულებით უკანასკნელ წლებში მიღწეული გარკვეული წარმატებების მიუხედავად, ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით, საქართველოს სერიოზული პრობლემები აქვს. დღემდე ქვეყანაში ბიზნესისათვის მასტიმულირებელი ტექნოლოგიური გარემოს ფორმირებას, ახალ ტექნოლოგიურ მიღწევებზე დაფუძნებული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა. უფრო მეტიც, განვითარების ინოვაციურ მოდელზე გადასვლა სახელმწიფოს სტრატეგიულ მიმართულებას არ წარმოადგენდა, რაც გარკვეულწილად ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი გახდა. როგორც „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – საქართველო 2020“-ის დოკუმენტშია აღნიშნული, უკანასკნელ წლებში საქართველოში გატარებული რეფორმები „არ აღმოჩნდა საკმარისი მწარმოებლურობის, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის და, შესაბამისად, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის საფუძვლის შესაქმნელად. მწარმოებლურობის ზრდა ყველაზე ნაკლებად შეეხო მრეწველობას, შესაბამისად, მეტად გაიზარდა ეკონომიკის სხვა სექტორები. მრეწველობის განვითარების დონე და მისი საექსპორტო პოტენციალი კვლავ დაბალია. ექსპორტი არადივერსიფიცირებულია, დაბალია მისი დამატებული ღირებულება, სუსტია ახალ ბაზრებზე შეღწევის და დამკვიდრების მაჩვენებლები. ასევე, ამის შედეგია დასაქმების ზრდის ძალზე დაბალი ტემპი. ეს ნათლად აჩვენებს, რომ ქვეყნის ეკონომიკის და კერძო სექტორის, როგორც მისი ძირითადი მამოძრავებელი კომპონენტის, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა სუსტია.“¹

„საქართველო 2020“-ის სტრატეგიის სამოქმედო პროგრამის ძირითადი ამოცანაა, აღმოფხვრას ის ბარიერები, რომლებიც აფერხებს კერძო სექტორის მწარმოებლურობის და, შესაბამისად, მისი კონკურენტუნარიანობის სტაბილურ ზრდას,“ რაც, ფაქტობრივად, ქვეყნის ტექნოლოგიური

¹ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. „საქართველო-2020“, საქართველოს მთავრობა, ნოემბერი, 2013.

გარემოს განვითარებისა და ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ამაღლების გარეშე შეუძლებელია. არადამაკმაყოფილებელია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დონე, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინოვაციების განხორციელებისთვის.

დღევანდელ საქართველოში ბიზნესის ტექნოლოგიური და ინოვაციური გარემოს დაბალი დონე დიდწილად განაპირობებს ექსპორტის დაბალ კონკურენტუნარიანობას და ახალ საერთაშორისო ბაზრებზე დამკვიდრების სირთულეს, რაც, თავის მხრივ, აღნიშნული პრობლემის კვლევის აქტუალურობის ხარისხს ზრდის.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის ძირითადი მიზანია თანამედროვე საქართველოს ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს კომპლექსური ანალიზისა და შეფასების საფუძველზე ქვეყნის საექსპორტო კონკურენტუნარიანობის ზრდის პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენა და ამ მიმართულებით მდგომარეობის გაუმჯობესების კონკრეტული წინადადებების შემუშავება.

კვლევის მთავარი ამოცანებია:

- ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს არსის, სტრუქტურის და ძირითადი კომპონენტების გამოკვლევა;
- ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების ანალიზი, შეფასება და განზოგადება;
- ბუნებრივი რესურსების და გეოპოლიტიკური გარემოს, როგორც ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს, სტატიკური პარამეტრების ანალიზი;
- საქართველოში ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს დინამიკური პარამეტრების მახასიათებლების ანალიზი და შეფასება;
- კონკურენტუნარიანობაზე ინოვაციებისა და ტექნოლოგიური სიახლეების გავლენის გამოკვლევა;
- ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს ფორმირებაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლის განსაზღვრა;
- საგარეო ვაჭრობის ზრდაზე კონკურენტუნარიანობის ამაღლების გავლენის გამოკვლევა;

- ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოსა და მწვანე ეკონომიკის კონცეფციის ურთიერთკავშირის ანალიზი;
- ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს განვითარების, ექსპორტის გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიმართულებით კონკრეტული წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები. კვლევის საინფორმაციო და მეთოდოლოგიურ ბაზას წარმოადგენს პროექტის თემატიკაზე გამოქვეყნებული ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები, სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციების სტატისტიკური და სხვა მასალები. ტექნოლოგიური გარემოს შეფასება ეფუძნება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, ფორუმებისა და ინსტიტუტების მიერ შემუშავებულ ინდექსებს და რეიტინგებს (გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, ცოდნის ეკონომიკის ინდექსი, გლობალური ინოვაციური ინდექსი და ა. შ.).

კვლევის პროცესში გამოყენებულია SWOT-ანალიზის, ანალიზის, ინდექსების და დედექსების, დიაგნოსტიკების, შედარების, მოდელირების და სხვა მეთოდები.

კვლევის შედეგები და მათი გამოყენება. კვლევის შედეგად გაანალიზებული და შეფასებულია საქართველოში ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს თანამედროვე მდგომარეობის ძლიერი და სუსტი მხარეები, ექსპორტის გლობალური კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები და პირობები, დამდგარი და მოსალოდნელი საფრთხეები, შემუშავებულია რეკომენდაციები და წინადადებები საქართველოს ექსპორტის გლობალური კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. ყოველივე ეს უახლესი ტექნოლოგიების ტრანსფერის გაზრდას და მათ პრაქტიკაში დანერგვას ხელს შეუწყობს, სამეცნიერო წრეებს და ბიზნესს შორის კავშირების გამყარებას, ბიზნესის კრეატიულობის დონის ამაღლებას, საექსპორტო პროდუქტის დივერსიფიკაციას, ქართული კომპანიების ახალ ბაზრებზე შეღწევისა და დამკვიდრებას.

კვლევის შედეგები ნაწილობრივ გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. **Meskhia I., Shaburishvili S.**, Basics of research of the technological environment of business, Scientific Journal of the University of Natural Sciences and Humanities. Series: Administration and Management. N 107, Siedlce, 2015. pp.117-125.
2. **შაბურიშვილი შ., ქადაგიშვილი ლ.**, ტექნოლოგიური გარემოს ძირითადი პარამეტრები თანამედროვე ბიზნესში. თსუ, პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში“, თბილისი, 23-24 ოქტომბერი 2015; გვ. 337-343.
3. **Korganashvili L.**, Georgia's foreign trade in the changing business environment.Proceedings of 16th International Joint Conference: Central and Eastern Europe in the Changing Business Environment. May 27, 2016, Prague, Czech Republic and Bratislava, Slovakia. Published by: Oeconomica Publishing House, University of Economics, Prague, 2016, pp. 246-257
4. **Korganashvili L.**, International competitiveness as a factor of development of Georgia in the conditions of globalization. 2-nd International congress on economics, finance and energy(EFE 2016) “Political stability and economic development” Almaty, 16-18 May 2016, Eurasian Research Institute. Almaty, Kazakhstan, 2016, pp. 60-61.
5. Korganashvili L., Georgia's prospects in the global market of tourist services. **International Business Conference 2016: Searching for Innovative and Creative Business Solutions.**Publisher: Vilniauskolegija, Lithuania, 2016, pp. 381-389.
6. Korganashvili L., Human Resource Development of Georgia within the Framework of the KnowledgeEconomy.International Scientific Conference “Management Challenges in the 21st Century: 2015. **HR Trends and Challenges: How to Succeed in Turbulent Times**”. Conference Proceedings. **School of Management.** Bratislava, 2015.

7. **Kadagishvili L.**, (2016), Development Prospects for Transit Potential of Georgia, US-China Law Review, David Publishing Company, Vol:13, No.7, p.513–522.
8. **Kadagishvili, L.**, (2016, May). Development Prospects for Transit Potential of Georgia. In Proceedings of International Academic Conferences (No. 3606253). International Institute of Social and Economic Sciences.
9. **Kadagishvili L.**, Geoeconomic location of Georgia: reality and perspectives, materials of II international scientific conference “Features of country's integration into the world economic, political and legal space”, Ukraine, 04 December 2015, pp. 33-34.
10. **Maghlaperidze E.**, Technological Environment of International Business, XV International scientific conference for students, post-graduates and young scientists “Problems of socio-economic systems in the global and national economics”, Ukraine, 2015. pp. 119-121.

კვლევის შედეგები სასარგებლო იქნება აღნიშნული პრობლემატიკით დაინტერესებული სახელმწიფო და ბიზნეს-სტრუქტურებისათვის, სამეცნიერო და აკადემიური წრეებისათვის.

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესის კათედრაზე.

თავი 1.

ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს არსი და სტრუქტურა

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციაზე დაფუძნებულმა უწყვეტმა და პროგრესულმა ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა საყოველთაო სახე მიიღო. ეს უკანასკნელი თანდათანობით სპობს ტრადიციულ განსხვავებას დაბალ და მაღალტექნოლოგიურ დარგებს შორის და ქვეყნის განვითარების საერთო ვექტორს სტატიკური, დროებითი შეფარდებითი უპირატესობიდან ინოვაციებზე დაფუძნებული, დინამიკური, კონკურენტული უპირატესობისაკენ მიმართავს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქვეყნის ტექნოლოგიური გარემო, მისი კონკურენტული უპირატესობის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი რესურსი ხდება, რომლის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების კეთილდღეობის არსებითად და მაღალი ტემპებით ზრდა.

რა არის ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო? რომელი ცვლადებით განისაზღვრება იგი? როგორია ქვეყნის ტექნოლოგიური გარემოს ზემოქმედება ბიზნესის განვითარებაზე და მის მენეჯმენტზე? ამ და სხვა მომიჯნავე კითხვებზე პასუხის მოლოდინშია მეწარმეთა დიდი ნაწილი, რომელთაც საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის ან ადგილობრივ მეწარმეებთან ერთობლივი პროექტების განხორციელების სურვილი ამოდრავებთ. საერთაშორისო კომპანიების საქმიანობის თითქმის ყველა ასპექტი, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, საწარმოო ოპერაციების განხორციელება, მარკეტინგულ ქცევებზე გადაწყვეტილების მიღება, ასევე, ადამიანური რესურსების მწარმოებლურობა, ტექნოლოგიური გარემოს ცვლადების მნიშვნელოვან ზემოქმედებას განიცდის.

ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს კვლევის მნიშვნელობა. ტექნოლოგიური ცვლადების გავლენას ბიზნესპროცესებსა და წარმოების საბოლოო შედეგებზე საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე აქტუალურ საკითხთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. გლობალურ დონეზე

ბიზნესის მენეჯმენტში უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებისა და მათი სწორად მართვის გარეშე წარმატების მიღწევა შეუძლებელია. სწორედ ამიტომ უკანასკნელ წლებში მკვლევრები ბიზნესის განვითარებაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და ტექნოლოგიების მნიშვნელობას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ. ჩვენი აზრით, ეს XX საუკუნის 90-იან წლებში მსოფლიოში დაწყებულ ელექტრონული ბიზნესის ბუმს უკავშირდება, ასევე, თანამედროვე ეკონომიკურ აზროვნებაში მყარად ფესვგადგმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესზე დაფუძნებული მწარმოებლურობის ზრდა კომპანიების კონკურენტუნარიანობისა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების უზრუნველყოფის საქმეში უმთავრესი ფაქტორია.

ტექნოლოგიური გარემოს ცვლადების საფუძვლიანი ანალიზი და საერთაშორისო ბიზნესის კვლევებში ინკორპორირება განსაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე საქართველოსათვის, რომელიც გლობალური ბიზნესის სივრცეში სრულფასოვან და კონკურენტუნარიან სუბიექტად ინტეგრირებას ცდილობს. ამ მიმართულებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ქვეყნის ორიენტაცია საერთაშორისო საქმიანი ურთიერთობების დივერსიფიკაციაზე, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება. საგარეო ფაქტორი ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობად მიიჩნევა. ამ თვალსაზრისით კი პრიორიტეტულია საქართველოში ტექნოლოგიური გარემოს არსებული მდგომარეობის შესწავლა, ანალიზი, შეფასება და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება პოტენციური უცხოელი პარტნიორებისათვის, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, მსოფლიო ბაზარზე საქმიანობის დიდი გამოცდილების მქონე მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიები არიან.

ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს არსის გაგება. ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს კვლევის მნიშვნელოვანი ამოსავალი კომპონენტია მისი არსის და მასზე მოქმედი ცვლადების დაზუსტება. ამ მიზნით, უპირველეს ყოვლისა, მიზანშეწონილია, გავანალიზოთ სხვადასხვა მკვლევრისა და სამეცნიერო ცენტრების მიერ ჩამოყალიბებული შეხედულებები ტექნოლოგიური ფაქტორების და ბიზნესის ურთიერთქმედების შესახებ.

სამეცნიერო წყაროებში ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს უამრავი განმარტება არსებობს. ოქსფორდის სასწავლო ლაბორატორიის განმარტებით, ტექნოლოგიურ გარემოს მიეკუთვნება ახალი გამოგონებები, ცვლილებები საინფორმაციო და მობილურ ტექნოლოგიებში, სიახლეები ინტერნეტსა და ელექტრონულ კომერციაში, მთავრობის მიერ კვლევებზე გაწეული დანახარჯები [1].

ტექნოლოგიური ფაქტორების ჯგუფი ასახავს საზოგადოების ან დარგის სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების დონეს, რომელიც განსაზღვრავს საწარმოს ტექნიკური სისტემის პროექტირებისა და შექმნის შესაძლებლობებს. ამიტომ, ამ ფაქტორებს შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კვლევებისა და ახალი გამოგონებების ანალიზი, საწარმოსათვის საინტერესო პროგრესული ცვლილებების გამოვლენა. ყველაფერი ეს, საბოლოო ანგარიშით, განსაზღვრავს კომპანიის შესაძლებლობას, სხვებზე სწრაფად გამოიყენოს ახალი ტექნოლოგიები და პროდუქტები, რასაც, როგორც წესი, მივყავართ ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებამდე [2, А.Г. Поршнева, З.П. Румянцевой, Н.А. Саломатина (2009), გვ.28].

საკონსულტაციო ინტერნეტპორტალ “PESTLE ANALYSIS”-ის განმარტებით, ტექნოლოგიური გარემოს ფაქტორებს მიეკუთვნება ინოვაციები ტექნოლოგიებში, რომელსაც შეუძლია დადებითი ან უარყოფითი გავლენა მოახდინოს დარგზე და ბაზარზე. ესენია – ავტომატიზაცია, კვლევა და განვითარება, ასევე, ბაზრის ტექნოლოგიური გაცნობიერების დონე [3].

ინტერნეტპორტალ “wiseGEEK”-ის განმარტებით, გარე გარემოს ტექნოლოგიური ფაქტორები განსაზღვრავენ ორგანიზაციის უნარს, განახორციელოს ბიზნესი. ახალი ტიპის ტექნიკა, კომპიუტერული ჩიპები, კვლევებისა და განვითარების საფუძველზე შექმნილი პროდუქტები კომპანიას მოდერნიზებასა და ბაზრის შენარჩუნებაში ეხმარება. მენეჯერებს უნდა გააჩნდეთ უნარი, განსაზღვრონ, თუ რომელი სიახლე იქნება კომპანიისათვის სასარგებლო და რომელი წამგებიანი [4].

სამეცნიერო ინფორმაციის მიწოდების სფეროში მსოფლიო ლიდერი კომპანიის “Elsevier”-ის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოს – „ბიზნესის

გარემო“ მიხედვით, ტექნოლოგიური გარემო ისეთ ცვლადებს მოიცავს, როგორცაა:

- საინფორმაციო ტექნოლოგიები – ინტრანეტი, ექსტრანეტი და ინტერნეტი;
- ციფრული ელექტრონიკა – ციფრული ტელევიზია, მობილური ტელეფონები (WAP და 3G);
- ახალი სინთეტიკური მასალები – სინთეტიკური წამლები, ცელულოზი, პოლიმერები;
- ენერჯის განახლებადი წყაროები – ქარის ენერჯია, მზის ენერჯია, ზღვის მოქცევის ენერჯია;
- ბიოტექნოლოგიები – კლონირება, გენმოდულირებული საკვები, ადამიანის გენური რუკები [5, Business Environment (2005), გვ.90].

როგორც ვხედავთ, ზემოთ განხილული წყაროები ტექნოლოგიური გარემოს ინოვაციურ შინაარსს ემხრობიან. ტექნოლოგიური გარემო გაიგივებულია ბიზნესში სიახლეების დანერგვასთან, ყურადღება ძირითადად გადატანილია ციფრულ და ინტერნეტ სფეროზე, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს ბიზნესზე მოქმედი ტექნოლოგიური ფაქტორების სრულყოფილ გააზრებას. ბიზნესის ტექნოლოგიურ გარემოს კვლევისას, ბუნებრივია, უნდა გავცდეთ ინოვაციურ პროცესებს და სიღრმისეულად გავერკვეთ თავად ტექნოლოგიის ბუნებაში. ეკონომიკური გაგებით, ტექნოლოგია წარმოების ფაქტორების პროდუქტად გარდაქმნის ხერხია, მასში იგულისხმება წარმოების პროცესში გამოყენებული მასალების დამუშავების, დამზადების, მათი ფორმისა და თვისებების ცვლილებათა მეთოდები. ამგვარად, აქ საქმე გვაქვს განსაზღვრული მიზნის მისაღწევად რაღაცის რაღაცად გარდაქმნის მეთოდებსა და ხერხებთან. ეს უკანასკნელი კი მოიცავს არა მხოლოდ ახალ ცოდნასა და ინოვაციებს, არამედ უნარ-ჩვევებსა და ამოცანის გადასაჭრელად საჭირო საშუალებების ერთობლიობას. შესაბამისად, ტექნოლოგიურ გარემოზე საუბრისას წინა პლანზე, ინოვაციებთან ერთად, გამოდის ისეთი კატეგორიები, როგორცაა ნედლეულზე ხელმისაწვდომობა, ადამიანის უნარ-ჩვევები, ფიზიკური აქტივები, ტექნიკა, დანადგარები, რომელიც გამოიყენება ბიზნესის ოპერაციული ფუნქციის უზრუნველსაყოფად.

სწორედ ამ მიმართულებით ავითარებენ საკუთარ მოსაზრებას რ. ებერტი და რ. გრიფინი. მათი განმარტებით, ტექნოლოგიური გარემო მოიცავს ყველა იმ გზას, რომლითაც ფირმები ღირებულს ხდიან წარმოების შემადგენელ ნაწილებს. ამ განსაზღვრებაში ცენტრალური ადგილი უკავია თავად ტექნოლოგიას, რომელიც მოიცავს ადამიანის ცოდნას, მუშაობის მეთოდებს, ფიზიკურ აქტივებს, ელექტრო, საკომუნიკაციო და სხვა ტექნიკას, რაც გამოიყენება საქმიანობის განსახორციელებლად [6, Ronald J. Ebert, Ricky W. Griffin (2013), გვ.28].

ერთ-ერთი ლიდერი ინტერნეტ ბიზნეს-ლექსიკონის – “BusinessDictionary.com”-ის, განმარტებით, გარე ტექნოლოგიური ფაქტორები გავლენას ახდენენ ბიზნეს-ოპერაციებზე. ცვლილებები ტექნოლოგიებში ზემოქმედებს კომპანიის უნარზე, აწარმოოს ბიზნესი. ტექნოლოგიური გარემოს ფაქტორების ცვლილების შედეგად ფირმა იძულებული ხდება, კარდინალურად შეცვალოს ოპერაციული სტრატეგია [7].

საკონსულტაციო ინტერნეტპორტალი “Businessballs” ბიზნესის ტექნოლოგიურ გარემოში მოიაზრებს შემდეგ ცვლადებს: კონკურენტული ტექნოლოგიების განვითარება; კვლევების დაფინანსება; ასოცირებული/-დამოკიდებული ტექნოლოგიები; ჩანაცვლებადი ტექნოლოგიები/გადაწყვეტები; ტექნოლოგიების სიმწიფე; წარმოების სიმწიფე და სიმძლავრეები; ინფორმაცია და კომუნიკაციები; გაყიდვების/შესყიდვების მექანიზმი; ტექნოლოგიური კანონმდებლობა; ინოვაციური პოტენციალი; ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა, ლიცენზიები, პატენტები; ინტელექტუალური საკუთრების საკითხები; გლობალური კომუნიკაციები [8].

ს. ვოლი და ბ. რისი მიიჩნევენ, რომ თანამედროვე ტექნოლოგია-ლიზმის, როგორც მაკრო გარემოს ფენომენის, პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტექნოლოგიური გარემოს ცვლადების ანალიზს. ამ ცვლადებში მოიაზრება: ტექნოლოგიების დონე, ქვეყნის ტექნიკური საჭიროებები, ტექნოლოგიების გადაცემა და ინფრასტრუქტურა [9, Stuart Wall, Bronwen Rees (2004), გვ.164-168.].

ტექნოლოგიური გარემოს ცვლადებზე საუბრისას უფრო შორს მიდიან რ. გრიფინი და მ. პასტი. ისინი სავსებით სამართლიანად მიუთითებენ, რომ ქვეყნის ტექნოლოგიური გარემოს საფუძველია მის განკარგულებაში არსებული რესურსები [10, Гриффин Р. Пастей М. (2006),

გვ.139]. რესურსების მისაწვდომობა ან უკმარისობა გავლენას ახდენს იმაზე, თუ რომელი პროდუქცია იწარმოება ამა თუ იმ ქვეყანაში. ქვეყნები, რომლებსაც ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები გააჩნიათ, სურსათის ექსპორტიორები არიან. იაფი სამუშაო ძალის მქონე ქვეყნების კომპანიები აწარმოებენ და მსოფლიო ბაზარს აწვდიან შრომატევად პროდუქციას და ა.შ. ამრიგად, რესურსების არსებობა პირდაპირ განსაზღვრავს, თუ წარმოების რომელი ტექნოლოგიები შეიძლება იყოს გამოყენებული მოცემულ ქვეყანაში და, ბუნებრივია, ქვეყნის ტექნოლოგიური გარემოს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. ამ მოსაზრების გასამყარებლად შეგვიძლია საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკური თეორიებიც მოვიშველიოთ, რომელთა მიხედვით, ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა პირდაპირ განისაზღვრება მისი რესურსებით უზრუნველყოფის დონით.

მართალია, რ. გრიფინი და მ. პასტი ქვეყნის ტექნოლოგიური გარემოს ძირითად საფუძვლად ბუნებრივ რესურსებს მიიჩნევენ, ისინი ასევე გამოყოფენ სხვა მნიშვნელოვან ცვლადებსაც:

- **ინფრასტრუქტურა** – ავტომაგისტრალები, სატრანსპორტო კომუნიკაციები, კავშირგაბმულობის სისტემები, წყალმომარაგება და ა.შ.;
- **ადამიანისეული კაპიტალი** – მოსახლეობის ცოდნის დონე და კვალიფიკაცია, რაც ქვეყანას საშუალებას აძლევს, გაზარდოს სამუშაო ძალის მწარმოებლურობა და ეფექტიანობა;
- **ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დონე**, რომელსაც განსაზღვრავს მოცემული ქვეყნის კანონმდებლობა. აქ მოიაზრება პატენტები, საავტორო უფლებები, სავაჭრო მარკები და სხვა არამატერიალური აქტივები, რომელიც განსაზღვრავს კომპანიების საკვანძო კომპეტენციას მსოფლიო ბაზარზე. ქვეყნები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, ამცირებენ როგორც ადგილობრივი კომპანიების ინტელექტუალური აქტივების ფორმირების შანსებს, ასევე მაღალტექნოლოგიური უცხოური ინვესტიციების მიღების შესაძლებლობებს [10, Гриффин Р. Пастей М. (2006), გვ.139-141].

ამრიგად, ჩვენი აზრით, ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო, ფართო გაგებით, ინოვაციებთან ერთად, მოიცავს წარმოების ფაქტორების ერ-

თობლიობას, აგრეთვე ინფრასტრუქტურულ კომპონენტებს, მატერიალურ და არამატერიალურ აქტივებს, რომელთა საშუალებითაც მიიღწევა ბიზნესის ოპერაციული ეფექტიანობის ზრდა, კონკურენტუნარიანი პროდუქციისა და მომსახურების წარმოება, მარტივდება საგარეო ბაზარზე შეღწევა. აღნიშნული კატეგორიის უფრო არგუმენტირებული გაგებისათვის საჭიროა, განვიხილოთ მისი ცვლადების სტრუქტურული შედგენილობა.

ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს სტრუქტურის ძირითადი კომპონენტები. როგორც ზემოთ აღინიშნა, ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო მოიცავს ფაქტორების საკმაოდ ფართო სპექტრს, რომელიც ზემოქმედებს საწარმოს ოპერაციულ ეფექტიანობაზე და განსაზღვრავს მის კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე. ამასთან, სხვადასხვა შეხედულებაა, ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ, ხშირ შემთხვევაში კვეთს ან ავსებს ერთმანეთს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში გამორიცხავს კიდევ. ამიტომ, ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს სიღრმისეული კვლევისათვის, აუცილებელია, გამოვყოთ და დავაჯგუფოთ ის ძირითადი ცვლადი კომპონენტები, რომელთა ანალიზი შესაძლებლობას მოგვცემს, შევაფასოთ ქვეყნის ტექნოლოგიური გარემოს ძლიერი და სუსტი მხარეები და გამოვავლინოთ მისი გაუმჯობესების გზები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტექნოლოგიური გარემოს პარამეტრების განსაზღვრისათვის აუცილებელია თავად ტექნოლოგიის ბუნებაში მკაფიო გარკვევა. ყველაზე ზოგადი სახით ტექნოლოგია შეიძლება გავიგოთ, როგორც პროცესი, რომლის დროსაც განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, კონკრეტული ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით, წარმოების ფაქტორები გარდაიქმნება შუალედურ ან საბოლოო პროდუქტად. ამგვარად, ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს შეფასებისას, საქმე გვაქვს, ერთი მხრივ, წარმოების ფაქტორებთან, მათ რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებთან, რასაც პირობითად სტატიკური პარამეტრები შეიძლება ვუწოდოთ, მეორე მხრივ, მათი გამოყენების ხერხების და მეთოდების ეფექტიანობასთან, რასაც განსაზღვრავს ქვეყნის ინოვაციური პოტენციალი და ვლინდება ტექნოლოგიურ დინამიზმში (დინამიკური პარამეტრები).

ამრიგად, ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს შეფასებისას უნდა გამოიყოს პარამეტრების ორი ძირითადი ჯგუფი:

1. სტატიკური პარამეტრები:

- **ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის უპირატესობა:** იგი შეიძლება გამოიხატებოდეს კონტინენტების დამაკავშირებელ ჰაზებთან, საერთაშორისო სავაჭრო გზებთან, გასაღების ბაზრებთან, ნავმისადგომებთან სიახლოვეში და მიმზიდველს ხდიდეს მოცემული ქვეყნის ტერიტორიას ადგილობრივი და უცხოური კომპანიებისათვის.
- **ბუნებრივ რესურსებთან ხელმისაწვდომობა:** განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობების არსებობა.
- **ინფრასტრუქტურის მდგომარეობა:** საწარმოო სიმძლავრეების განთავსებისათვის საჭირო ტერიტორიები, შენობა-ნაგებობები, ენერჯი და წყალმომარაგების სისტემები, საავტომობილო გზები, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო საშუალებები, სასაწყობო-ლოგისტიკური მეურნეობა, დასაქმებული პერსონალისათვის საცხოვრებელი, დასასვენებელი, სამედიცინო, საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვა სოციალური პირობები.
- **შრომითი რესურსები:** ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა, მათი განათლებისა და პროფესიული მომზადების დონე, დასაქმების სტრუქტურა, უმუშევრობის დონე, სოციალური პირობები და სხვა დემოგრაფიული ინდიკატორები.
- **ადგილობრივი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა:** ფინანსური ინფრასტრუქტურის განვითარების დონე, საბანკო სისტემის მდგრადობა და მოქნილობა, ეროვნული ვალუტის სტაბილურობა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მდგომარეობა, სადაზღვევო პროდუქტების ხელმისაწვდომობა.

2. დინამიკური პარამეტრები:

- **კვლევა და განვითარება:** ინოვაციური პროცესებისათვის დამახასიათებელია მეცნიერების როლის არსებითი ზრდა. ამჟამად კვლევა და განვითარება გვევლინება არა მარტო ახალი იდეების წყაროდ, არამედ ინოვაციური პროცესის ყველა რგოლის გამჭოლ რესურსად. ამ

ცვლადის შეფასებისას ამოსავალს, ბუნებრივია, კვლევასა და განვითარებაზე გაწეული დანახარჯები წარმოადგენს, რომელიც შეიძლება დაიყოს დაფინანსების წყაროების, მეცნიერების დარგების, საქმიანობის ტიპების და სოციალურ-ეკონომიკური მიზნების მიხედვით;

- **ინოვაციები საწარმოებში:** თანამედროვე საწარმოები კონკურენტუნარიანობის მისაღწევად და შესანარჩუნებლად აქტიურად მიმართავენ ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვას, ამიტომ ეს ცვლადი მოიცავს ქვეყანაში მოქმედი საწარმოების მიერ ინოვაციებზე გაწეულ ძალისხმევას, ასევე საწარმოს ტექნოლოგიური კულტურის ისეთ ასპექტებს, როგორცაა: ინოვაციური პრიორიტეტები; სიახლეების დანერგვის გამოცდილება; კონკურენტული პოზიცია ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე; ინოვატორთან სტრატეგიული პარტნიორობით დაინტერესების დონე და ა.შ. [11, Shaburishvili Sh., (2011) გვ. 842].
- **მაღალტექნოლოგიური წარმოება და ცოდნაზე დაფუძნებული მომსახურების სექტორი:** ქვეყნის ტექნოლოგიური გარემო დამოკიდებულია მაღალტექნოლოგიური და ცოდნაზე დაფუძნებული დარგების მდგომარეობასა და განვითარებაზე, ასევე მათ წილზე ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურაში, რომელიც შეიძლება შეფასდეს ეკონომიკური, დასაქმების და განხორციელებული სამეცნიერო კვლევების მაჩვენებლების ჭრილში.
- **ინტელექტუალური საკუთრება:** პატენტები, საავტორო უფლებები, სავაჭრო მარკები, პროფესიული საიდუმლოების გამოყენება ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ყველაზე გავრცელებული მეთოდებია. ქვეყნები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ არამატერიალურ აქტივებზე საკუთრების უფლების დაცვას, კარგავენ ინტელექტუალური აქტივების ფორმირების შესაძლებლობებს. ამასთან, პატენტები კონკრეტულ ქვეყანაში გამოგონებების სფეროში საქმიანობის შედეგებს ასახავენ. პატენტების რაოდენობა, ასევე მიუთითებს ქვეყნის შესაძლებლობაზე გამოიყენოს მეცნიერული სიახლეები და მოახდინოს მისი კომერციალიზაცია. ამ კონტექსტით პატენტების სტატისტიკა ქვეყნის ინოვაციურ პოტენციალს პირდაპირ ასახავს.
- **ადამიანისეული რესურსები მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში:** ქვეყნის ინოვაციურ პოტენციალს არსებითად განსაზღვრავს გარკვე-

ულ მომენტში მეცნიერებასა და ტექნოლოგიურ დარგებში დასაქმებულთა რიცხოვნობა. ამ ცვლადის შეფასებისას შეიძლება გამოვყოთ ადამიანისეული რესურსები მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში სქესის, ასაკის, განათლების, საქმიანობის სფეროს მიხედვით. არსებითი კომპონენტია მესამე დონის განათლების მქონე ადამიანისეული რესურსები მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში განათლების სფეროს მიხედვით, ასევე მათი საერთაშორისო მობილობა.

- **ინფორმაციული საზოგადოების ინდიკატორები:** ინოვაციებისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების დონე საოჯახო მეურნეობებსა და საწარმოებში პირდაპირ მიუთითებს ქვეყნის ტექნოლოგიური გარემოს განვითარების დონეზე. ინფორმაციული საზოგადოების ინდიკატორები, როგორც წესი, მოიცავს: საინფორმაციო და ტელე-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ინტერნეტის და სხვა ელექტრონული ქსელების გამოყენებას; ელექტრონული კომერციისა და ბიზნესის განვითარების დონეს; ინვესტიციებს და ხარჯებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოებას [12].
- **სამეწარმეო და სამეცნიერო სექტორების თანამშრომლობა:** გლობალური კონკურენციის პირობებში ქვეყნის ტექნოლოგიური დინამიზმი მჭიდროდ არის დაკავშირებული კერძო და სამეცნიერო სექტორების პარტნიორობის ფორმების განვითარებასთან. ასეთი თანამშრომლობის ფორმებია სამეცნიერო-ტექნიკური პარკები, ინოვაციური ცენტრები, ერთობლივი კვლევითი პროექტები, საუნივერსიტეტო სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრები, სამრეწველო-საუნივერსიტეტო კვლევების შესახებ შეთანხმებები, სამეცნიერო-კვლევითი კონსორციუმები და ა.შ. მძლავრი სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსები, როგორც წესი, იქმნება უნივერსიტეტებთან. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია აშშ-ის „სილიკონის ველი“, რომელიც შეიქმნა სტენდფორდის უნივერსიტეტთან და წარმოადგენს მსოფლიო ტექნოლოგიური რევოლუციის უცვლელ ფლაგმანს.
- **სახელმწიფოს მასტიმულირებელი როლი:** თანამედროვე პირობებში ქვეყნის ინოვაციური განვითარება დამოკიდებულია არა მხოლოდ ზემოთ განხილულ ფაქტორებზე, არამედ სახელმწიფო პოლიტიკის

ეფექტიანობაზე ინოვაციური აქტივობის ხელშეწყობის კუთხით. რაც უფრო ქმედით და ეფექტიან ღონისძიებებს მიმართავს მთავრობა, მით უფრო მიმზიდველს ხდის ქვეყნის ტექნოლოგიურ გარემოს. ამ კონტექსტით, საინტერესოა შემდეგი მიმართულებები: **სტრუქტურული პოლიტიკა**, რომელიც მოიცავს სამთავრობო ინიციატივებს სხვადასხვა მიმართულებებით – ტექნოლოგიური, კონკურენტული პოლიტიკა, დერეგულაცია, საგადასახადო ტვირთის შემცირება, მაღალტექნოლოგიური უცხოური ინვესტიციების წახალისება, მსხვილ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში წილობრივი მონაწილეობა, ინოვაციური საქმიანობის შეღავათიანი დაკრედიტება, ინოვაციური საწარმოებისათვის და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის ორგანიზაციებისათვის მიწის ან სახელმწიფო საკუთრების სხვა ობიექტების უფასო ან შეღავათიანი პირობებით გადაცემა და ა.შ.; **საშუამავლო პოლიტიკა** – სახელმწიფო თავისთავზე იღებს სამეცნიერო და საქმიანი წრეების სამთავრობო სტრუქტურებთან შეხვედრების ორგანიზებას, რამაც მათ შორის პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას და სტრატეგიულ თანამშრომლობას ხელი უნდა შეუწყოს. **მომთხოვნი მომხმარებლის პოლიტიკა** – სამთავრობო შეკვეთების გაფორმებისას საქონლის და მომსახურების ხარისხის, ტექნოლოგიების ან საწარმოო პროცესის მიმართ სახელმწიფო მაღალ სტანდარტებს აწესებს, რითაც კომპანიებს აიძულებს, შეიმუშავონ და დანერგონ სიახლეები [13, შაბურიშვილი შ., (2008), გვ.76-80].

- **კვლევების ინტერნაციონალიზაცია:** სამეცნიერო ცოდნისა და ტექნოლოგიური „ნოუ-ჰაუს“ წარმოება სულ უფრო მეტად არის დამოკიდებული რამდენიმე ქვეყნის ტერიტორიაზე ერთობლივი პროექტის ჩარჩოებში განხორციელებულ კვლევებზე. სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს ინტერნაციონალიზაციის პროცესში ქვეყნის მონაწილეობის მასშტაბებზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: ქვეყნის სიდიდე (მცირე ზომის ქვეყნების სამეცნიერო-ტექნიკური სფერო, როგორც წესი, უფრო ინტერნაციონალიზებულია); კვლევებში აქტიურად ჩართულ რეგიონებთან გეოგრაფიული სიახლოვე; სამრეწველო სპეციალიზაცია; უცხოური ფირმების ფილია-

ლებისა და შვილობილი კომპანიების საქმიანობის ხასიათი და ა.შ. [14, Л.Е. Стровского (2007), გვ.697].

დასკვნა

ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო ქვეყნის გლობალური კონკურენტული უპირატესობის განმსაზღვრელი ფაქტორია, რომლის გარეშე საზოგადოების კეთილდღეობის დონის მუდმივად ამაღლება შეუძლებელია. სხვადასხვა გამოკვლევათა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო ცვლადების საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ზემოქმედებს საწარმოს ოპერაციულ ეფექტიანობაზე.

ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს შეფასებისას, საქმე გვაქვს, ერთი მხრივ, წარმოების ფაქტორებთან, მათ რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებთან, რასაც პირობითად სტატიკური პარამეტრები შეიძლება ვუწოდოთ, მეორე მხრივ, მათი გამოყენების ხერხების და მეთოდების ეფექტიანობასთან, რასაც განსაზღვრავს ქვეყნის ინოვაციური პოტენციალი და ვლინდება ტექნოლოგიურ დინამიზმში. სტატიკური პარამეტრები მოიცავს ყველა იმ ბუნებრივ-სტატიკურ უპირატესობას, რაც მიმზიდველს ხდის ქვეყანაში წარმოების ორგანიზებას – ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ხელმისაწვდომი ბუნებრივი, შრომითი და ფინანსური რესურსები, ინფრასტრუქტურის განვითარების დონე. დინამიკური პარამეტრები მოიცავს ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის ამსახველ ცვლადებს: კვლევა და განვითარება, ინოვაციები საწარმოებში, მაღალტექნოლოგიური წარმოება და ცოდნაზე დაფუძნებული მომსახურების სექტორი, ინტელექტუალური საკუთრება, ადამიანისეული რესურსები მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში, ინფორმაციული საზოგადოების ინდიკატორები, სამეწარმეო და სამეცნიერო სექტორების პარტნიორული ურთიერთობა, სახელმწიფოს მასტიმულირებელი როლი და კვლევების ინტერნაციონალიზაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://www.oxlearn.com/arg_Marketing-Resources-PESTLE---Macro-Environmental-Analysis_11_31
2. Управление Организацией, под редакцией **А.Г. Поршнева, З.П. Румянцевой, Н.А. Саломатина (2009)**, “ИНФРА-М”, Москва, с. 28.
3. <http://pestleanalysis.com/what-is-pestle-analysis/>
4. <http://www.wisegeek.org/what-are-macro-environment-factors.htm>
5. Business Environment(2005), Published by Elsevier Ltd, , pp. 90.
6. **Ronald J. Ebert, Ricky W. Griffin (2013)**, Business Essentials, Pearson Education Limited, England, pp. 28.
7. <http://www.businessdictionary.com/definition/technological-environment.html>
8. <http://www.businessballs.com/pestanalysisfreetemplate.htm>
9. **Stuart Wall, Bronwen Rees (2004)**, International Business, Second edition, Pearson Education Limited, England,pp 164-168.
10. **Гриффин Р. Пастей М (2006)**, Международный бизнес, 4-е изд.Пер. с англ., Питер, с.139.
11. **Shaburishvili Sh., (2011)**, Prospects For The Development Of Innovative Entrepreneurship In Georgia, Problems and prospects of cooperation between countries of South-Eastern Europe within context of the BSEC and GUAM, pp. 842
12. **გოგოძე ი.**, ინოვაციური პროცესების შეფასება და მონიტორინგი ევროპაში. <http://www.inovdev.ge/uploads/files/51073S.Gogodze.pdf>
13. **შაბურიშვილი შ., (2008)**, საქართველოს ინოვაციური განვითარების პერსპექტივები გლობალიზაციის პირობებში, ჟურნ., საქართველოს ეკონომიკა, #4 (125), თბილისი, გვ. 76-80.
14. Внешнеэкономическая деятельность предприятия. Под редакцией **Л.Е. Стровского (2007)**, М.: ЮНИТИ, с. 697.

თავი 2.

ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

ტექნოლოგიური გარემო ბიზნეს-გარემოს ყველაზე დინამიკური ელემენტია, რადგან თანამედროვე პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპები მკვეთრად დაჩქარდა. ქვეყნის ტექნოლოგიური განვითარების დონე, ერთი მხრივ, განსაზღვრავს მისი ეკონომიკური განვითარების დონეს და, მეორე მხრივ, წარმოადგენს მნიშვნელოვან მოტივაციას მოცემულ ქვეყანაში ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ) შესასვლელად.

ტექნოლოგიური გარემო განსაზღვრავს ნებისმიერი სახეობის ტექნოლოგიის განვითარებას. თავის მხრივ, სვადასხვა ტექნოლოგიები არ უნდა განიხილებოდეს დამოუკიდებლად – ერთიანი ტექნოლოგიური გარემოს განვითარების გარეშე. ტექნოლოგიური გარემო არის ერთგვარი „ცოცხალი“ ორგანიზმის – „დიდი სისტემა“, რომელიც ფუნქციონირებს გარკვეული კანონზომიერებების შესაბამისად. ტექნოლოგიური ფაქტორის გავლენა არსებითად იზრდება სისტემის ელემენტების სიდიდის ზრდის შესაბამისად. თუ ერთი საუკუნის წინ მსოფლიო ბაზრის მთავარი სუბიექტების როლში გამოდიოდნენ იურიდიულად განცალკევებული პირები, დღეს მთავარი მოთამაშეები არიან გიგანტური ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომელთა გამსხვილებასა და სპეციალიზაციაში წამყვან როლს სხვადასხვა ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორები თამაშობენ, რომელთა შორის განსაკუთრებული როლი განეკუთვნება ტექნოლოგიურ ფაქტორებს. ისინი ასევე განსაზღვრავენ რეგიონალიზაციისა და გლობალიზაციის პროცესებს.

ტექნოლოგიური გარემო საზოგადოების, მათ შორის ბიზნესის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია და ასახავს მათ განვითარებას ტექნიკური და ტექნოლოგიური თვალსაზრისით. მაღალი დონის ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი საქონლისა და

მომსახურების წარმოებას. მათი დანერგვა მოითხოვს კვალიფიციურ სამუშაო ძალას – ინტელექტუალურ კაპიტალს.

პასუხის მიღება კითხვაზე – „როგორ ვაწარმოთ პროდუქცია?“ – შესაძლებელია ტექნოლოგიურ გარემოში არსებული საწარმოო ან სხვა სახის საქმიანობისათვის გამოყენებული ტექნოლოგიების თავისებურებების საფუძველზე. რა თქმა უნდა, გამოყენებული ტექნოლოგია იმაზეცაა დამოკიდებული, თუ რას ვაწარმოებთ. ამასთან არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ როგორია სახელმწიფოს ტექნოლოგიური განვითარების დონე. თუ სახელმწიფოში დაბალია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების დონე, კომპანიას გაუჭირდება მაღალი ხარისხის საქონლის წარმოება. ტექნოლოგიური სიახლეები, ახალი ტექნოლოგიები განსაზღვრავენ ნებისმიერი საქმიანობის ეფექტიანობას. მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს ახასიათებს უზარმაზარი შესაძლებლობები, მაგრამ, იმავდროულად, მას შეუძლია დიდი საფრთხეების შექმნა, თუ დროულად არ იქნება გათვალისწინებული ტექნოლოგიური ცვლილებები. ტექნოლოგიების განვითარებაზე საჭიროა სისტემატური დაკვირვება, გამოყენებული ტექნოლოგიის დროული შეცვლისა და მისი განახლების მიზნით. ზოგადი სახით ტექნოლოგიაში იგულისხმება წარმოების პროცესში გამოყენებული მასალების დამუშავების, დამზადების, მათი ფორმისა და ათვისების ცვლილებათა მეთოდები. ეკონომისტთა ცნებით კი, ტექნოლოგია წარმოების ფაქტორების პროდუქტად გარდაქმნის ხერხია. ტექნოლოგია სპეციფიკური საქონელია, რომელიც ინტელექტუალურ საკუთრებას მიეკუთვნება. სამეცნიერო ბრუნვაში ტექნოლოგიის ცნება შემოტანილია 1772 წელს იოჰან ბეკმანის მიერ [1, Salomon, 1984].

ეკონომიკურ ლიტერატურაში „ტექნოლოგიას“ სხვადასხვა განსაზღვრება აქვს. ეს განსაზღვრებები პირობითად სამ ჯგუფადაა დაყოფილი. პირველი ჯგუფის შეხედულებით, ტექნოლოგია გაიგივებულია მის მატერიალურ მატარებლებთან ან კონკრეტულ საწარმოო ინტერესებთან. მეორე ჯგუფი ტექნოლოგიად მიიჩნევს ინფორმაციის დამუშავებას და საზოგადოებრივ გამოყენებას ანუ იგი გაიგივებულია იმ ცოდნასთან, რომელსაც ადამიანი იყენებს საწარმოო საქმიანობასა და სამეცნიერო კვლევებში. მესამე ჯგუფის აზრით, ტექნოლოგია საკმაოდ ფართო ცნებაა და სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის ერთობლიობას წარმოადგენს, რომელ-

საც ასევე ემატება მის დანერგვასთან დაკავშირებული თანამდევი ეფექტები.

მაღალი დონის ტექნოლოგიების განვითარებამ და მათი გამოყენებით წარმოებული პროდუქციის საერთაშორისო გაცვლის სწრაფმა ზრდამ ნეოტექნოლოგიური მიმართულების თეორიების ფორმირება გამოიწვია. ეს თეორიები ნაწილობრივ ერთმანეთის შემავსებელი ცალკეული მოდელებია, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ისინი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ნეოტექნოლოგიური თეორიებიდან აღსანიშნავია კლებადი ხარჯების (მასშტაბის ეფექტის), ტექნოლოგიური უფსკრულის, საქონლის სასიცოცხლო ციკლის და მფრინავი ბატების თეორიები.

კლებადი ხარჯების (მასშტაბის ეფექტის) თეორია შემუშავებულია ჰეიშერი-ოლინის მოდელის კრიტიკის საფუძველზე [2, Фомичев, 2001]. მისი ამოსავალია ის ჰიპოთეზა, რომ განვითარებული ქვეყნები თანაბრად ფლობენ წარმოების ფაქტორებს, ამიტომ მათ შორის ვაჭრობას აზრი აქვს მხოლოდ სხვადასხვა მაღალტექნოლოგიური დარგების პროდუქციის წარმოებაზე დასპეციალების შემთხვევაში. სპეციალიზაცია იძლევა ხარჯების შემცირების შესაძლებლობას მასობრივი წარმოების ორგანიზაციის შედეგად. მაღალტექნოლოგიურ დარგებს მიეკუთვნებიან: სამედიცინო პრეპარატების წარმოება, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები და რადიოელექტრონული მოწყობილობის კომპონენტები, ლაბორატორიული აღჭურვილობა, საავიაციო და რაკეტულ-კოსმოსური მრეწველობა და სხვა.

ტექნოლოგიური უფსკრულის თეორიის თანახმად [2, Фомичев, 2001, 3], ერთნაირი წარმოების ფაქტორების ფლობის შემთხვევაში ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის განვითარება განპირობებულია ერთ-ერთ მოვაჭრე ქვეყნის ტექნიკური ცვლილებებით. იმის გამო, რომ ტექნიკური ინოვაციები თავდაპირველად ერთ-ერთ ქვეყანაში ჩნდება, უპირატესობას ის იღებს: ახალი ტექნოლოგია საშუალებას აძლევს, აწარმოოს საქონელი ნაკლები დანახარჯებით. თუ ინოვაცია გულისხმობს ახალი პროდუქტის წარმოებას, მეწარმე ნოვატორ ქვეყანაში გარკვეული პერიოდის განმავლობაში ფლობს ე.წ. „კვაზი მონოპოლიას“, ანუ იღებს დამატებით მოგებას ახალი საქონლის ექსპორტის გამო. აქედან გამომდინარე, მომგებიანია არა იმის წარმოება, რა არის იაფი, არამედ იმის, რასაც ჯერ არავინ

აწარმოებს და რაზეც ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა. როგორც კი პროდუქტის წარმოებას აითვისებენ სხვა ქვეყნები, საჭიროა ისევ ისეთი ინოვაციური პროდუქტის წარმოება, რაც სხვებისათვის შესაძლებელი არ არის. ტექნიკური სიახლის გაჩენის შედეგად ამ ინოვაციების მფლობელ და არმფლობელ ქვეყნებს შორის წარმოიქმნება ტექნოლოგიური უფსკრული. ეს უფსკრული თანდათან იქნება გადალახული, მაგრამ სანამ უფსკრული არ იქნება გადალახული, ახალი ტექნოლოგიით წარმოებული საქონლით ვაჭრობა გაგრძელდება.

ნეოტექნოლოგიური მიმართულების თეორიებიდან ყველაზე პოპულარულია „პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის“ თეორია, რომელიც შემუშავებულია ვერნონის მიერ 1966 წელს [4, Vernon, 1966, 5, 6]. ეს თეორია შედარებით უფრო ზუსტად ასახავს შრომის საერთაშორისო დანაწილების რეალურ მდგომარეობას. ამ თეორიის თანახმად, ყოველი ახალი პროდუქტი გადის ციკლს, რომელიც მოიცავს დანერგვის, ზრდის (გაფართოების), სიმწიფისა და დაცემის (დაბერების) სტადიებს.

საქონლის სასიცოცხლო ციკლი გარკვეული სახის საქონლის არსებობის პერიოდია და განისაზღვრება ბაზარზე მისი გამოჩენისა და ბაზრიდან გაქრობის დროის მონაკვეთით. იგი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- I. ბაზარზე საქონლის დანერგვის ეტაპი. ამ ეტაპზე საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობები ნელი ტემპით იზრდება. საქონელი ახალია, მოთხოვნა მცირეა და ამიტომ არსებობს მისი რეალიზაციის პრობლემები. ახალ საქონელს სთავაზობენ მაღალი შემოსავლების მქონე მყიდველებს, რომლებისთვის საქონლის შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ფასი არ არის მნიშვნელოვანი. რაც უფრო მეტი ადამიანია მაღალი შემოსავლებით, უფრო სავარაუდოა, რომ ახალი პროდუქტების ბაზარზე გაჩნდება მნიშვნელოვანი დახარჯების მქონე ტექნოლოგიებით წარმოებული ახალი საქონელი.
- II. ზრდის (გაფართოების) ეტაპი. ამ ეტაპზე გაყიდვების ზრდის ტემპები მკვეთრად იზრდება. საქონელი აღიარებულია მომხმარებელთა მიერ და იწყება მისი სერიული წარმოება, რის შედეგად მცირდება საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის ხარჯები, ხოლო მოგება იზრდება. ამ ეტაპზე საზღვარგარეთ ჩნდება საქონელზე მოთხოვნა,

რის გამოც იწყება მისი ექსპორტი და შემდგომ წარმოების ორგანიზაცია უცხოეთში.

- III. სიმწიფის (შედარებითი სტაბილურობის) ეტაპი. სიმწიფის ეტაპზე მყიდველთა უმეტესობამ საქონელი უკვე შეიძინა, ამიტომ გაყიდვების ტემპი ეცემა. წარმოების ტექნოლოგია მთლიანად სტანდარტიზებულია, რაც იძლევა ნაკლებად კვალიფიციური შრომის გამოყენების შესაძლებლობას. ამ ეტაპზე მოგება სტაბილურია ან მცირდება. მწარმოებლები ცდილობენ საქონლის ფასის შემცირებას, მყიდველებს აძლევენ შეღავათებს საქონლის განმეორებითი ან მრავალჯერადი შეძენის შემთხვევაში, აუმჯობესებენ სერვისს.
- IV. დაცემის ეტაპი. ამ ეტაპზე მოთხოვნის გაჯერებისა და, აგრეთვე, სხვა სამომხმარებლო საქონლის მხრიდან კონკურენციის გაძლიერების გამო, მკვეთრად მცირდება საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობები და, შესაბამისად, მოგება. თავისი პოზიციების შესანარჩუნებლად საწარმო აბანდებს დამატებით სახსრებს პროდუქციის გასაიაფებლად და წარმოების მოდერნიზაციის განსახორციელებლად. დაცემის ეტაპი გრძელდება საქონლის წარმოების შეწყვეტამდე. შემდეგ შეიძლება აწარმოონ იგივე საქონელი გაუმჯობესებული თვისებებითა და ხარისხით, ან დაიწყონ ახალი საქონლის წარმოება.

საქონლის სასიცოცხლო ციკლის ეტაპები საჭიროებენ სისტემატურ დაკვირვებასა და ანალიზს, რათა დროულად დადგინდეს სტაბილიზაციის ეტაპი და დაცემის ეტაპზე გადასვლის მომენტი, რომელიც მოგების მკვეთრი შემცირებით ხასიათდება. ამასთან, ფირმებმა უნდა მიიღონ გადაწყვეტილება საქონლის წარმოების გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ. თუ მიღებული იქნება გადაწყვეტილება საქონლის წარმოების გაგრძელების შესახებ, მთელი ძალისხმევა საქონლის მოდიფიცირებაზე ან ბაზრის ახალი სეგმენტის ძიებაზე მიმართული უნდა იყოს.

პრაქტიკაში საქონლის რეალური სასიცოცხლო ციკლები სხვადასხვა სახის ფაქტორების ზემოქმედებას განიცდიან, ამიტომ ცალკეული სახის საქონლის სასიცოცხლო ციკლები თავისი ფორმით არსებითად განსხვავდებიან კლასიკური (ზოგადი) ფორმისაგან.

ტექნოლოგიის სასიცოცხლო ციკლის თეორია შემუშავებულია დ. ფორდისა და კ. რაიანის მიერ. ამ თეორიის თანახმად, ტექნოლოგიის სასიცოცხლო ციკლი შედგება 5 ეტაპისაგან [7, Ford, 1951]: 1. კვლევა და დამუშავება; 2. უტილიზაცია; 3. ტექნოლოგიური ზრდა; 4. ტექნოლოგიური სიმწიფე და 5. ტექნოლოგიური დაცემა.

პირველ ეტაპზე ხდება ტექნოლოგიის პოტენციური ღირებულების შეფასება. ამ ეტაპზე მისი გადაცემა არ წარმოებს. თვით გამოყენების სფეროც უცნობია. მეორე ეტაპზე ჩნდება ახალი საქონელი, რომლის წარმოება ხორციელდება მხოლოდ მისი შემქმნელის ქვეყანაში. ტექნოლოგიის მფლობელი მონოპოლიურ მდგომარეობაშია და კონკურენცია არ არსებობს. ტექნოლოგიის გადაცემა წარმოებს საქონლის ექსპორტის ფორმით. მესამე ეტაპზე ხდება ტექნოლოგიის გადაცემა სხვა ქვეყნებში, მაგრამ იგი ჯერ მთლიანად არაა ათვისებული. ამ ეტაპზე აქტუალურია გადასაცემი ტექნოლოგიის ღირებულების საკითხი. მეოთხე ეტაპზე ხორციელდება ტექნოლოგიური სიახლეების ურთიერთგაცვლა განვითარებულ ქვეყნებს შორის, ერთდროულად აქტიურად ხდება მათი გადაცემა განვითარებად ქვეყნებში. ტექნოლოგია განიცდის სრულყოფასა და სტანდარტიზებული ხდება. იგი საყოველთაოდ ვრცელდება და ამიტომ მისი ღირებულება ეცემა. განვითარებულ ქვეყნებში იგი აღარ გამოიყენება, განვითარებადი ქვეყნების მხრიდან კონკურენციის გამო. საქონლის ექსპორტი იცვლება მისი იმპორტით. მეხუთე ეტაპზე ინვესტიციები ტექნოლოგიურ დამუშავებებში არ ხორციელდება. ტექნოლოგიების გადაცემა მხოლოდ განვითარებად (ამასთან მის ნაკლებად განვითარებულ ნაწილში) ხდება.

ზოგადი სახით ტექნოლოგიების გადაცემის პროცესი შემდეგ ეტაპებს მოიცავს [7, Ford, 1951]: მოთხოვნილების განსაზღვრა; ტექნოლოგიის შეფასება; ტექნოლოგიის გადაცემის დაგეგმვა; ტექნოლოგიის გადაცემის განხორციელება.

ტექნოლოგიაზე მოთხოვნილების განსაზღვრა ითვალისწინებს არსებული ტექნოლოგიის ახლით შეცვლის, საბაზრო მოთხოვნის, კონკურენციის ფაქტორების და სხვა საკითხების შესწავლას.

ტექნოლოგიის შეფასებისას საჭიროა ყველა არსებული, დამუშავების სტადიაზე მყოფი, აგრეთვე, მომავალში უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიების დადგენა. იგი მოიცავს ტექნოლოგიის ხელმისაწვდომობის,

მისაღებობის, ალტერნატიული ტექნოლოგიების მწარმოებლურობის, ქვეყნის პირობებთან მისი ადაპტაციის შესაძლებლობების და სხვა პარამეტრების შეფასებას. აგრეთვე, საჭიროა ტექნოლოგიური განვითარების ტენდენციების, ახალი უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიების შექმნის პერსპექტივების გათვალისწინება.

ტექნოლოგიის გადაცემის დაგეგმვაში შედის: ფინანსური დაგეგმვა, მარკეტინგული დაგეგმვა, ტრანსფერის დაგეგმვა, როგორც ფიზიკური ფორმებით (მანქანებისა და მოწყობილობების სახით), ისე ცოდნისა და სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტაციის გადაცემით, სწავლების ორგანიზაციისა და კადრების მომზადების დაგეგმვა, მატერიალური ნაკადების დაგეგმვა, ტექნოლოგიის დანერგვის დაგეგმვა (დანერგვის ყველაზე ეფექტიანი ფორმის მოძებნა), ტექნიკური მართვის, ექსპლოატაციის და მისი მოდერნიზაციის პროცესების დაგეგმვა.

ტექნოლოგიის გადაცემის დაგეგმვაში იგულისხმება ტექნოლოგიის დანერგვის ყველაზე ეფექტიანი ხერხის შეფასება და შერჩევა, მისი დანერგვის გრაფიკის განსაზღვრა, პერსონალის სწავლების ორგანიზაცია, ტექნოლოგიის კონტროლის, მართვის, მოწესრიგებისა და ექსპლოატაციის სისტემის შემუშავება, აგრეთვე, ტექნოლოგიის სრულყოფის ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარება ეროვნული ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად.

ტექნოლოგიების აღწარმოების ციკლის საწყის ეტაპზე ბაზარზე უამრავი მცირე ინოვაციური ფირმა და ინდივიდუალური მომხმარებელია. ისინი არიან ახალი ტექნიკური იდეების გენერატორები და ცდილობენ თავიანთი სამეცნიერო-ტექნიკური შედეგების განხილვას. ამ შედეგების მყიდველების როლში გამოდიან მსხვილი კომპანიები, რომლებიც ცდილობენ პერსპექტიული ტექნოლოგიების შექმნას თავიანთ წარმოებებში დანერგვის მიზნით. ტექნოლოგიების შექმნისა და ათვისების პროცესი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით: ინდივიდუალური გამომგონებლები → იდეის ჩასახვა და კონცეპტუალიზაცია → სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების დაფინანსება, საცდელი წარმოება → ტექნოლოგიის დანერგვა სამრეწველო წარმოებაში, მასობრივი წარმოების ორგანიზაცია.

მსოფლიო მეურნეობაში სხვადასხვა სახის ტექნოლოგია გამოიყენება. ტექნოლოგიის სასიცოცხლო ციკლის ეტაპების შესაბამისად გამოყოფენ მის შემდეგ სახეებს: უნიკალური (I ეტაპი), პროგრესული (II ეტაპი), ტრადიციული ანუ ჩვეულებრივი (III ეტაპი) და მორალურად მოძველებული (IV ეტაპი) [8, Артемьев, 1992].

უნიკალური ტექნოლოგიები სამეცნიერო-კვლევითი და გამოგონებლობის შედეგია. ამ სახის ტექნოლოგიები წარმოდგენილია გამოგონებებით და სხვა სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებებით, რომლებიც დაცულია პატენტებით ან შეიცავენ ნოუ-ჰაუს. ისინი უმაღლესი ტექნიკური დონითა და სიახლეებით გამოირჩევიან, რის გამოც მათ აბსოლუტური უპირატესობა აქვთ შესაბამისი დარგის ნებისმიერ ტექნოლოგიასთან შედარებით. ასეთი ტექნოლოგიის მფლობელი მონოპოლისტის როლში გამოდის და შეუძლია მაქსიმალური მოგების მიღება. პროგრესულ ტექნოლოგიებს მიეკუთვნებიან ისეთი სიახლეების შემცველი დამუშავებები, რომლებსაც ანალოგიურ ტექნოლოგიებთან შედარებით ტექნიკურ-ეკონომიკური უპირატესობა გააჩნიათ, ე. ი. მათი უპირატესობა ფარდობითი ხასიათისაა. ასეთი ტექნოლოგიები პატენტებით არაა დაცული და მკვეთრად გამოხატული ნოუ-ჰაუ არ გააჩნიათ. აღნიშნულის მიუხედავად, პროგრესული ტექნოლოგიების მყიდველს დამატებითი მოგება გარანტირებული აქვს.

ტრადიციული ტექნოლოგია მოცემული დარგის მწარმოებელთა უმეტესობის მიერ მიღწეულ საშუალო დონეს ასახავს, ამიტომ იგი მნიშვნელოვან ტექნიკურ-ეკონომიკურ უპირატესობას და, შესაბამისად, დამატებით მოგებას ვერ უზრუნველყოფს. მყიდველისათვის იგი მიმზიდველია იმიტომ, რომ მას დაბალი ღირებულება აქვს და გამოცდილია საწარმოო პირობებში. ტრადიციული ტექნოლოგია, ჩვეულებრივ, მოძველებული და ფართოდ გავრცელებული პროგრესული ტექნოლოგიაა.

ტექნოლოგია მორალურად მოძველებულია, როდესაც იგი საშუალო ხარისხის პროდუქციის წარმოებას და მის ისეთ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს ვერ უზრუნველყოფს, რომლებიც მიღწეულია ანალოგიური პროდუქციის მწარმოებელთა უმეტესობის მიერ.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, ხარისხობრივი დონის მიხედვით, ტექნოლოგიებს ოთხ ტიპად ყოფს [9]:

მაღალი ტექნოლოგიები, საშუალოზე მაღალი ტექნოლოგიები, საშუალოზე დაბალი ტექნოლოგიები და დაბალი ტექნოლოგიები. მაღალი ტექნოლოგიები მრეწველობის შემდეგ სფეროებში გამოიყენება: აეროკოსმოსური მრეწველობა, ფარმაცევტული წარმოება, საოფისე, ბუნებრივი ტექნიკისა და კომპიუტერების წარმოება, რადიო-ტელე- და საკომუნიკაციო მოწყობილობის წარმოება; ზუსტი, სამედიცინო და ოპტიკური ინსტრუმენტების დამზადება. საშუალოზე მაღალი ტექნოლოგიები – ელექტროტექნიკურ მანქანათმშენებლობაში, ხელსაწყოთმშენებლობაში, სტრანსპორტო მოწყობილობისა და ავტომანქანების ძრავების წარმოებაში, ქიმიურ მრეწველობაში (ფარმაცევტულის გარდა). საშუალოზე დაბალი ტექნოლოგიები – ბირთვული საწვავის, გაწმენდილი ნავთობპროდუქტების, კოქსის ღუმელების პროდუქციის, კაუჩუკის, პლასტმასების წარმოებაში, გემთმშენებლობაში, ძირითადი მეტალებისა და მზა მეტალის ნაწარმის წარმოებაში (მანქანებისა და მოწყობილობების გარდა). დაბალი ტექნოლოგიები ცელულოზის, ქაღალდის, ქაღალდის პროდუქციის, ბეჭდვითი მასალების წარმოებაში, კვებისა და თამბაქოს მრეწველობაში, სასმელების წარმოებაში, ტექსტილისა და ტყავის წარმოებაში.

ტექნოლოგიები ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. როგორც ცნობილია, ნებისმიერი ეკონომიკური სისტემისათვის დამახასიათებელია განვითარების, ზრდის და სტაგნაციის სტადიები.

განვითარების სტადიაზე სიახლეების ათვისება ხდება. ამ პერიოდში „ლიდერი“ სამეურნეო სუბიექტები ახალ პროდუქტებს ქმნიან, ახალ ტექნოლოგიებს წარმოადგენ, ახალ ბაზრებს ითვისებენ და ა. შ. ინოვაციების შედეგად ლიდერების საქმიანობა მაღალეფექტიანია, მაგრამ ასეთი კომპანიების რაოდენობა მცირეა. მცირეა, აგრეთვე, ინვესტიციების მოცულობა, რადგან ინოვაციები დიდ რისკებთანაა დაკავშირებული. აღნიშნული ეკონომიკური ზრდის ტემპების არამდგრადობას განაპირობებს განვითარების სტადია, როგორც წესი, დაახლოებით 10 წელს მოიცავს. ამ ვადაში ლიდერი კომპანიები თავიანთ პოზიციებს განამტკიცებენ, მათ გამოცდილებას სხვა კომპანიები იზიარებენ, იზრდება არა მარტო ცალკეული სუბიექტების, არამედ მთელი ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობის მაჩვენებელი. ყოველივე ეს განაპირობებს ინვესტიციების მასშტაბურობას და ეკონომიკური სისტემა ზრდის სტადიაში გადადის.

ზრდის სტადიაზე განვითარების სტადიაზე დაგროვილი ინოვაციების ტირაჟირება წარმოებს. სიახლეებს ადგილი არ გააჩნია. ამ სტადიისათვის დამახასიათებელია დიდი ინვესტიციები და ზრდის მყარი, მაღალი ტემპები. ეს სტადიაც დაახლოებით 10 წელი გრძელდება. მისი შედეგია არსებულ ინოვაციებზე მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება და ინვესტიციების ეფექტიანობის დაცემით იწყება სტაგნაცია.

სტაგნაციის სტადიაზე სამეურნეო სუბიექტებს სიტუაციის გააზრებისათვის და ახალი ინოვაციების მისაღებად დრო სჭირდებათ. ამ სტადიას ახასიათებს ზრდის დაბალი ტემპები, მცირე ინვესტიციები და მათი დაბალი ეფექტიანობა. იწყება ახალი იდეების ძიება, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ განვითარების ახალ ტალღაზე გადასვლა.

საქონლის სასიცოცხლო ციკლის თეორიის შესაბამისად, ქვეყნების სიმწიფის სხვადასხვა ეტაპზე მყოფი ერთი და იმავე საქონლის წარმოებასა და ექსპორტზე სპეციალიზდება. მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციაში (Association of Southeast Asian Nations – ASEAN) შემავალი ქვეყნები ტექნოლოგიების სფეროში იმას ახორციელებენ, რაც ადრე ახალი ინდუსტრიული ქვეყნებისათვის იყო დამახასიათებელი. ისინი სპეციალიზაციის ხარისხის უზრუნველყოფას ცდილობენ. ამ მოვლენას „მფრინავი ბატების“ თეორიას (კონცეფციას, პარადიგმას) უწოდებენ. „მფრინავი ბატების“ თეორია შემუშავებულია მე-20 საუკუნის 30-იან წლებში იაპონელი მეცნიერის კ. აკამაცუს მიერ [10, Akamatsu, 1961, 11, Akamatsu, 1962, 12, Schröppel, 2002]. იაპონია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ცდილობდა ეკონომიკური ჩამორჩენილობის გადალახვას და ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას. თეორიის არსი გამოიხატება ეკონომიკური ზრდის გაფართოებაში და, იმავდროულად, ქვეყანაში იმპორტის შემცირებაში. ეკონომიკური ზრდის ზონის კონფიგურაცია ბატების გუნდს ჰგავს. კონფიგურაცია სამკუთხედის ფორმისაა – მწვერვალიდან ქვევით მოდის გაფართოების ზონა. საწყის ეტაპზე სახელმწიფო ადგილობრივ მწარმოებლებს იმპორტის შეზღუდვით იცავს. ეს ეროვნული წარმოების განვითარებას უზრუნველყოფს, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვით ასევე შესაძლებელია მომიჯნავე წარმოებების განვითარება, ბაზრის წილების გადიდება და კაპიტალის დაგროვება [10, Akamatsu, 1961, 11, Akamatsu, 1962].

„მფრინავი ბატების“ თეორია გამიზნულია უცხოური კაპიტალის მოზიდვაზე და ეროვნული ეკონომიკის ინტერესების დაცვას ემსახურება. კ. აკამაცუს მტკიცებით, არსებობს დარგის განვითარების სამი ფაზა:

1. პროდუქცია ეკონომიკაში უცხოური მწარმოებლების იმპორტის სახით შედის;
2. მზარდი ეროვნული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ახალი ადგილობრივი საწარმოები იხსნება;
3. ჭარბი პროდუქციის ექსპორტი ახალ საერთაშორისო ბაზრებზე ხორციელდება.

კ. აკამაცუმ აღმოაჩინა, რომ იმპორტის, ადგილობრივი წარმოებისა და ექსპორტის თანმიმდევრული გამოჩენა გრაფიკულად გარეული ბატების გუნდის ფორმირებას ჰგავს. მრავალი წლის განმავლობაში ტექსტილის მრეწველობის დარგებისა და საქონლის შესწავლით მან იაპონიის სამრეწველო სექტორის შიდა პროცესების დინამიკისა და კონკურენტუნარიანობის ცვლილებების დემონსტრირება შეძლო [11, Akamatsu, 1962].

„მფრინავი ბატების“ თეორია შექმნილია არა მოწინავე, არამედ დამწვევი ქვეყნის პოზიციიდან და ეს, ფაქტობრივად, „ჩამორჩენის დამღვეის ციკლის“ მოდელია. ამიტომ მას უფრო ზუსტად შეუძლია განვითარებადი ქვეყნის ევოლუციის ახსნა, რომელშიც ასეთი ციკლი იწყება რომელიმე პროდუქტის იმპორტით და შემდგომ ლიდერთან მეტოქეობაში გადაიზრდება. დამწვევი მოდერნიზაციის (პიონერისაგან განსხვავებით, სადაც ახალი ტექნოლოგიური წყობა ყალიბდება წინას საფუძველზე განვითარების შინაგანი იმპულსების შედეგად) მთავარი მახასიათებელია ლიდერების მიერ უკვე შექმნილი ტექნოლოგიური და ეკონომიკური განვითარების მექანიზმების ათვისება [13, Okita, 1985].

ფორმალურად ტექნოლოგია შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც ინფორმაციის, სოციალური და ფიზიკური სივრცეების შემკვრელი, დამაკავშირებელი. სხვა მიდგომით იგი შემეცნების ობიექტივიზაციის, ტრანსფორმაციის ფორმაა. ცოდნის გარდაქმნა ტექნოლოგიად ერთ-ერთი გზაა განუსაზღვრელი რაოდენობის ადამიანებისათვის ცოდნის გადასაცემად. ცოდნა თანამედროვე ეკონომიკის საფუძველია. აღსანიშნავია, რომ ცოდნა ყოველთვის იყო ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტი. ჯერ კიდევ XVII საუკუნეში უ. პეტიმ წამოაყენა იდეა

ქვეყნის ეროვნულ სიმდიდრეში მოსახლეობის შრომითი უნარების უპირველესი ფასეულობისა და მნიშვნელობის შესახებ. ა. ადამ სმითმა განავითარა ეს იდეა და საზოგადოების ძირითად კაპიტალში მანქანებსა და მიწასთან ერთად ჩართო ცოდნა და კვალიფიკაცია [8, Артемьев, 1992]. მართალია, ცოდნას, როგორც ადამიანის („ადამიანისეულ კაპიტალის“) და ტექნოლოგიების განვითარების საფუძველს, ყოველთვის ეკავა ცენტრალური ადგილი ეკონომიკურ განვითარებაში, მაგრამ მხოლოდ უკანასკნელ წლებშია აღიარებული მისი, როგორც ეკონომიკური ზრდის მთავარი წყაროს, ფარდობითი მნიშვნელობა.

მრავალი მკვლევარი აღიარებს, რომ ინვესტიციები განათლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში დიდ გავლენას ახდენს კაპიტალის დაგროვებაზე, ზრდის ინდივიდის ხელფასს, ფირმებისა და ეროვნული ეკონომიკის პროდუქტიულობას. დამტკიცებულია, რომ ფირმის ძირითადი კომპეტენციები და კონკურენტული უპირატესობა განპირობებულია ინვესტიციებით ადამიანისეულ კაპიტალში [14].

ადამიანისეული კაპიტალის კონცეფციის ფორმირება მოხდა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის უშუალო ზეგავლენით. XX საუკუნის 60-იან წლების დასაწყისში ბეკერისა [15, Becker, 1964, 1993] და შულციის [16, Schultz, 1961, 17, Schultz, 1971, 18, Schultz, 1972] კლასიკური შრომები გამოქვეყნდა. ამ შრომებში ინდივიდის დანახარჯები ცოდნისა და უნარჩვევების შეძენაზე განიხილება, როგორც ინვესტიციები, რომელთაგან მიღებული მოგება ინდივიდის მიერ მისი შრომითი საქმიანობის მთელი დროის განმავლობაში მიღებულ შემოსავალს აღემატება. ა. მარშალი [19, Marshall, 1890] ცოდნას განიხილავს, როგორც სამეწარმეო საქმიანობის აუცილებელ პირობას. მოგვიანებით ნ. კონდრატიევა [20, Barnett, 1998] კონიუნქტურის დიდი ციკლების თეორია ჩამოაყალიბა, რომელიც გამოგონებებისა და ინოვაციების ტალღის ახალ ციკლზე გადასვლას დაუკავშირა. სვეიბმა [21, Sveiby, 1989, 22, Sveiby, 2012] ეკონომიკური პროცესები ცოდნის თვალსაზრისით შეაფასა. ცოდნის მნიშვნელობა ეკონომიკურ განვითარებაში გაანალიზებულია ბოისოტის [23, Boisot, 1999], ლუნდველის [24, Lundvall, 2010] და სხვათა მიერ. ისინი აღნიშნავენ, რომ ცოდნის ეკონომიკაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანურ რესურსებს. ა. მედისონმა [25, Madison, 1991] დაადგინა, რომ რაც უფრო

დიდია განათლებული ადამიანების წილი მოსახლეობის რიცხოვნებაში, მით უფრო მაღალია ეკონომიკური ზრდის ტემპები. მან ასევე განსაზღვრა კანონზომიერება, რომლის თანახმად, განათლებაში ინვესტიციების 1%-ით ზრდა იწვევს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას 0.35%-ით.

ცოდნის საზოგადოება მისი ყველა წევრის მიერ შექმნილ ცოდნასა და მის გამოყენებას მოიცავს. ასეთ საზოგადოებაში მაღალია ცხოვრების დონე და უსაფრთხოება [26]. ცოდნის დიდი მნიშვნელობის გამო, იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტის 2003 წლის მოხსენება განათლებაში ინვესტიციებისა და ეკონომიკური ეფექტების შესწავლის საკითხებს მიემდინება. მასში განხილულია განათლებაში განხორციელებული სხვადასხვა ინვესტიცია და მათი უკუგება.

ადამიანებისა და ერების ეკონომიკური და სოციალური პირობების ცვლილებებში, მათ განვითარებაში ცენტრალურ როლს ცოდნა და უნარები ასრულებს. ადამიანისეული კაპიტალი დიდი ხანია განსაზღვრულია უმუშევრობის, დაბალი ანაზღაურებისა და სიღარიბის პრობლემების გადაწყვეტის ფაქტორად. ამჟამად ასევე დამტკიცებულია, რომ იგი ეკონომიკურ ზრდასთან ერთად უზრუნველყოფს არაეკონომიკურ სარგებელს, მათ შორის მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და კეთილდღეობის ზრდას. აღნიშნულმა გაზარდა ადამიანისეულ კაპიტალში ინვესტიციების ზრდის აუცილებლობა. თავის მხრივ, შორს მიმავალი სოციალური და ეკონომიკური მიზნების მისაღწევად ადამიანისეულ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციების დადებითი შედეგების მისაღებად აუცილებელია ადამიანისეული კაპიტალის ბუნების შესწავლა, ინდივიდუალური, სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებაში მისი როლის დადგენა და მისი მიწოდების ზრდისა და ეფექტიანობის სხვადასხვა ღონისძიების განსაზღვრა [27].

2004 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) მიერ დადგენილია, რომ კონკრეტულ ქვეყანაში სწავლის საშუალო სტატისტიკური ხანგრძლივობის ერთი წლით გაზრდა მის მთლიან შიდა პროდუქტს 3-6%-ით ზრდის.

თანამედროვე ეტაპზე კიდევ ცოდნის მნიშვნელობის არსებითი ზრდა აიხსნება შემდეგი ტენდენციების ეფექტიანობით [28]:

- ტექნოლოგიური გლობალიზაცია და ადამიანისეული კაპიტალის როლის ზრდა;
- ინოვაციების, როგორც ორგანიზებული საქმიანობის ზრდა;
- „ახალი ეკონომიკის“ გაჩენა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების საფუძველზე;
- ინოვაციური ინფრასტრუქტურისა და ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ინოვაციური საქმიანობის რეგულირების სისტემის განვითარება;
- უმაღლესი განათლების მასობრივობა და ხელმისაწვდომობა;
- „მეცნიერება-ტექნოლოგია-წარმოება-მოხმარება“ სისტემის გართულება და ა. შ.

ცოდნის ეკონომიკა – ეკონომიკის განვითარების უმაღლესი ტიპია, რომელიც ხასიათდება ინფორმაციული საზოგადოებით ან ცოდნის საზოგადოებით. ცოდნის ეკონომიკა განსხვავდება ტრადიციული ეკონომიკისაგან შემდეგი ძირითადი მიზეზების გამო [29]:

- ეკონომიკაში დეფიციტი კი არა, სიუხვეა. სხვა რესურსებისაგან განსხვავებით, რომლებიც გამოყენების დროს იშლება, ინფორმაცია და ცოდნა შეიძლება დაიყოს და გამოყენების დროს გაიზარდოს;
- ადგილმდებარეობის ეფექტი მცირდება. შესაბამისი ტექნოლოგიებისა და მეთოდების გამოყენებით იქმნება ვირტუალური ბაზრები და ვირტუალური ორგანიზაციები, რომელთაც ახასიათებს დიდი სიჩქარე და მანევრირების უნარი, ოპერაციების გლობალური მოცვის შესაძლებლობა დროსა და სივრცეში;
- შეუძლებელია კანონების, ბარიერებისა და გადასახადების გამოყენება მხოლოდ ეროვნულ დონეზე. ცოდნა და ინფორმაცია გაედინება იქ, სადაც დიდია მოთხოვნა და მცირეა ბარიერები;
- ცოდნა განაპირობებს საქონლისა და მომსახურების მაღალ ფასისმიერ პრემიებს ნაკლებად მეცნიერებატევად საქონელსა და მომსახურებასთან შედარებით;
- ფასები და ღირებულება დამოკიდებულია კონტექსტზე. ერთსა და იმავე ინფორმაციას ან ცოდნას შეიძლება ჰქონდეს სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა სხვადასხვა ადამიანისათვის და სხვადასხვა დროს;

- სისტემებში ან პროცესებში ჩართულ ცოდნას აქვს უფრო მაღალი შიდა ღირებულება, ვიდრე ადამიანის გონებიდან „კარებში გამოსვლის“ დროს;
- ადამიანისეული კაპიტალი – კომპეტენციები – საკვანძო კომპონენტია ცოდნაზე დაფუძნებული კომპანიის ღირებულებაში.

გლობალურ ეკონომიკაში ინოვაციურად წარმატებული ქვეყნების გამოცდილების ანალიზით დადგენილია, რომ ყველა ქვეყანას ინოვაციური განვითარების საერთო ინსტრუმენტები აქვს, მაგრამ არ არსებობს ინოვაციური განვითარების მთლიანად იდენტური პროგრამები და სტრატეგიები: ყოველი ქვეყანა ინდივიდუალურობით ხასიათდება და ამიტომ მას ინოვაციური განვითარების საკუთარი სტრატეგია სჭირდება.

დასკვნა

თანამედროვე ეტაპზე ბიზნესის განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ტექნოლოგიური გარემო, რომელზეც დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და მისი გლობალური კონკურენტუნარიანობა. ტექნოლოგიურ გარემოში მოქმედი ფაქტორები ხელს უწყობს ძირითადი კაპიტალის განახლებასა და გაფართოებას, ახალი დარგების შექმნასა და ძველი წარმოებების ძირფესვიან ტექნიკურ რეკონსტრუქციას, შრომის მწარმოებლურობისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო გარკვეული კანონზომიერებების შესაბამისად ფუნქციონირებს და ნეოტექნოლოგიური მიმართულების თეორიებს ეფუძნება. ნეოტექნოლოგიური თეორიებიდან აღსანიშნავია კლებადი ხარჯების (მასშტაბის ეფექტის), ტექნოლოგიური უფსკრულის, საქონლის სასიცოცხლო ციკლის და მფრინავი ბატების თეორიები. ამ თეორიებით შეიძლება აიხსნას ამა თუ იმ ქვეყნის ტექნოლოგიური განვითარების ეტაპები და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრინციპულად ახალი შესაძლებლობები, მათ შორის, ინტელექტუალური (ადამიანისეული) კაპიტალის მნიშვნელობა, რომელიც დღეს ეკონომიკის ზრდის მთავარ წყაროდ და მისი მართვის ინსტრუმენტად გვევლინება. ინტელექტუალური პოტენციალის რაციონალური გამოყენება, ინოვაციური საქმიანობის გააქტიურება დღეს ყველა ქვეყნისა და მთლიანად მსოფლიო მე-

ურნეობის განვითარების მასტიმულირებელი ფაქტორია. ეკონომიკური აღმავლობა იქ ვლინდება, სადაც მაღალია ინტელექტუალური დონე და ინოვაციური უნარი. ამიტომ საქართველო საჭიროებს განვითარების ინოვაციურ მოდელზე გადასვლას და იგი ზემოთ განხილულ თეორიულ-მეთოდოლოგიურ პრინციპებს უნდა დაეფუძნოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Salomon J. (1984)** What is Technology? The Issue of its origins and definitions // *History of technology*. 1984/ Vol. 1. P. 113-156.
2. **В.И. Фомичев (2001)**, Международная торговля. Учебник; 2-е изд., перераб. и доп. - М.: ИНФРА-М., - 446 с.
3. Неотехнологические теории <http://mybiblioteka.su/3-23967.html>
4. **Vernon, Raymond (1966)**: International Investment and International Trade in the Product Cycle. In: *The Quarterly Journal of Economics* 80, 2, pp. 190-207
5. The Product Cycle Theory http://www.wright.edu/~tdung/product_cycle.htm
6. Теория “цикла жизни продукта” (product life cycle theory) http://kommersant.org.ua/book_o023_page_13.html
7. **Ford D., Ryan C. (1951)**, Taking Technology to Market//HBR, Mar-Apr. P.117-126
8. **Артемьев И.Е. (1992)**.Рынки технологий в мировом хозяйстве. М., Наука.
9. Мировая экономика <http://uchebnik.biz/book/363-mirovaya-yekonomika/58-122-tendencii-razvitiya-mirovyx-rynkov-texnologij-i-informacii.html>
10. **Akamatsu, Kaname (1961)**: A Theory of Unbalanced Growth in the World Economy. In: *Weltwirtschaftliches Archiv*, Hamburg, no.86, pp.196-217.
11. **Akamatsu, Kaname (1962)**: A Historical Pattern of Economic Growth in Developing Countries. In: *The Developing Economies*, Tokyo, Preliminary Issue No.1, pp.3-25.
12. Christian Schröppel and Nakajima Mariko. (2002), The changing interpretation of the flying geese model of economic development. http://contemporary-japan.org/back_issues/japanstudien_14_japan_als_fallbeispiel/dij-jb14-Schroeppelel-Nakajima.pdf pp. 203-236

13. **Okita, Saburo, (1985)**, “Special Presentation: Prospect of Pacific Economies”, Korea Development Institute, Pacific Cooperation: Issues and Opportunities, pp.18-29, Seoul.
14. Human capital and its measurement. The 3rd OECD World Forum on “Statistics, Knowledge and Policy” Charting Progress, Building Visions, Improving Life. Busan, Korea – 27-30 October 2009 <http://www.oecd.org/site/progresskorea/44109779.pdf>
15. **Becker G. S. (1964, 1993, 3rd ed.)**. Human Capital: A Theoretical and Empirical Analysis, with Special Reference to Education. Chicago, University of Chicago Press. ISBN 978-0-226-04120-9 Becker G. S. (1975). Human Capital: A Theoretical and Empirical Analysis with Special Reference to Education (2nd Ed.). NBER, 268 p. ISBN: 0-226-04109-3 <http://www.nber.org/chapters/c3733.pdf>
16. **Schultz T. W. (1961)**. Investment in Human Capital. American Economic Review, 51, pp. 1-17
17. **Schultz T. W. (1971)**. Investment in Human Capital: The Role of Education and of Research, New York: Free Press, 272 p.
18. **Schultz T. W. 1972**. Human Resources (Human Capital: Policy Issues and Research Opportunities), New York: National Bureau of Economic Research <http://www.nber.org/chapters/c4126.pdf>
19. **Marshall A. (1890)**. Principles of Economics (8th ed.) http://files.libertyfund.org/files/1676/Marshall_0197_EBk_v6.0.pdf
20. **Barnett Vincent (1998)** Kondratiev and the Dynamics of Economic Development: Long Cycles and Industrial Growth in Historical Context (Studies in Russian and East European History and Society). Palgrave Macmillan. 251 p. ISBN-13: 978-0312210489, ISBN-10: 0312210485
21. **Sveiby K. E., Lloyd T. (1989)** Managing Knowhow. Bloomsbury Pub Ltd ., 208 p. ISBN-13: 978-0747503316, ISBN-10: 0747503311
22. **Sveiby K. E. (2012)**. Challenging the Innovation Paradigm. Routledge, Edition 1st , 286 p. ISBN-13: 978-0415522755, ISBN-10: 0415522757
23. **Boisot M.H. (1999)**, Knowledge Assets: Securing Competitive Advantage in the Information Economy. Oxford University Press, 312 p. ISBN-13: 978-0198296072, ISBN-10: 019829607X

24. **Lundvall B. A. (2010)**. National Systems of Innovation: Toward a Theory of Innovation and Interactive Learning Anthem Press, 404 p. ISBN-13: 978-1843318668, ISBN-10: 1843318660
25. **Madison A. (1991)** Dynamic Forces in Capitalist Development: A Long-Run Comparative View. Oxford University Press, 352 p. ISBN-13: 978-0198283980, ISBN-10: 0198283989
26. Understanding Knowledge Societies United Nations. New York, 2005 United Nations publication. ISBN 92-1-109145-4 <http://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/UN/UNPAN020643.pdf>
27. Financing education – investments and returns analysis of the world education indicators. 2002 edition http://www.uis.unesco.org/Library/Documents/wei02_en.pdf
28. The Global Knowledge Economy: and its implication for markets <http://www.skyrme.com/insights/21gke.htm>
29. The Knowledge-Based Economy. Paris: OECD, 1996. <http://www.oecd.org/science/sci-tech/1913021.pdf>

თავი 3.

ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს სტატიკური პარამეტრების მახასიათებლები საქართველოში

საქართველოს გეოგრაფიული, გეოპოლიტიკური მდებარეობა და მისი ბუნებრივი რესურსები ქვეყნის ტექნოლოგიური გარემოს მნიშვნელოვანი კომპონენტებია. საქართველო ისტორიულად ევროპის და აზიის გასაყარზე – კავკასიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. კავკასია მოიცავს ტერიტორიას შავ, აზოვის და კასპიის ზღვებს შორის. კავკასიონის ქედი მას ორ ნაწილად, ჩრდილოეთ, ანუ იმიერკავკასიად და სამხრეთ, ანუ ამიერკავკასიად ყოფს. საქართველო ამ უკანასკნელის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. ფართობი 69700 კმ-ია, საქართველოს საზღვრის საერთო სიგრძე 2149 კმ-ია, აქედან 1839 კმ. სახმელეთოა, 310 კმ. – საზღვაო. საქართველოს აღმოსავლეთით აზერბაიჯანის რესპუბლიკა ესაზღვრება, ჩრდილოეთით საქართველოს საზღვარი რუსეთის ფედერაციასთან (კრასნოდარის მხარე, ყარაჩაი-ჩერქეზეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, ინგუშეთი, ჩეჩნეთი და დაღესტანი) დიდი კავკასიონის ქედზე გადის, რომელიც სიმაღლით 5000 მეტრს აღწევს, სამხრეთ საზღვარი, რომელიც საქართველოს თურქეთისა და სომხეთის რესპუბლიკებისგან ყოფს, მცირე კავკასიონსა და ჯავახეთის ზეგანზეა განლაგებული. დიდი კავკასიონი ყოველთვის ეროვნული თუ კულტურული თვითმყოფადობის სიმბოლოს წარმოადგენდა. გარდა ამისა, კავკასიონის მთები საქართველოს ჰიდრო-ელექტრო და ხე-ტყის რესურსების, ასევე, ტურიზმის პოტენციალის განმსაზღვრელი ფაქტორია. საქართველოს დასავლეთ საზღვარს (მდინარე ფსოუს შესართავსა და სოფელ სარფს შორის) შავი ზღვის სანაპირო ქმნის. ბოლო საუკუნის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო და ურბანული განვითარების გამო, საქართველოს დაბლობში ტერიტორიის დიდ ნაწილზე ტყეები გაიჩეხა, მიუხედავად ამისა, ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის 40%-მდე ჯერ ისევ ტყითაა დაფარული. ქვეყანას მნიშვნელოვანი ჰიდრო-ენერგო რესურსი გააჩნია (რომელიც სა-

ქართველოს ელექტროენერგიაზე მოთხოვნის უდიდეს ნაწილს აკმაყოფილებს). ასევე, მოიპოვება სხვადასხვა სახეობის მინერალური წყლები, რომელთაგან რამდენიმე საერთაშორისოდ აღიარებული ბრენდია და წარმატებული კომერციული გამოყენება აქვს. სხვადასხვა დროს საქართველოში წარმატებით მოიპოვებდნენ მანგანუმს, ოქროს, ვერცხლს, სპილენძს და რკინას [1, 2].

საქართველო კავკასიის შემადგენელი ნაწილია, კავკასია კი ევრაზიის ყელზეა განლაგებული, ევროპასა და აზიას შორის საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის განსაზღვრა პირობითია, თუმცა თავად საქართველო არჩევანს ევროპის სასარგებლოდ აკეთებს და „შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ქვეყანას ისტორიულად გააჩნია მისწრაფება, იყოს ევროპის არა მარტო გეოგრაფიული ნაწილი; სამწუხაროდ, გასულ საუკუნეებში ასეთი სურვილის ცალმხრივობის გამო, ვერც სულხან-საბა ორბელიანის ეპოქაში, ვერც 1918-1921 წლებში ამ სანუკვარი ოცნების აღსრულება ვერ მოხერხდა“ [3, პაპავა. ვ., 2002]. 2014 წლის 27 ივნისს საქართველომ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს ასოცირების შესახებ შეთანხმებას, ეს შეთანხმება ჩაანაცვლებს 1996 წელს ხელმოწერილ “Partnership and Cooperation Agreement – PGA”-ს და შექმნის საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ახალ ჩარჩოს. „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ამბიციური და ინოვაციური, ე. წ. ახალი თაობის შეთანხმებაა, რამდენადაც მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, მოიცავს “Deep and Comprehensive Free Trade Area – DC FTA” [დადელიშვილი ნ., 2013] და ქმნის საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის შეუქცევადობის საფუძველს.

ეკონომიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, საქართველო ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარეობს და ოდითგან დასავლეთისა და აღმოსავლეთის ცივილიზაციების დამაკავშირებელ ხიდს წარმოადგენდა, შავიზღვისპირა მდებარეობა კი მას დიდ უპირატესობას ანიჭებს აზერბაიჯანთან და სომხეთთან შედარებით. საქართველო შავი ზღვით უკავშირდება შავიზღვისპირეთის ქვეყნებს, ხოლო ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებით – ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს. გიბრალტალის სრუტით შესაძლებელია კავშირი მთელ მსოფლიოსთან, მდინარე დუნაის მეშვეობით

კი – აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებთან [5]. „ევრაზიის კონტინენტზე საქართველოს უნიკალური მდებარეობა გააჩნია. თუ რუკას შევხედავთ, საქართველო საკმაოდ პატარაა, ძალიან სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა აქვს და საკმაოდ საინტერესო ქვეყნებს ესაზღვრება. რაც ასევე საინტერესოა, არის ის, რომ ჩვენ ასევე ვაერთიანებთ აზიურ ნაწილს შავი ზღვის რეგიონთან და ევროპის ნაწილთან და ამას ვაკეთებდით ასწლეულების განმავლობაში. საბჭოთა კავშირის დასრულების შემდგომაც ჩვენ კარგად გვქონდა წარმოდგენილი ჩვენი სტრატეგიული როლი, ადგილი ცივილიზებულ სამყაროში. ჩვენი როლი, როგორც გამაერთიანებლისა ორ გლობალურ სამყაროს შორის, არის გაერთიანება სატრანსპორტო მაგისტრალებისა და იმ კონცეფციის განხორციელება, რასაც სატრანზიტო კონცეფცია ჰქვია“ [6].

სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობის გამო საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სატრანზიტო და ენერგეტიკული დერეფნის გაძლიერებას. სატრანზიტო და ენერგეტიკული დერეფნის ფუნქციონირებით საქართველომ შეიძინა ევროპა-აზიის ქვეყნების ეკონომიკური ინტერესების დაბალანსების ხელშემწყობი ქვეყნის ფუნქცია. „კარგად განვითარებული სატრანსპორტო, ენერგო, ლოგისტიკური და სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა ქვეყნის კონკურენტუნარიანობის და სატრანზიტო პოტენციალის ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ამასთან, ლოგისტიკა, როგორც თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი დარგი, შესაძლებლობას უქმნის საქართველოს, მაქსიმალურად გამოიყენოს საკუთარი სატრანზიტო და სავაჭრო პოტენციალი. შესაბამისად, სახელმწიფოს პოლიტიკა მიმართული იქნება ამ დარგის შემდგომი განვითარებისკენ, მათ შორის ინფრასტრუქტურის განვითარების, დარგში ინვესტიციების მოზიდვის და ქვეყნის საერთაშორისო და რეგიონულ სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაციის გზით“ [7].

მასშტაბური რეგიონული პროექტების რეალიზაცია (ტრანსნაციონალური პროექტები ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროში), რომელშიც საქართველო მონაწილეობს, სამუშაო ადგილების შექმნის, ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და კონკურენტუნარიანობის გაძლიერების მნიშვნელოვანი ფაქტორია. ქვეყნის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი სატრანსპორ-

ტო, სატრანზიტო მაგისტრალების მშენებლობამ უზრუნველყო ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარება. საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა მას შემდეგ დადასტურდა და გაიზარდა, როცა საფუძველი ჩაეყარა „ბაქო-სუფსის“ და „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენის მშენებლობას. აღნიშნული ნავთობსადენებით, საქართველო „ძალზე მნიშვნელოვან საერთაშორისო ეკონომიკურ ფუნქციას იძენს... სწორედ ნავთობსადენია ის „საჯილდაო ქვა“, რამაც საქართველოთი სტრატეგიული ინვესტიორების დაინტერესება უნდა განაპირობოს“ [3, პაპავა ვ., 2002].

ბაქო-სუფსის მილსადენის სახელით ცნობილი დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენი (WREP) საერთაშორისო ნავთობკონსორციუმის მიერ განხორციელებული პირველი ინვესტიციაა საქართველოში [8]. მილსადენის საშუალებით აზერბაიჯანში კასპიის ზღვის ჩირაგის საბადოდან მოპოვებული ნავთობი, სანგაჩალის ტერმინალის გავლით, დასავლეთ საქართველოში სუფსის ტერმინალამდე მიდის. დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენის სიგრძე 830კმ-ია, აქედან, საქართველოს მონაკვეთი 375 კმ-ს შეადგენს. მილსადენის მშენებლობა საერთაშორისო ნავთობ-კონსორციუმმა დააფინანსა. მილსადენის მშენებლობის ფარგლებში ასევე განხორციელდა სუფსის ტერმინალის მშენებლობა, რომლის ტევადობაც ერთ მილიონ ბარელს აღემატება.

1999 წ. ეუთოს სტამბულის სამიტზე, საქართველომ, აზერბაიჯანმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებას ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) მილსადენი ნავთობის კასპიის და ხმელთაშუა ზღვებს შორის ტრანსპორტირების პირველი და უმოკლესი მარშრუტია. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი მილსადენის სრული სიგრძე 1768 კმ-ია. აქედან, 443 კილომეტრი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, 249 კილომეტრი საქართველოს ტერიტორიაზე და 1076 კილომეტრი თურქეთში გადის. BTC „აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის“ საბადოდან მოპოვებული ნავთობი თურქეთში, ხმელთაშუაზღვისპირა (ჯეიჰანის) პორტში გადააქვს. ეს არის მსოფლიოში სიგრძით მეორე ნავთობსადენი. პირველია „დრუჟბას“ ნავთობსადენი, რომელსაც ნავთობი რუსეთიდან ცენტრალურ ევროპაში გადააქვს [8].

საქართველოს ტერიტორიაზე, ზემოაღნიშნულ გეოეკონომიკურად სტრატეგიული და საერთაშორისო მნიშვნელობის ნავთობსადენების გარდა, განთავსებულია ორი უმნიშვნელოვანესი გაზსადენი: ჩრდილოეთ-სამხრეთის და ბაქო-თბილისი-ერზუმიის გაზსადენები. ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენი მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში აშენდა და მას რუსული გაზი საქართველოსა და სომხეთში გადააქვს. აღნიშნული გაზის მილსადენის საქართველოს მონაკვეთის სიგრძე 221კმ-ია [8].

სამხრეთ-კავკასიური გაზსადენის (SCP), ანუ „შაჰდენიზის“ გაზსადენის დანიშნულებათა, საქართველოს გავლით, შაჰდენიზისა და კასპიის ზღვის აუზის სხვა საბადოებიდან მოპოვებული ბუნებრივი გაზის თურქეთში ტრანზიტი, ხოლო შემდეგ, თურქეთიდან ევროპის ბაზრებზე გაზის ტრანსპორტირების განხორციელება. SCP-ის მშენებლობა 2006 წელს დასრულდა, მილსადენით საქართველომ გაზი 2007 წლის დასაწყისში მიიღო [8]. გაზსადენის პროექტის ხელშეკრულებების თანახმად, საქართველო არის არა მარტო სატრანზიტო, არამედ ბუნებრივი გაზის მომხმარებელი ქვეყანა. საქართველოს აქვს ოფცია აზერბაიჯანიდან თურქეთში ტრანსპორტირებული გაზის 5%-მდე მოცულობა შეღავათიან ფასად შეისყიდოს. გარდა ამისა, პროექტის ფუნქციონირების დაწყებიდან 20 წლის განმავლობაში საქართველო პროექტის ინვესტორებისგან ბუნებრივი გაზის დამატებით მოცულობას – წელიწადში ნახევარ მილიარდ კუბურ მეტრ გაზს – სპეციალურ ფასში შეისყიდის. მომავალში გათვალისწინებულია გაზსადენის თურქმენულ და ყაზახურ მწარმოებლებთან შეერთება. ბაქო-სუფსის მილსადენი წელიწადში 5 მლნ. ტონა ნავთობს გაატარებს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი წელიწადში – 50 მლნ. ტონა ნავთობს, სამხრეთ-კავკასიური გაზსადენი (SCP) – 30 მლრდ კუბურ მეტრ გაზს. საქართველოს ტერიტორიაზე პროექტის მენეჯმენტს კონსორციუმის ყველაზე მსხვილი წილის მფლობელი, კომპანია BP ახორციელებს. BP საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინვესტორია, რომელმაც ინფრასტრუქტურისა და სოციალური განვითარების პროექტებში 1.5 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი დააბანდა.

სამხრეთ დერეფნის ფარგლებში გაზის ტრანსპორტირების ახალი მარშრუტის ჩამოყალიბების მიზნით 2009-2010 წლებში გამართული მო-

ლაპარაკებების შედეგად მიღწეულ იქნა შეთანხმება აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორის (AGRI – Azerbaijan-Georgia-Romania – Interconnector) პროექტის რეალიზაციაზე, რომელიც საქართველოს ტერიტორიის და შავი ზღვის გავლით რუმინეთში და შემდგომ ევროპის ბაზარზე გაზის (გათხევადებული ფორმით) ტრანსპორტირებას ითვალისწინებს. AGRI ევროკავშირის ენერგოდივერსიფიკაციისა და გაზის მიმწოდებელთა ალტერნატიული მარშრუტების შემუშავებას პასუხობს და საერთაშორისო მხარდაჭერით სარგებლობს [8]. საქართველოზე გამავალი ახალი ენერგოდერეფნების ამოქმედებას არა მხოლოდ კასპიის რეგიონში ნავთობის ექსპორტის ზრდა იწვევს, არამედ განპირობებულია როგორც ყაზახეთისა და აზერბაიჯანის, ასევე მსხვილი დასავლური ნავთობკომპანიების სურვილით, მოახდინონ ნავთობნაკადების დივერსიფიცირება, რათა ნაკლებად იყვნენ დამოკიდებული რუსეთის მიმართულ ლეგებზე.

სატრანზიტო პოტენციალის სრულად ათვისება საქართველოს მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს. ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის ათვისებაში მნიშვნელოვან როლს საქართველოს რკინიგზა ასრულებს. სარკინიგზო ტრანსპორტს ჩვენს ქვეყანაში თითქმის 140 წლის ისტორია აქვს. საქართველოს რკინიგზა თავისი განვითარებული ინფრასტრუქტურით განმსაზღვრელი ფაქტორია ევროპა – კავკასია – აზიის სატრანზიტო კორიდორის წარმატებული ფუნქციონირებისათვის. „ბაქო-თბილისი-ყარსის“ რკინიგზა (ე. წ. „აბრეშუმის გზა“) არის უმნიშვნელოვანესი, ახალი ეპოქის დასაწყისი, საქართველოს სატრანზიტო შესაძლებლობების ზრდისა და ახალი ბიზნესის განვითარების კუთხით. „ახალი „აბრეშუმის გზის“ მშენებლობა ხაზს უსვამს საქართველოს ტრანსფორმაციას მულტირეგიონალურ სავაჭრო კარიბჭედ, რომელიც აკავშირებს ევროპას, აღმოსავლეთ აზიას, ინდოეთს, ცენტრალურ აზიასა და შუა აღმოსავლეთს. საქართველოს წყალობით, კერძო პირებსა თუ კომპანიებს მარტივად მიუწვდებათ ხელი მილიარდობით მომხმარებელზე აზიასა და ევროპაში, ხოლო აზიის პროდუქცია და ენერგორესურსები საქართველოს გავლით ბევრად უფრო სწრაფად მიეწოდება ევროპას. „აბრეშუმის გზა“ საქართველოს გავლით ქვეყნებს მოკლე სახმელეთო მარშრუტით აკავშირებს. საქართველოს გეოგრაფიული განლაგება ნამდვილად

ეხმარება, რომ „ის ეკონომიკურ-რეგიონული, და ლოგისტიკური ჰაბი გახდეს“ [9].

საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის არსებული მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია საავტომობილო გზები. საქართველოს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების საერთო სიგრძე 6901 კმ-ს შეადგენს. საქართველოს ტერიტორიაზე სატრანზიტო ტვირთის გადაადგილებისათვის საერთაშორისო მნიშვნელობის გზის საერთო სიგრძეა 1603 კმ, ხოლო შიდასახელმწიფოებრივი გზის საერთო სიგრძე 5298 კმ. საშუალოდ ყოველწლიურად თითქმის 24,5 მილიონი ტონა ტვირთის და 257 მილიონი მგზავრის გადაზიდვა-გადაადგილება ქვეყნის საავტომობილო გზებით ხორციელდება. საქართველოში გადაზიდული ტვირთის მოცულობაში დიდი ხვედრითი წილი, დაახლოებით 59.9%, საავტომობილო გადაზიდვებზე მოდის [10]. ბოლო წლებში საქართველოში ძალიან განვითარდა ტვირთების სატრანსპორტო საერთაშორისო გადაზიდვა დიდი ტვირთამწეობის ავტომობილებით. საერთაშორისო მასშტაბით ტვირთების გადაზიდვები მაღალ მოთხოვნებს უყენებს გზების გამტარიანობას მთელი წლის განმავლობაში და მათი სატრანსპორტო-საექსპლუატაციო მახასიათებლების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის დონეზე შენარჩუნებას. საავტომობილო გზებზე მოძრაობის პირობების გაუმჯობესების და უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება: ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით შენდება ახალი ავტომაგისტრალები, მიმდინარეობს ძველი გზების რეკონსტრუქცია, უმჯობესდება გზების ტექნიკური მახასიათებლები, რომლებიც სულ უფრო და უფრო შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნების დონეს. საავტომობილო მარშრუტებზე ეწყობა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაგებობები, როგორებიცაა: სამგზავრო სადგურები, სატვირთო და საბაჟო ტერმინალები, საწვავით გასამართი პუნქტები, სარემონტო სახელოსნოები, გზისპირა სასტუმროები, კვებისა და ვაჭრობის ობიექტები.

აზიის განვითარების ბანკის (ADB) მხარდაჭერით მიმდინარეობს საქართველოს ეროვნული სატრანსპორტო პოლიტიკის დოკუმენტის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს სატ-

რანსპორტო დარგის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებას, კონკურენტუნარიანობის ზრდას, დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას, მულტიმოდალური გადაზიდვების განვითარებას, საქართველოს სატრანსპორტო სისტემების საერთაშორისო სისტემებთან ინტეგრაციას, უსაფრთხოებისა და მომსახურების დონის ამაღლებას, სატრანზიტო პოტენციალის სრულად გამოყენებას. ასევე, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით დაიწყო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სატვირთო გადაზიდვების და ლოგისტიკის განვითარების, ასევე მულტიმოდალური სატვირთო დერეფნების მწვანე ლოგისტიკის მიმართულებით საინვესტიციო პროგრამის შემუშავებას [11].

საქართველოს, როგორც მაღალი სატრანზიტო სტატუსის მქონე ქვეყნის ფუნქციონირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს ავიაცია. საქართველოს ავიაციამ დამოუკიდებლად ფუნქციონირება 1993 წლიდან დაიწყო, 1994 წელს საქართველო სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი გახდა. საქართველოში მოქმედი სააეროპორტო ქსელი 3 საერთაშორისო (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი) და 3 ადგილობრივი (მესტია, ნატახტარი, თელავი) დანიშნულების აეროპორტისაგან შედგება. ბოლო პერიოდში საქართველოში ტურისტული ნაკადის ზრდის ტენდენციამ საქართველოს საერთაშორისო აეროპორტებში მგზავრთნაკადების მატება განაპირობა. 2014 წლის განმავლობაში საქართველოს აეროპორტები 2 008 171 მგზავრს მოემსახურნენ. ეს მაჩვენებელი, 2013 წელთან შედარებით, 9,51%-ით (174 364 მგზავრით) არის გაზრდილი. 2014 წელს, მგზავრთნაკადმა მოიმატა საქართველოს ყველა საერთაშორისო აეროპორტში. თბილისის საერთაშორისო აეროპორტი 2014 წელს მოემსახურა 1 575 386 მგზავრს, რაც 9,7%-ით (139 340 მგზავრით) აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. მგზავრთნაკადის მსგავსად, 2014 წელს მოიმატა საჰაერო ტრანსპორტით საქართველოში გადაზიდული ტვირთების რაოდენობამაც. 2014 წლის განმავლობაში გადაზიდულ იქნა 19 659,075 ტონა ტვირთი, რაც 2,8%-ით მეტია 2013 წლის მაჩვენებლებზე (19 122,955 ტონა). გადაზიდული ტვირთების დიდი ნაწილი თბილისის საერთაშორისო აეროპორტზე მოდის [12]. როგორც ვხედავთ, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი ყველაზე დატვირთულია. ასეთი სურათის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი

პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, არსებული მდგომარეობა სრულიად ბუნებრივია. ამ ზომის ქვეყნების უმეტესობას, მხოლოდ ერთი ძირითადი საერთაშორისო აეროპორტი ემსახურება [3]. 2014 წელს, საქართველოს საავიაციო ბაზარზე რეგულარულ სამგზავრო გადაყვანებს ახორციელებდა 3 ქართული („ჯორჯიან ეარვეისი“, „ვისტა ჯორჯია“, „ე-არ კავკასუსი“) და 32 უცხო ქვეყნის ავიაკომპანია. ბოლო ერთი წლის მანძილზე, საქართველოს აეროპორტებიდან რეგულარული რეისების განხორციელება შემდეგმა უცხოურმა კომპანიებმა დაიწყეს: „Air Arabia“, „YANAIR“, „Dniproavia“, „Air Cairo“. 2014 წლის 27 ოქტომბრიდან აღდგა რეგულარული საჰაერო მიმოსვლა საქართველოსა და რუსეთს შორის აღდგა. საჰაერო მიმოსვლას თბილისსა და მოსკოვს შორის ასრულებენ საქართველოს მხრიდან „ჯორჯიან ეარვეისი“, ხოლო რუსეთის მხრიდან: „S7 Siberia“ (სიბირი), „ტრანსაერო“ და „აეროფლოტი“ [12]. საქართველოს აეროპორტები კარგად არის დაკავშირებული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან ტრანზიტული ფრენებით, თუმცა ქვეყნის ერთდერთი მთავარი პრიორიტეტია პირდაპირი ფრენების განვითარება, რაც ტურიზმის განვითარებას ხელს შეუწყობს და ასევე დადებითად აისახება ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე. საქართველოს აქვს სტრატეგიული მიმართულებები, რომლებშიც გვინდა დახმარება. ეს მიმართულებებია: იტალია გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, ესპანეთი, შვეიცარია და ბელგია, ასევე რუმინეთი, ბულგარეთი, სლოვაკეთი, ჩინეთი, ინდოეთი და იაპონია [11].

სტრატეგიული მნიშვნელობის საქართველოს პორტები და ტერმინალები – ბათუმი, ფოთი, ყულევი, პირდაპირ უკავშირდებიან აზერბაიჯანის, უკრაინის, რუსეთის, ბულგარეთის სარკინიგზო ხაზებს. ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ისტორია პრაქტიკულად, კავკასიის რეგიონის ლოჯისტიკური ცენტრის ფორმირების ისტორიაა, რომელმაც საქართველოს, როგორც ტრანზიტული ქვეყნის როლი განსაზღვრა. ბათუმის პორტი ევროპა – კავკასია – აზიის კორიდორის მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს, რომელიც სათავეს ევროპაში იღებს და ბულგარეთის, რუმინეთის, უკრაინის შემდეგ შავი ზღვის გავლით კასპიის ზღვის რეგიონის ქვეყნებს – აზერბაიჯანს, ყაზახეთს, თურქმენეთს და ა.შ. – აკავშირებს. პორტის განვითარების ძირითადი ფაქტორი იყო და არის კასპიის ზღვის

ნავთობი. ბათუმის პორტის ძირითადი კონკურენტები არიან: უკრაინაში ოდესისა და ილიჩევსკის პორტები, რუსეთში – ნოვოროსიისკისა და ტუ-აფსეს პორტები. ბათუმის პორტის უპირატესობა ის გახლავთ, რომ უკრაინის აკვატორია ზამთარში იყინება, ხოლო რუსეთის პორტებში ხშირია ძლიერი ქარები. სამომავლოდ ბათუმიდან კამპანის ნავთობსაბადოდან, რომელიც 4 სტრუქტურულ ერთეულს (კამპანი, კალამკასი, აქტოტი და კაირანი) შეიცავს, ნავთობის ტრანსპორტირება იგეგმება. ბათუმის საზღვაო ნავსადგომი მოიცავს: საკონტეინერო ტერმინალს და სანავმისადგომო კომპლექსს ბორნების მომსახურებისათვის (საკონტეინერო ტერმინალის გამტარუნარიანობა წელიწადში 100 000 TEU-ს შეადგენს, საბორნე ტერმინალის ნომინალური წლიური გამტარუნარიანობა დაახლოებით 700 000 ტონას შეადგენს), მშრალი ტვირთების ტერმინალს (ტერმინალის მაქსიმალური გამტარუნარიანობა წელიწადში 2,0 მილიონი ტონაა), სამგზავრო ტერმინალს (ტერმინალის გამტარუნარიანობა წელიწადში დაახლოებით 180 000 მგზავროს შეადგენს) და ბათუმის ნავთობტერმინალს (ტერმინალს შეუძლია გადატვირთოს 22 სახეობამდე ნავთობი და ნავთობპროდუქტი. ტერმინალის გამტარუნარიანობა წელიწადში 15 მლნ. ტონამდე ნავთობს შეადგენს). ბათუმის ნავთობტერმინალს ნავთობი საქართველოს რკინიგზის მეშვეობით, ვაგონ-ცისტერნების მეშვეობით მიეწოდება, რომელთა დაცლა თანამედროვე სარკინიგზო ესტაკადებზე ხორციელდება [13].

ყულევის პორტის – შპს „შავი ზღვის ტერმინალის“ – მშენებლობა 2000 წელს დაიწყო. 2007 წლის იანვარში ტერმინალი აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია Socar-მა შეიძინა. Socar-მა დღეისათვის საქართველოს ეკონომიკაში 400 მილიონამდე დოლარის ინვესტირება განახორციელა. ყულევის ნავთობტერმინალი 2008 წლის 16 მაისს გაიხსნა. ტერმინალის გამტარუნარიანობა წელიწადში 10 მლნ ტონამდე ნავთობპროდუქტის გადატვირთვის საშუალებას იძლევა. ნავთობპროდუქტების ჩამოსასხმელად ტერმინალში გათვალისწინებულია ორი ნავსაბელი, რომელიც 100 ათას ტონამდე ტვირთამწეობის ტანკერებს ემსახურება. 2012 წლის ივლისში, ნავთობტერმინალში არსებული პროპილენის გადასატვირთი ახალი კომპლექსის მეშვეობით, ყულევის ტერმინალით ქიმიური პროდუქციის გადატვირთვაც გახდა შესაძლებელი [13].

ფოთის პორტი დამაკავშირებელი რგოლია ტვირთების გადაზიდვისას თურქეთიდან, ახლო აღმოსავლეთიდან და ევროპიდან შუა აზიის ქვეყნებსა და ავღანეთში. ფოთის პორტის აქციების 80%-ს დანიური გიგანტის AP Moller-Maersk Grup-ის შვილობილი APM Terminals ფლობს. ფოთის პორტი გადაზიდვებს სამი ძირითადი მიმართულებით ახორციელებს: 1. გადაზიდვები აზერბაიჯანსა და რუსეთში სასაზღვრო ზოლიდან, სამური/იალამა; 2. გადაზიდვები თურქმენეთში, ავღანეთში, ტაჯიკეთში, უზბეკეთში, ბორნით – ბაქო თურქმენბაში; 3. გადაზიდვები ყაზახეთში, უზბეკეთსა და ყირგიზეთში ბორნით – ბაქო – აქტაუ [13].

სანავსადგურე ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. აღნიშნული მიზნით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ანაკლიაში ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის საკითხს, რომელზეც საქართველოს მთავრობის მიერ უკვე გამოცხადდა მოწვევა ინტერესთა გამოხატვის შესახებ [11]. ნავსადგური აშენდება რამდენიმე ეტაპად და საბოლოოდ მისი წლიური გამტარუნარიანობა 100 მილიონ ტონა ტვირთს მიაღწევს. ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობა ხელს შეუწყობს დამატებითი ტვირთნაკადების მოზიდვას, ასობით ახალი სამუშაო ადგილის შექმნას, პორტის მიმდებარედ ლოჯისტიკური სერვისების განვითარებას და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის სრულად რეალიზებას. 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად – 11%-ით არის გაზრდილი საზღვაო ნავსადგურების მიერ განხორციელებული საკონტეინერო გადაზიდვები.

2013 წელს ბოსფორის ქვეშ მარმარიოს გვირაბი გაიხსნა, რომელიც ევროპის კონტინენტს ბოსფორის სრუტით, აზიასთან აკავშირებს. აღსანიშნავია, რომ „საქართველოს თურქეთთან მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობა, რომლებიც ბოსფორის სრუტეში მის გემებს პრიორიტეტულ გასასვლელს აძლევს, საქართველოს შესაძლებლობას მისცემს სრული მოცულობით დატვირთოს თავისი ნავთობის ტერმინალები და უმწვავეს კონკურენტულ ბრძოლაში შავ ზღვაში სხვა ქვეყნების ტანკერების მოძრაობისა და მათი ოფშორულ წყლებში გასვლის მედიატორი“ გახდეს [14, თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქემელაშვილი გ., გეგია დ., 2011].

„გეოეკონომიკის, როგორც სტრატეგიული რესურსების გამოყენების თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს კავკასიის ერთიანი ეკონომიკური სივრცის (ბაზრის) ფორმირების პერსპექტივა. მხედველობაში გვაქვს პირველ ეტაპზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნების (საქართველოს, ზერბაიჯანის და სომხეთის) ეკონომიკური ინტეგრაცია, შემდგომში მისი გადრმაგება ირანის, თურქეთის, რუსეთის (ძირითადად მისი ჩრდილო კავკასიის სუბიექტები) მონაწილეობით“ [15, ჭითანავა ნ., 2015]. ასეთი ეკონომიკური სივრცის შექმნა, ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების დაბანდებას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, ერთობლივი საწარმოების და რეგიონალური საფინანსო ცენტრების ჩამოყალიბებას და სხვ.

საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები. საქართველოში ჩამოყალიბებულია სუბტროპიკული კლიმატური სარტყლის თითქმის ყველა ტიპი. აღმოსავლეთ საქართველოში კლიმატი მშრალი და კონტინენტურია, ცხელი ზაფხულით და ზომიერი ზამთრით, დასავლეთ საქართველოში შავი ზღვის სანაპიროზე თბილი სუბტროპიკული კლიმატი აღინიშნება. ასეთი კლიმატი განპირობებულია ქვეყნის ბუნებრივი ბარიერების კავკასიონის და სამხრეთ მთიანეთის არსებობით და შავი ზღვის გავლენით [16]. რბილი კლიმატი, ნოყიერი ნიადაგი, ბუნებრივი რესურსების სიუხვე ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელს უწყობს, „საშუალებას იძლევა წარმატებით იქნეს მოყვანილი წელიწადში ორი მოსავალი და დაინერგოს შუალედური და სანაწევრლო კულტურები“ [17, ქემელაშვილი ო., 2010].

საქართველო თავისი მცირე ტერიტორიის მიუხედავად, ბუნებისაგან დაჯილდოებულია არაჩვეულებრივი ფლორით და ფაუნით. ტურისტული თვალთახედვით, საქართველო უნიკალური ქვეყანაა. საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულია 103 კურორტი, 2000-ზე მეტი მინერალური წყარო, 1300-ზე მეტი კარკასული მღვიმე, 26 060 მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე 58 957 კმ-ია, 860 ტბა, 688 მყინვარი (მყინვარები საქართველოს ფარგლებში არათანაბრადაა განაწილებული. მათი უმრავლესობა ოთხი მდინარის: კოდორის, ენგურის, რიონისა და თერგის აუზებშია თავმოყრილი), ჩანჩქერები, დაცული ტერიტორიები, ეროვნული პარკები და ტყეები (ტყეები იკავებს მთელი ტერიტორიის 38.8%) [1], რაც ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ აქტივს წარმოადგენს.

ბუნებრივი რესურსები. ბუნებრივი რესურსები, რომლებიც წარმოების ძირითად საშუალებებს მიეკუთვნება, თანამედროვე საერთაშორისო კონკურენციაში ამა თუ იმ ქვეყნის უპირატესობას უზრუნველყოფს. ეკონომიკის განვითარებაში რესურსული საშუალების როლი მუდმივად იცვლებოდა. საზოგადოების განვითარების საწყის ეტაპზე გადაამწყვეტ როლს აგროკლიმატური რესურსი ასრულებდა. სწორედ ნიადაგის ნაყოფიერებამ და თბილმა კლიმატმა ჩინეთისა და შუამდინარეთის ხალხებს ხელი შეუწყო, სხვებზე ადრე გადასულიყვნენ მარტივიდან გაფართოებულ კვლავწარმოებაზე და წამყვანი სახელმწიფოები შეექმნათ. შუა საუკუნეებში აგროკლიმატური რესურსი სასარგებლო წიაღისეულმა შეცვალა. სამრეწველო რევოლუციამ და ინდუსტრიალიზაციამ მრავალი ქვეყნის ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართო მინერალური რესურსების ახალი სახეები. მეტალურგია და მანქანათმშენებლობა განვითარდა იმ ქვეყნებში, რომლებიც მდიდარი იყო ქვანახშირისა და რკინის საბადოებით. ამ რესურსებმა განაპირობა XVII-XVIII საუკუნეებში დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთისა და რუსეთის ეკონომიკური სიძლიერე. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, და დღესაც აქვს, სივრცით რესურსებს, კერძოდ, ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას. სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობა თავის დროზე ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების (საბერძნეთი, იტალია) განვითარება [18, ქადაგიშვილი ლ., 2012.].

XX საუკუნის დასაბრუნება და XXI საუკუნის დასაწყისში ვითარება შეიცვალა. მეცნიერებმა ეკონომიკა დაყვეს ტრადიციულ, ე. ი. „ძველ“ და „ახალ“, ანუ ინფორმაციულ, მაღალი ტექნოლოგიების ეკონომიკად. ტერმინ „ახალ ეკონომიკასთან“ შინაარსობრივად ძალზე ახლოსაა ბოლო პერიოდში გავრცელებული ტერმინი „ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა“ [3, პაპავა ვ., 2002]. ტრადიციულ ეკონომიკას განვითარების იმპულსს ბუნებრივი ნედლეულის რესურსები აძლევდა, ახალ ეკონომიკას კი – ცოდნა. ასე რომ, XXI საუკუნის დასაწყისში ბუნებრივი ნედლეულის რესურსებმა უკანა პლანზე გადაიწია. თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს მისი როლის გაუბრალოებას. რაც არ უნდა წინა პლანზე წამოიწიოს ცოდნამ, სიახლეებმა, მეცნიერულმა მიგნებებმა, თითოეული ცალ-ცალკე ყველგან და ყოველთვის ვერ შეცვლის ბუნებრივ რესურსებს. ქვეყანა მაშინაა ძლიერი, როცა ისინი ერთმანეთის გვერდით არსებობენ. ბუნებრივი რესურ-

სები ეროვნული სიმდიდრეა, რომელიც ქვეყნის განვითარების მატერიალურ საფუძველს ქმნის. მათ რაციონალურ და კომპლექსურ გამოყენებაზე დამოკიდებული სახელმწიფოს ეკონომიკური თვითდამკვიდრება და ადამიანთა კეთილდღეობის დონის ამაღლება. სხვადასხვა სახის ბუნებრივი რესურსის არსებობა ქვეყანას დამატებით კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს.

ბუნებრივი რესურსების მარაგი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირია. მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაა, რომელთაც აქვთ თითქმის ყველა სახის (მიწის, წყლის, მინერალური და ა.შ.) რესურსი. ასეთია: აშშ, რუსეთი, ჩინეთი, ბრაზილია, ინდოეთი და ავსტრალია.

ზოგიერთი ქვეყანა რომელიმე ერთი სახის რესურსს ფლობს, მაგრამ მისი მსოფლიო მნიშვნელობის მარაგი აქვს. მაგალითად, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნები (ერაყი, საუდის არაბეთი და სხვ.) მდიდარია ნავთობისა და ბუნებრივი აირის მნიშვნელოვანი მარაგებით, ჩილე, ზამბია და ზაირი – სპილენძით, მაროკო და ნაურუ – ფოსფორიტებით და ა.შ.

ბუნებრივი რესურსების კომპონენტს – მიწის რესურსებს – ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. მიწა ერთ-ერთი მთავარი ეროვნული სიმდიდრეა. ნიადაგის წილად მოდის საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის თითქმის ნახევარი. საქართველოს მიწის ფონდი 7628. 4 ათასი ჰა-ია, აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულები – 3025, 8 ათასი ჰა-ია, არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი – 4602, 6 ათასი ჰა-ია. საქართველოში ინტენსიურია ნიადაგის, წყლისა და ქარისმიერი ეროზია. ეროზიის პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა მთიან რეგიონებში, სადაც ამის მთავარი მიზეზია არასწორი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა (დამრეც ფერდობებზე მიწის დამუშავება, ირიგაციული ტექნიკის გამოყენება, რასაც თან სდევს ნიადაგის ზედა ფენების წარეცხვა), მთის კალთებზე ტყის ჩეხა და გადაჭარბებული მოვება [1]. გასული საუკუნის 90-იან წლებში ქარისმიერი ეროზია ენერგოკრიზისისა და უკონტროლობის გამო გაჩეხილმა ტყეებმა უფრო მეტად გააძლიერა. ქვეყანაში შემუშავებული სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა სწორ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ხელს შეუწყობს, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მიწის ფონდის ხარისხობრივ გაუმჯობესებას.

მიწის ფონდის ეფექტიანი გამოყენება წყლის რესურსებს უკავშირდება. საქართველო მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი რესურსებით ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა არა მარტო კავკასიაში, არამედ მსოფლიოში. მიწისქვეშა მინერალური წყლის მარაგი საქართველოში გიგანტურია: მტკნარი წყლის მარაგია 6 503,64 ათ. მ³/დღ.დ, სასმელი წყლის – 38,76 ათ. მ³/დღ.დ, სამკურნალო-სასმელის – 5,86 ათ.მ³/დღ.დ და სამკურნალოს – 29,7 ათ.მ³/დღ.დ [1]. საქართველოს მინერალური წყლები ცნობილია უხსოვარი დროიდან, მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა და წარმატებით სარგებლობს ბორჯომის, წყალტუბოს, თბილისის, ნაბეღლავის, ლუგვას, სქურის, ლეზარდეს, უწერას, საირმეს, ზვარეს, ვაჟას წყაროს, ვარძია-ნაქალაქევის, ყაზბეგის, ჯავის, მახინჯაურის, სულორის, ავადჰარას, ბოლნისის, ლაში ჭალას და სხვ. საბადოები. მინერალური წყლების გამოყენება ძირითადად ხდება სამელი და ბალნეოლოგიური მიზნებისათვის [19, მიქაძე ი., 2014]. როგორც პროფ. ე. მექვაბიშვილი მიუთითებს, დიდი მრავალფეროვნებით გამორჩეული მინერალური წყლები საქართველოში შეიძლება სავალუტო შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო გახდეს [20, მექვაბიშვილი ე. 2009].

მთელ სამყაროში საქართველო ერთადერთი უმდიდრესი ქვეყანაა წყლის რესურსებით, რომელსაც მდინარეები, ტბები, ჭაობები, მყინვარები და მიწისქვეშა წყლები შეადგენენ. მტკნარი სასმელი წყალი ჩვენი ათასწლეულის ყველაზე ძვირი და დეფიციტური ნედლეული იქნება. გაეროს მონაცემებით [21, The Millennium development goals report, 2008], დღეს დაახლოებით 2.8 მილიარდი ადამიანი მოკლებულია კარგი ხარისხის სასმელ წყალს. ამ ურთულეს პრობლემას ასევე წააწყდა ევროპაც, რომელიც განპირობებულია სასმელი წყლის მარაგების თანმიმდევრული გამოფიტვით. 2025 წლისათვის სამელი წყლის დეფიციტი მოიცავს მთელ ევროპას, მაგრამ განსაკუთრებით მწვავე იქნება სამხრეთ ევროპასა და საერთოდ ხმელთაშუა ზღვის აუზში [22, Prof. Lalzad, 2007]. „საქართველოს მიწისქვეშა სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსების (მომიებული) საერთო მარაგი შეადგენს 573 მ³/წმ-ში, ხოლო საექსპლუატაციო დასაშვები მარაგების რაოდენობა – 301 მ³/წმ-ში (დღე-ღამეში 26 მლრდ. ლიტრი). აღნიშნული რესურსი საშუალებას იძლევა, ადამიანის დღიური ფიზიოლოგიური ნორმის გათვალისწინებით, დააკმაყოფილოს მსოფლიო მოსახლე-

ობის მოთხოვნილება 17,5 მლრდ. ლიტრი მტკნარი სასმელი წყლით, ყოველდღიურად, დაფასებისა და ტრანსპორტირების რეალური შესაძლებლობის შემთხვევაში ისე, რომ არავითარი საფრთხე არ შეექმნას მის ბიოეკონომიკურ გარემოს“ [23].

საქართველოში წყლის ბიზნესი ძნელად ვითარდება, ვინაიდან წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილი, მცირე გამონაკლისის გარდა, ადგილობრივ ბაზარზე რეალიზდება. ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობას კი მცირე შემოსავლები აქვს და ტრადიციულად ონკანის წყალს მოიხმარს. საერთაშორისო ბაზარზე გასვლა და ბაზრის გარკვეული სეგმენტის მოპოვება დაკავშირებულია უდიდეს სიძნელებთან. წყლის საერთაშორისო ბაზარს აკონტროლებს გარკვეული ქვეყნების (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, ნორვეგია, ფინეთი და სხვ.) ბიზნეს-წრეები, რომლებიც პოზიციას არ თმობენ [19, მიქაძე ი., 2014]. შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის საუკეთესო საშუალება მონახა ქართველ მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესორი პაატა გიორგაძე. იდეა მდგომარეობს საქართველოს მიწისქვეშა წყლის რესურსების კაპიტალიზაციაში, რომელიც საქართველოს მთავრობის თანადგომით განხორციელდება. როგორც მეცნიერთა აღნიშნული ჯგუფი მიუთითებს: „საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე კაპიტალიზაციის ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს, წყლის ინდუსტრიული მშენებლობის საპროექტო ღირებულების პარალელურად, ძვირად ღირებული სარეკლამო პიარკომპანიებისა და აქციების წარმართვას, რომელიც მსოფლიო წყლის ბაზრებზე გარკვეული სეგმენტით, ადგილის მოპოვებისა და აქ ადგილის დამკვიდრების აუცილებელი წინაპირობაა. მტკნარი სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსების კაპიტალიზაციის ტექნოლოგიების გამოყენება, სასმელი წყლის ინდუსტრიის შექმნის შემთხვევაში, იძლევა დარგობრივი ეკონომიკის განვითარების შიდა პროდუქციის ზრდის ეკონომეტრიულ მოდეულს, რომელიც გარდუვალი წინაპირობაა ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის“ [23]. საქართველოს შეუძლია მაღალხარისხიანი ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიული წარმოებისა და მზა პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე ექსპორტიორი ქვეყანა გახდეს.

საქართველოს ტყე ეროვნული საგანძურია. საქართველოს კონსტიტუცია ავალდებულებს მის მოქალაქეებს დაიცვან, გაუფრთხილდნენ და იზრუნონ ბუნებაზე. ევროკავშირის მთავარი მოთხოვნა საქართველოს ტყის მდგრადი მართვის დაწყებას ავალდებულებს. ამასთანავე, დაბალანსებული უნდა იყოს ტყის მდგრადი მართვის სამივე პრინციპი: ეკოლოგიური – არ უნდა მოიჭრას იმაზე მეტი, ვიდრე ბუნებრივი შემატება გვაქვს, ბალანსი აუცილებლად უნდა იყოს დაცული; ეკონომიკური – პრიორიტეტული იქნება საქართველოში მოპოვებული მერქნის ადგილზე გადამუშავებისა და საბოლოო პროდუქტის შექმნის მიმართულება, რამაც უნდა წახალისოს ეკონომიკა, შექმნას სამუშაო ადგილი მოსახლეობისთვის და დადებითად აისახოს ადგილობრივ წარმოებაზე; სოციალური – სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას საშუალება უნდა ჰქონდეს ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების, დასაქმების პროცესში; ასევე, აქტიურად მონაწილეობდეს სატყეო მეურნეობის საქმიანობაში [24].

2012 წელთან შედარებით, 2013 წელს საქართველოში ტყის მოცულობა 2,3%-ით შემცირდა და ქვეყნის საერთო ტერიტორიის 38,2%-ს, 2,66 მილიონ ჰექტარს მოიცავდა. (2000, 2005, 20010, 2011 წლებში ტყეზე მოდიოდა ქვეყნის საერთო ტერიტორიის 39,9%). საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა, ამიტომ აქ ტყეები თითქმის მთლიანად (97,7%) მთის ფერდობებზეა განლაგებული. ტყის საერთო ფართობი 2005,6 ათასი ჰა-ია, მერქნის მარაგი 451700,12 ათას მ³-ს შეადგენს. მერქნის ამ მარაგიდან გადამუშავებისათვის ხელმისაწვდომია მისი 38 – 40% [1]. ტყე იძლევა მრავალი სახის ძვირფას პროდუქტს და ნედლეულს (მერქანი, ქერქი, ტოტები, მაყვლის ფოთოლი, სოჭი, გირჩი, ასკილი, ქაცვი, ჭინჭარი, ძირტკბილა, თეთრყვავილას ბოლქვები, ყოჩივარდას გორგლები, სოკო და სხვ.). ტყე ფართოდ გამოიყენება მერქნის დამზადების, ქიმიური, კვების, ფარმაცევტულ, საფეიქრო მრეწველობასა და სხვა დარგებში. იგი პლანეტურ ბიოგეოქიმიურ ფუნქციას ასრულებს, მონაწილეობს მრავალფეროვანი ლანდშაფტის შექმნაში. ის მრავალფეროვანი ფაუნის ადგილსამყოფელია და აქვს ძალზე დიდი წყალშემნახავი, ნიადაგდაცვითი, კლიმატმარეგულირებელი და სანიტარული მნიშვნელობა. ტყეს აქვს წყლის ბუნებრივი რესურსების კვლავწარმოების მნიშვნელოვანი ფუნქცია. დიდია ტყის რეკრეაციულ-სამკურნალო და ტურისტული მნიშვნელობა.

საქართველოს ტყეები ტყის არამერქნული რესურსებით მდიდარია. აღნიშნული რესურსები გამოუყენებელი რესურსებია, რომლის თაობაზეც საქართველოს მოქალაქეებს ინფორმაცია კი არა აქვთ. საქართველოს მთავრობა მიიჩნევს, რომ საქართველოსთვის ტყის არამერქნული პროდუქტების წარმოება და გადამუშავება პოტენციურად უმნიშვნელოვანესი ნიშური საექსპორტო დარგია, რაც ქვეყანას დიდი მოცულობის სავალუტო შემოსავლებს მოუტანს და უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმების ზრდასა და სოციალური პირობების გაუმჯობესებას. ამ პროდუქტების უმსხვილეს ბაზარს ევროკავშირი წარმოადგენს; იგი ყოველწლიურად 8-10 პროცენტით იზრდება და მისი ჯამური მოცულობა ფულად გამოხატულებაში დღესდღეობით წელიწადში დაახლოებით 50 მილიარდ ევროს შეადგენს [25]. ამ სახის პროდუქციაზე ყოველწლიურად მზარდი საერთაშორისო მოთხოვნილებისა და საქართველოში არსებული ამ სახის პროდუქტების უზარმაზარი პოტენციალის მიუხედავად, დღეისთვის ეს დარგი სრულიად განუვითარებელია და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ამ დარგის ხელშეწყობა ასევე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს, როგორც ეკოლოგიურად სუფთა და მაღალი ბრენდული ღირებულების პროდუქტების მწარმოებელი ქვეყნის რეპუტაციის დამკვიდრებას. ტყის არამერქნული რესურსების გამოყენების გაუმჯობესების მიზნით, იგეგმება ცვლილებები სატყეო კოდექსში და შემუშავდება რესურსების მოპოვების სამომავლო პროგრამა.

სათბობ-ენერგეტიკული რესურსები საქართველოში წარმოდგენილია ნავთობით, აირით, ნახშირით, ტორფითა და თერმული წყლებით. ნავთობის მთლიანი მარაგი შეადგენს 169 660 ათას ტ-ს, აირის – 5 157 000 ათას მ³-ს, თერმული წყლებისა 129 594 მ³/დღ.დ-ს, ნახშირის 484 248 ათას ტ-ს და ტორფის 99 099 ათას მ³-ს. ნავთობის საბადოებიდან აღსანიშნავია: მირზაანის, ტარიბანის, შირაქის, ნორიო-მარტყოფის, საცხენისის და სუფსის. დღეისათვის პერსპექტიულად ითვლება ტარიბანის საბადო, სადაც წინასწარი გათვლებით ერთი მილიარდი ბარელი ნავთობის მარაგია. ბუნებრივი აირი სამგორი-პატარძელის, სამგორის სამხრეთ გუმბათის და თელეთის ნავთობის საბადოებზე მოიპოვება. ბოლო პერიოდში ჩატარებულმა საძიებო სამუშაოებმა ცხადყო, რომ შავი შელფის საქართველოს სექტორში ბუნებრივი აირის მარაგის მთლიანი მწარმოებლურობაა 1,8

მლრდ მ³ წელიწადში [8]. ნახშირის ყველაზე დიდი საბადო ტყიბულ-შაორის, ტორფის საბადო ძირითადად კოლხეთის დაბლობზეა წარმოდგენილი (იმნათი, ფიჩორა, მალთაყვა). ტორფის გამოყენება შესაძლებელია ქიმიურ მრეწველობაში და საწვავად. საქართველოში ტორფს სოფლის მეურნეობაში სასუქად იყენებენ. „მინერალური რესურსების მარაგი, ნედლეულის ძირითადი ტიპების მიხედვით, შეფასებულია 90 მლრდ აშშ დოლარად. ამ რესურსების გამოყენების ხარჯზე საქართველოში წლიურად შესაძლებელია 30 მლრდ აშშ დოლარზე მეტი პროდუქციის წარმოება“ [26, სილაგაძე ა., კახნიაშვილი ჯ., მექვაბიშვილი ე., 2005].

იმ დროს, როდესაც მსოფლიოში მწვავედ დგას ენერგორესურსების პრობლემა, საქართველოს მნიშვნელოვანი რაოდენობით ეგზოგენური ენერგორესურსები აქვს, კერძოდ, ჰიდრო, მზის და ქარის ენერჯია. საქართველო ჰიდროენერგორესურსების სიმძლავრით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ქვეყანაა და უმდიდრესია რესპუბლიკებს შორის ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ჰიდროენერჯია (საშუალო წლიური) – 135 მლრდ კვტ. სთ-ად არის შეფასებული. საქართველოს ჰელიორესურსები ძალიან მნიშვნელოვანია და არსებული მონაცემებით, 1014 კვტ/წ-ს უდრის. საქართველო იდეალური ქვეყანაა ქარის ენერჯიის განვითარებისათვის. ამ მაჩვენებლის მიხედვით საქართველოში აღსანიშნავია ქ. ფოთის, დაბა სურამის, ქ. ქუთაისის, შიგა აჭარის, კასპის, სამგორის, რუსთავის, ფარავნის, ახალქალაქის მიდამოები. დღესდღეობით ქვეყანაში ქარის მხოლოდ რამდენიმე მცირე დანადგარი მუშაობს. საქართველო 2009 წლიდან „განახლებადი ენერჯიის საერთაშორისო სააგენტოს“ (IRENA) წევრია, იმედია, ამ სააგენტოს წევრობა ხელს შეუწყობს ქვეყნის განახლებადი ენერგეტიკის განვითარებას.

2016 წელს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდმა და საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაციის შვილობილმა კომპანიამ შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“ შიდა ქართლის რეგიონში, გორის და ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საქართველოში ქარის პირველი ელექტროსადგურის „ქართლის“ მშენებლობა განახორციელა [27]. ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 20.7 მეგავატია, ხოლო გამომუშავებული ელექტროენერჯია კი – 88 მლნ. კვტ/საათი. აღნიშნულ პროექტზე მუშაობა ჯერ კიდევ 2013 წელს დაიწყო. დეტალური

პროექტის მომზადებაში ჩაერთო ბელგიური საკონსულტაციო კომპანია “Tractebel Engineering”. პროექტის სრული ღირებულება 34,3 მლნ. აშშ დოლარია. მათ შორის 24 მლნ დოლარი წარმოადგენს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სესხს, 10 მლნ დოლარით კი პროექტი საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდმა და საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ დააფინანსა. „ქართლი“ მისი სპეციფიკიდან და მახასიათებლებიდან გამომდინარე, მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო სადგურია. ეს პროექტი ემსახურება საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობას, გარემოს დაცვას, სოფლის ეკონომიკურ განვითარებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

რაც შეეხება ლითონებსა და იშვიათ ლითონებს, საქართველო მადნიანი საბადოებით მდიდარი არ არის, მაგრამ იგი მაინც ფლობს ზოგიერთი ლითონის საკმაოდ დიდ საბადოს. საქართველოს წიაღისეულიდან პრიორიტეტულ ნედლეულად კვლავ რჩება მანგანუმი, რომლის საბადოთაგან ცალკე უნდა აღინიშნოს ჭიათურის მანგანუმის საბადო (მარაგი 176 000 მლნ/ტ). აღსანიშნავია, აგრეთვე, ჩხარ-ჯამეთის მადნიანი ზოლი; პერსპექტიულობის თვალსაზრისით, საყურადღებოა, ყვირილას მანგანუმიანი ზოლები. საქართველოს მსოფლიო მნიშვნელობის იშვიათი ლითონებისა და ელემენტების (სპილენძის, ოქროს, ვერცხლის, დარიშხანის, ტყვიის, თუთიის, გოგირდის, თიხის, ანთიმონიუმის) საბადოები გააჩნია. სპილენძის საბადოებიდან მნიშვნელოვანია მადნეულის სპილენძი-ტყვიათუთიის საბადო (ბოლნისის რაიონი), რომლის ბაზაზეც მუშაობს სს „მადნეული“. საიუველირო სანაკეთო წარმოებისათვის საქართველოში არსებობს აქატის, მარმარილოს, გიშრის, იასპინის, დეკორატიული დოლერიტის საბადოები. ქვეყანაში მეტალურგიული, ინერტული და სამშენებლო რესურსების (საცემენტე კირქვა, ქვიშა, ხრეში, სილა, წიდა, თაბაშირი, გაჯი, ცარცი, საკირე კირქვა და სხვ.) მნიშვნელოვანი მარაგებია.

დასკვნა

გლობალიზაციის პირობებში დამოუკიდებელი საქართველოს გეოეკონომიკური როლი, როგორც მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი სატრანზიტო არტერია დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და

სამხრეთის, კიდევ უფრო აქტუალური ხდება. საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, აშშ-ის, ევროკავშირის, რუსეთის, თურქეთის, ირანისა და ჩინეთის სტრატეგიული ინტერესების ზონაში აღმოჩნდა. შედეგად განვითარებულმა სახელმწიფოებმა აქტიურად დაიწყეს თანამშრომლობა საქართველოსთან თავიანთი უპირატესი გეოპოლიტიკურ-გეოეკონომიკური მნიშვნელობის მაქსიმალური რეალიზაციის მიზნით. საქართველო ავითარებს მრავალმხრივ ურთიერთობებს მსოფლიო ინტეგრაციისკენ და ამ პროცესებში ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალი კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. ქვეყანას ეკონომიკური აღმავლობისა და სწრაფად ზრდის დიდი შესაძლებლობები გააჩნია, მთავარია, გეოპოლიტიკურ მოთამაშეებს შორის გონივრული ლავირებით საფრთხეებს გვერდი აუაროს და საერთაშორისო თანამეგობრობას თანასწორუფლებიან პარტნიორობაზე დაფუძნებული და ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური პროექტები შესთავაზოს. ყოველივე ეს შესაძლებლობას მოგვცემს დავნერგოთ ეროვნულ ფასეულობებთან ადაპტირებული დასავლური ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი, პოლიტიკური და სხვა მიღწევები, რაც ქართული ეროვნული თვითმყოფადობისა და ქვეყნის წარმატებული განვითარების წინაპირობა იქნება. საქართველო გაეროს, ევროსაბჭოს, სუამის სრულუფლებიანი წევრია და მისი უმთავრესი გეოპოლიტიკური ამოცანა ევროკავშირისა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციაა. სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მდებარეობის გამო, საქართველოს ეძლევა შანსი, აქტიურად ჩაერთოს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში და ამ პროცესებიდან მიიღებულ შედეგებით უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარება და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება.

ამრიგად, ჩვენ მიერ წარმოდგენილი საქართველოს ბუნებრივი რესურსების მოკლე მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ეკონომიკური მნიშვნელობით მიწისქვეშა მინერალური წყლები ყველაზე საყურადღებო რესურსია, მას ტყეები, სათბობ-ენერგეტიკული რესურსები, ლითონები და იშვითი ლითონები მოსდევს, საერთაშორისო მნიშვნელობის ამ რესურსებს ემატება ადგილობრივი მნიშვნელობის რესურსები: საიუველირო და სანაკეთო წარმოების და მეტალურგიული, ინერტული და სამშენებლო რესურსები და სხვ. ბუნებრივი რესურსების რაციონალურად და კომპლექსურ

რად გამოყენება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდას, მოსახლეობის დასაქმებას და სოციალური პირობების გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა, სტატისტიკური პუბლიკაცია. თბ., 2013, http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/agriculture/Garemo_2013.pdf; ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 20.12.2015.
2. 2015–2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა, თბ., http://gov.ge/files/381_43285_728272_1215-1.pdf ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 20.12.2015.
3. **პაპავა ვ., (2002)**, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, გვ.408., 415., 428.
4. **დადელიშვილი ნ. (2013)**, ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (DCFTA) – რეალობა თუ „პარტნიორობა ქალაქდზე?“, ეკონომიკა და ბიზნესი, N1, გვ.91-98.
5. <https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/turizmi-sakartveloshi/ekonomikur-geograpiuli-da-geopolitikuri-mdebareobis-mnishvneloba> ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 23.12.2016.
6. მარგველაშვილი გ., აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში, ამერიკის საგარეო ურთიერთობათა საბჭოში სიტყვით გამოსვლა. <http://www.interpressnews.ge/ge/politika/347479-giorgi-margvelashvili-saqarthvelo-sakmaod-pataraa-magram-dzalian-strategiuli-geografiuli-mdebareoba-aqvs.html?ar=A> ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 23.12.2015.
7. საქართველოს მთავრობა, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო, 2020. <http://static.mrdi.gov.ge/55101c4b0cf24147438b1700.pdf> ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 23.12.2015.
8. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია. <http://www.gogc.ge/ge/projects> ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 25.12.2015.
9. **ღარიბაშვილი ი.,** აბრეშუმის გზის ფორუმი. თბილისი, 15.09.2015 <http://bfm.ge/ekonomika/abreshumis-gza-akhali-shesadzleblobebi-da-realuriperspeqtiva/> ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 25.12.2015.
10. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, <http://www.georoad.ge/?lang=geo&act=pages&func=menu&pid=1386667041>.

11. **კვირიკაშვილი გ.**, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლების ხელმძღვანელების შეხვედრა-ამბასადორიალი, 2015 (03.09.15)
http://www.economy.ge/uploads/news/2015/ambasadoriali/ministris_sitkva-ambasadoriali.pdf ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 25.12.2015.
12. **საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს 2014 წლის საქმიანობის ანგარიში**, <http://www.gcaa.ge/geo/annualreport.php>.
13. **საქართველოს პორტები**, <http://forbes.ge/news/188/saqarTvelos-portebi> ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 25.12.2015.
14. **თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ. გეგია დ., (2011)**, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, გვ.287.
15. **ჭითანავა ნ., (2015)**, საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაციის გეო-ეკონომიკური ასპექტები, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, შრომები, გვ. 24.
16. კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის შეფასება, საქართველოს ანგარიში. კლიმატური ფორუმი აღმოსავლეთში და საქართველოს ქსელი, 2014, <http://climateforumeast.org/uploads/other/0/781.pdf> ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 25.12.2015.
17. **ქეშელაშვილი ო., (2010)**, ბიზნესური ეკონომიკა, გვ.104.
18. **ქადაგიშვილი ლ., (2012)**, საქართველოს ბუნებრივი რესურსები მსოფლიო მეურნეობის სისტემაში, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, თსუ, გვ.459.
19. **მიქაძე ი., (2014)**, საქართველოს ჰიდროსფერო და მისი რესურსები, გვ. 15.
20. **მექვაბიშვილი ე., (2009)**, ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები, გვ. 185.
21. The Millennium development goals report. United Nations, New York, Published by the United Nations Department of Economic and Social Affairs, 2008, 56 გვ. **თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ. გეგია დ., (2011)**, დასახ. ნაშრომში.
22. Prof. Lalzad. An overview of global water problems and solutions. London, May 2007, 36 გვ. **თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ. გეგია დ., (2011)**, დასახ. ნაშრომში.

23. დარგობრივი ეკონომიკის, ინოვაციებისა და ურბანული განვითარების მიმართულეზა, კონცეფცია-პროგრამა, **ავტორი და თანაავტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი გიორგაძე პ., <http://waterlife.ge>**
24. ტყის ახალი კოდექსის გამოწვევები და რეგულაციები, <http://bpi.ge/index.php/tyis-akhali-kodeqsis-gamowvevebi-da-regulaciebi/>
25. საქართველოს ტყის არამერქნული რესურსების ფორუმი, <http://srca.gov.ge/news/2070>, ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 5.01. 2016.
26. **სილაგაძე ა., კახნიაშვილი ჯ., მექვაბიშვილი ე. (2005)**, ეკონომიკა, გვ.107
27. ქარის ელექტროსადგური „ქართლი“, <http://gedf.com.ge/zu>, ვებ-გვერდი ბოლოს ნანახია 22. 11. 2016.

თავი 4.

ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს დინამიკური პარამეტრების მახასიათებლები საქართველოში

ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს ეკონომიკამ სერიოზული ტრანსფორმაცია განიცადა, რის შედეგად ინოვაციური განვითარების მნიშვნელოვანი რესურსი დაიკარგა: 2011 წელს 1985 წელთან შედარებით კვლევითი ორგანიზაციების რიცხვი 250-დან 60-მდე შემცირდა, სამეცნიერო ბიბლიოთეკების – 300-დან 50-მდე, ხარჯები კვლევებსა და განვითარებაზე – მშპ-ს 3%-დან 0.15%-მდე [1, შატბერაშვილი, 2013]. აღნიშნულის მიუხედავად, 2014 წელს ადამიანური განვითარების ინდექსით (0,754) საქართველო 76-ე ადგილზეა (ცხრილი 4.1) და იგი მაღალი განვითარების ქვეყანათა ჯგუფში შედის. ამ მაჩვენებლით საქართველო აღემატება როგორც ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონს (ინდექსი 0.748), ასევე საშუალო მსოფლიო დონეს (ინდექსი 0.711) [2, HDR, 2015]. მსოფლიოში ადამიანური განვითარების ყველაზე მაღალი ინდექსი აქვს ნორვეგიას (პირველი ადგილი, ინდექსი 0.944), მეორე ადგილზეა ავსტრალია (ინდექსი 0.935), მესამეზე – შვეიცარია (ინდექსი 0.930). ევროკავშირის 26 ქვეყანა (ბულგარეთისა და რუმინეთის გარდა) ადამიანური განვითარების ინდექსით ძალიან მაღალი განვითარების ქვეყნების ჯგუფში შედის, ბულგარეთი და რუმინეთი კი მაღალი განვითარების ქვეყანათა ჯგუფს მიეკუთვნებიან [2, HDR, 2015]. საქართველოს მეზობელ ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი რეიტინგი (50-ე ადგილი) რუსეთს აქვს (ინდექსი 0,798), თურქეთი 72-ე ადგილზეა (ინდექსი 0,761), აზერბაიჯანი – 78-ე ადგილზე (ინდექსი 0,751) და სომხეთი – 85-ე ადგილზე (ინდექსი 0,733) [2, HDR, 2015].

ადამიანური განვითარების ინდექსის გარდა, თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკაში ინოვაციური პოტენციალის შესაფასებლად გამოიყენება სხვადასხვა მაჩვენებლები. მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციას შემუ-

შავებული აქვს საკუთარი ინდიკატორების სისტემა, რომელიც ქვეყნის (რეგიონის) ინოვაციური პოტენციალის დონეს ასახავს. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ქვეყნების კონკურენტუნარიანობას 1979 წლიდან აფასებს და მისი მეთოდოლოგია სისტემატურად იხვეწება. 2008 წლამდე ძირითადი ყურადღება ორ ინდექსს ეთმობოდა:

1. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (Global Competitiveness Index – GCI),
2. ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ინდექსი (Business Competitiveness Index – BCI).

2008 წლიდან ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ინდექსი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის შემადგენელ ნაწილად იქცა. გლობალური კონკურენტუნარიანობის ახალი ინდექსი ინდიკატორების კორელაციის მაღალი დონით ხასიათდება, რადგან მასში ახალი მეთოდოლოგიური მიდგომა გამოყენებული.

უკანასკნელ წლებში გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედ საკვანძო მაკროეკონომიკურ და ინსტიტუციურ ელემენტებთან მუშაობის სასარგებლო ინსტრუმენტად განიხილება. მას იყენებენ პოლიტიკოსები, ბიზნესმენები და სხვადასხვა ორგანიზაციები.

ცხრილი 4.1. საქართველოს ადამიანური განვითარების ინდექსი, 2014 წ.

HDI და მისი კომპონენტები	რანგი და მნიშვნელობა
HDI რანგი	76
ადამიანური განვითარების ინდექსი (HDI), 2014	0.754
სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას (წელი), 2014	74.9
სწავლების საშუალო ხანგრძლივობა (წელი), 2014	12.1
სწავლების მოსალოდნელი ხანგრძლივობა (წელი), 2014	13.8
მთლიანი ეროვნული შემოსავალი (GNI) ერთ სულზე (2011 PPP \$), 2014	7 164
ადამიანური განვითარების ინდექსი (HDI), მნიშვნელობა, 2013	0.744

რანგის ცვლილება, 2013-2014	3
უთანაბრობით კორექტირებული HDI (IHDI), მნიშვნელობა, 2014	0.652
უთანაბრობით კორექტირებული HDI (IHDI), მთლიანი დანაკარგი, %	13.6
უთანაბრობით კორექტირებული HDI (IHDI), განსხვავება HDI რანგისგან, 2014	5
ადამიანის უთანაბრობის მნიშვნელობის კოეფიციენტი, 2014	13.2
სიცოცხლის ხანგრძლივობის უთანაბრობა, %, 2010-2015	12.9
სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის უთანაბრობის მნიშვნელობის ინდექსი, 2014	0.736
უთანაბრობა განათლებაში, %, 2014	3.3
განათლებაში უთანაბრობის მნიშვნელობის ინდექსი, 2014	0.761
უთანაბრობა შემოსავლებში, %, 2014	23.4
შემოსავლებში უთანაბრობის მნიშვნელობის ინდექსი, 2014	0.494
კვინტილების თანაფარდობა, 2005-2013	8.9
უთანაბრობის Palma ratio, 2005-2013	2.0
ჯინის კოეფიციენტი, 2005-2013	41.4
წყარო: Human Development Report 2015. Work for Human Development. Published for the United Nations Development Programme (UNDP). 2015	

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (მეფ) მეთოდოლოგიის თანახმად, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში მდგრადი ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია სამი ჯგუფისა და 12 ქვეჯგუფის ცვლადებზე (ცხრილი 4.2). გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გარეშე შეუძლებელია. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის გაანგარიშებისას გლობალურ კონკურენტუნარიანობაზე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გავლენას დიდ ყურადღებას უთმობს. 2015-2016 წწ. გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში საქართველოს 140 ქვეყანას შორის 66-ე ადგილი უკავია. 2014-2015 წწ. რეიტინგში მას 148 ქვეყანას შორის 69-ე ადგილი ეკავა. მართალია, წინა წელთან შედარებით, საქარ-

თველომ 3 პოზიციით გაიუმჯობესა მდგომარეობა, მაგრამ ეს რეიტინგში ქვეყანათა რაოდენობის (148-დან 140-მდე) შემცირებით აიხსნება. მეფ-ის კლასიფიკაციით, საქართველო ეფექტიანი განვითარების სტადიაზე მყოფი ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება. ცხრილში 4.2 მოცემულია საქართველოს პოზიციები გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მაჩვენებელთა რეიტინგებში. როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, 2015-2016 წწ. რეიტინგში ქვეყანათა რაოდენობის შემცირების მიუხედავად, საქართველოს მდგომარეობა გაუარესდა ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორებიცაა: საბაზისო პირობები (50-ე ადგილი), ინფრასტრუქტურა (61-ე ადგილი), მაკროეკონომიკური სტაბილურობა (51-ე ადგილი), ჯანმრთელობა და დაწყებითი განათლება (65-ე ადგილი), ტექნოლოგიური მზადყოფნა (72-ე ადგილი) და ინოვაციური პოტენციალი (123-ე ადგილი) [3].

ქვეყნების ინოვაციური განვითარების შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია გლობალური ინოვაციური ინდექსი (გიი), რომელიც გამოითვლება ორი ჯგუფის ინდიკატორების შეფასებათა შეწონილი ჯამით:

1. არსებული რესურსები და ინოვაციათა განხორციელების პირობები (Innovation Input);
2. ინოვაციათა განხორციელების შედეგად მიღებული პრაქტიკული შედეგები (Innovation Output).

2015 წლის გლობალური ინოვაციური ინდექსი გამოთვლილია 141 ქვეყნის მიხედვით, რომელთა შორის საქართველო 73-ე ადგილზეა, მათ შორის, პირველი ჯგუფის მაჩვენებლებით მას 67-ე ადგილი უკავია, ხოლო მეორე ჯგუფით – 86-ე. ინოვაციების ეფექტიანობის კოეფიციენტი საქართველოში 0.6 შეადგენს და ამ მაჩვენებლით იგი 107-ე ადგილზეა [4, GII, 2015]. წინა წელთან შედარებით მისი პოზიცია 17 პუნქტით გაუარესდა: 2014 წელს საქართველოს 90-ე ადგილი ეკავა 143 ქვეყანას შორის და მისი ეფექტიანობის კოეფიციენტი 0.7 იყო [5, GII, 2014].

ცხრილი 4.2. საქართველო გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის რეიტინგები (2009-2016 წწ.)

	2009-10 (133)*	2010-11 (139)*	2011-12 (142)*	2012-13 (144)*	2013-14 (148)*	2014-15 (148)*	2015-16 (140)*
გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი GCI	90	93	88	77	72	69	66
I. საბაზისო პირობები	85	95	86	64	57	48	50
ინსტიტუტები	72	69	60	61	64	48	40
ინფრასტრუქტურა	72	73	68	53	56	59	61
მაკროეკონომიკური სტაბილურობა	117	130	137	88	61	48	51
ჯანმრთელობა და დაწესებულებების განათლება	78	73	67	61	70	63	65
II. ეფექტიანობის ფაქტორები	89	94	89	87	57	79	77
უმაღლესი განათლება და პროფესიული სწავლება	84	90	88	93	92	92	87
საქონლისა და მომსახურების ბაზრის ეფექტიანობა	74	64	74	82	67	60	48
შრომის ბაზრის ეფექტიანობა	17	31	32	35	40	41	32
ფინანსური ბაზრის განვითარებულობა	95	108	99	93	75	76	68
ტექნოლოგიური მზადყოფნა	100	98	100	76	68	67	72
შიდა ბაზრის ზომბ	101	107	106	99	103	103	99
III. ინოვაციების ფაქტორები	117	121	117	120	122	118	118
ბიზნესის სოფტოფიკაცია	113	111	110	113	120	113	112
ინოვაციური პოტენციალი	119	125	118	126	126	121	123
წყარო: The Global Competitiveness Report 2009-2010 (გვ.150-151), 2010-2011 (გვ. 162-163), 2011-2012 (გვ. 182-183), 2012- 2013 (გვ.174-175), 2013-2014 (გვ. 192-193), 2014-2015 (გვ. 188-189), 2015-2016(გვ. 176-177), World Economic Forum. Geneva, Switzerland							

ცხრილში 4.3 მოცემულია ევროკავშირის, საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების ინოვაციური განვითარების ზოგიერთი მახასიათებელი. როგორც მონაცემები გვიჩვენებენ, ადამიანური განვითარების ინდექსით, ევროკავშირის ქვეყნებიდან დანია და ნიდერლანდები ლიდერობენ: ორივეს მე-4 ადგილი უკავია, თუმცა, გლობალური ინოვაციური ინდექსით დანია მე-10 ადგილზეა, ხოლო გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსით – მე-12 ადგილზე. ნიდერლანდები ამ მაჩვენებლებით, შესაბამისად, მე-4 და მე-5 ადგილებს იკავებს. ევროკავშირის ქვეყნებიდან ყველაზე დაბალი ადამიანური განვითარების ინდექსი ბულგარეთსა და რუმინეთს აქვთ, რომელთაც რეიტინგში, შესაბამისად, 59-ე და 52-ე ადგილები უკავიათ. დაბალია აგრეთვე მათი გლობალური ინოვაციური და გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსები: ბულგარეთის – შესაბამისად, 39-ე და 54-ე ადგილები, რუმინეთის – 54-ე და 53-ე ადგილები. 2005–2012 წლებში კვლევებსა და განვითარებაზე ყველაზე მეტს ხარჯავდნენ: ფინეთი – მშპ-ის 3.5%-ს, შვედეთი – 3.4%-ს და დანია – 3.0%-ს. საქართველოსა და აზერბაიჯანში ეს მაჩვენებელი 2.0%-ს შეადგენს, სომხეთში – 0.3%-ს, რუსეთში – 1.1%-ს და თურქეთში – 0.9%-ს. ევროკავშირში ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მოცულობით პირველი ადგილი ლუქსემბურგს უკავია (87,737 \$), მაგრამ აქ კვლევებსა და განვითარებაზე მშპ-ის მხოლოდ 1.4% იხარჯება. გაერთიანებულ სამეფოში ეს მაჩვენებლები შესაბამისად 37,017 \$-სა და 1.7%-ს შეადგენს, ირლანდიაში – 44,931\$-სა და 1.7%-ს და ა. შ. (ცხრილი 4.3).

მსოფლიო ბანკი ქვეყანაში ცოდნის ეკონომიკის ფორმირების ხარისხს ცოდნის შეფასების მეთოდოლოგიით (Knowledge Assessment Methodology – KAM) განსაზღვრავს, რომელშიც გათვალისწინებულია ორი ინდექსის – ცოდნის ინდექსისა (Knowledge Index – KI) და ცოდნის ეკონომიკის ინდექსის (Knowledge Economy Index – KEI) – გაანგარიშება. ცოდნის ინდექსით (KI) იზომება ქვეყნის უნარი, მოახდინოს ცოდნის გენერირება, მიღება და დიფუზია. იგი სამი ცვლადის – განათლების, ინოვაციებისა და ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების საშუალო მაჩვენებელია.

ცხრილი 4.3. ევროკავშირის, საქართველოს და მისი მფლობელი ქვეყნების ინოვაციური განვითარების ზოგიერთი მაჩასიათბელი

	2014*	2014*	2014*	2014*	2014*	2015**	2015-16 წწ.***
ქვეყანა	ადამიანური განვითარების ინდექსი – HDI რეიტინგი 188 ქვეყანას შორის	ხარჯები კვლევებსა და განვითარებაზე, %-ობით მშპ-თან, 2005–2012 წწ.	მშპ 1 სულ მოსახლეზე, \$ (2011 წლის მყიდველი ბითუნ-რიანობის პარიტეტით)	გლობალური ინოვაციური ინდექსი – GII, რეიტინგი 141 ქვეყანას შორის	გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი – GCI, რეიტინგი 140 ქვეყანას შორის		
1.	ავსტრია	2.8	44,376	18	23		
2.	ბელგია	2.2	40,607	25	19		
3.	ბულგარეთი	0.6	15,695	39	54		
4.	გერმანია	2.9	43,207	12	4		
5.	გაერთ. სამეფო	1.7	37,017	2	10		
6.	დანია	3.0	41,991	10	12		
7.	ესპანეთი	1.3	31,596	27	33		
8.	ესტონეთი	2.2	25,132	23	30		
9.	ირლანდია	1.7	44,931	8	24		
10.	იტალია	1.3	34,167	31	43		
11.	კვიპროსი	0.5	27,394	34	65		
12.	ლატვია	0.7	21,825	33	44		
13.	ლიტვა	0.9	24,483	38	36		
14.	ლუქსემბურგი	1.4	87,737	9	20		
15.	მალტა	0.8	28,828	26	48		

16.	ნიღორლანდები	4	2.2	44,945	4	5
17.	პოლონეთი	36	0.9	22,877	46	41
18.	პორტუგალია	43	1.5	25,596	30	38
19.	რუმინეთი	52	0.5	18,200	54	53
20.	საბერძნეთი	29	0.7	24,540	45	81
21.	საფრანგეთი	22	2.3	37,154	21	22
22.	სლოვაკეთი	35	0.8	26,263	36	67
23.	სლოვენია	25	2.8	27,576	28	59
24.	უნგრეთი	44	1.3	22,914	35	63
25.	ფინეთი	24	3.5	38,846	6	8
26.	შვედეთი	14	3.4	43,741	3	9
27.	ჩეხეთი	28	1.9	27,959	24	31
28.	ხორვატია	47	0.8	20,063	40	77
29.	რუსეთი	50	1.1	23,564	48	45
30.	თურქეთი	72	0.9	18,660	58	51
31.	საქართველო	76	0.2	6,946	73	66
32.	აზერბაიჯანი	78	0.2	16,594	93	40
33.	სომხეთი	85	0.3	7,527	61	82

წყარო: "The Human Capital Report 2015, World Economic Forum.

http://www3.weforum.org/docs/WEF_Human_Capital_Report_2015.pdf

**The Global Innovation Index 2015, Effective Innovation Policies for Development. Cornell University, INSEAD, and WIPO, 2015 http://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_gii_2015.pdf

***The Global Competitiveness Report. 2015-2016, World Economic Forum. Geneva, Switzerland http://www3.weforum.org/docs/gcr/2015-2016/Global_Competitiveness_Report_2015-2016.pdf

ცოდნის ეკონომიკის ინდექსში (KEI) კი KI-ის ამ სამ ცვლადს მეოთხე ცვლადი ემატება – ეკონომიკური სტიმულირება და ინსტიტუციური რეჟიმი. მსოფლიო ბანკმა ქვეყანაში ცოდნის ეკონომიკის ფორმირების ხარისხი უკანასკნელად 2012 წელს განსაზღვრა. 2012 წელს, 2000 წელთან შედარებით, KEI რეიტინგში საქართველომ მდგომარეობა 7 პოზიციით გაიმჯობხეს და 68-ე ადგილი (5.19 ქულა) დაიკავა. ამ პერიოდში სტიმულირების ეკონომიკური რეჟიმის რეიტინგში მდგომარეობა 58 პოზიციით გაუმჯობხესდა, მაგრამ სხვა მაჩვენებლებში სიტუაცია გაუარესდა: ეკონომიკური სტიმულირებისა და ინსტიტუციური რეჟიმის რეიტინგში 4 პოზიციით დაიწია, ხოლო ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების რეიტინგში – 1 პოზიციით. თავის მხრივ, KI ინდექსით საქართველოს 87-ე ადგილი უკავია [6]. ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ ცოდნის გამოყენების ეფექტიანობა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიზნით 19 ქულით უსწრებს მის უნარს, შექმნას, მიიღოს და გაავრცელოს ცოდნა (ცხრილი 4.4).

ცხრილში 4.4 მოცემულია ზოგიერთი ქვეყნის ცოდნისა და ცოდნის ეკონომიკის ინდექსები (მოსახლეობის გათვალისწინებით). როგორც ცხრილიდან ჩანს, მსოფლიოში ცოდნისა და ცოდნის ეკონომიკის ინდექსებით შვედეთი პირველ ადგილზეა. ამ რეიტინგებით მეზობელი ქვეყნებიდან საქართველოს რუსეთი უსწრებს, თუმცა იგი მნიშვნელოვნად (74 პოზიციით) ჩამორჩება სტიმულირების ეკონომიკური რეჟიმის რეიტინგში (ცხრილი 4.4).

ტექნოლოგიური გარემოს განვითარებაში მთავარ როლს ინფორმაციული ტექნოლოგიები ასრულებს. მათი სწრაფი გავრცელების შედეგად, XX საუკუნის დასასრულს გაჩნდა ცნება „ახალი ეკონომიკა“, რომელიც ემყარება ინტელექტუალურ რესურსებს, მეცნიერებატევად და ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, წარმოების ყველა ფაქტორის ეფექტიან გამოყენებას. ამჟამად ახალ ეკონომიკაში (ნეოეკონომიკაში) იგულისხმება ეკონომიკის ის სფეროები, სემენტები, რომლებშიც საქონლისა და მომსახურების წარმოება და რეალიზაცია საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებით ხორციელდება, ან ეს ტექნოლოგიები სერიოზულ გავლენას ახდენენ რომელიმე დარგის, ან ამა თუ იმ სახის საქმიანობის განვითარებაზე. ამასთან, განიხილება ეკონომიკის განსაზღვრული

ტიპი, რომელშიც ზრდის მთავარი წყაროა ცოდნის წარმოება, ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრესი, სამეცნიერო კვლევების სფეროს განვითარება, ადამიანური კაპიტალის დაგროვება. ახალ ეკონომიკაზე გადასვლას XX საუკუნის შუა ხანებში დაწყებულმა მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ ხელი შეუწყო, რომელმაც წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არსებითად შეცვალა, შეიქმნა მახსოვრობის უზარმაზარი მოცულობის კომპიუტერები, ოპტიკურ-ბოჭკოვანი კავშირგაბმულობის არხები, გრაფიკული ინტერფეისიანი და ექსპლუატაციაში საკმაოდ მარტივი მრავალფუნქციური პროგრამები, ლოკალური კომპიუტერული ქსელები და ბოლოს, გაჩნდა გლობალური კომპიუტერული ქსელი – ინტერნეტი. ამან მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ინფორმაციის გადაცემისა და დამუშავების დრო მინიმუმამდე დაიყვანა და ეკონომიკური პროცესების მნიშვნელოვანი ინტენსიფიკაცია და ადამიანური ფაქტორის როლის გაძლიერება განაპირობა. ინტერნეტი ახალი ეკონომიკის ფორმირების უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი ძალა და ერთდროულად – მისი რეალური შედეგი გახდა.

მსოფლიო სატელეკომუნიკაციო ქსელი სერიოზული ტექნოლოგიური და ეკონომიკური ცვლილებების პროდუქტია, მაგრამ ინტერნეტი და მასთან დაკავშირებული ქსელური ტექნოლოგიები სულ უფრო მეტად პროდუქტი კი არა, ახალი ეკონომიკის გარემო ხდება, რომელშიც იცვლება წარმოდგენა ფორმის ეფექტიანი ზომის, წარმოების ორგანიზაციისა და პროდუქციის რეალიზაციის საფუძვლების შესახებ, როგორც მიკრო-, ისე მაკრო- და საერთაშორისო დონეებზე. ინფორმაციული ტექნოლოგიების საყოველთაო გამოყენების შედეგად, იცვლება ბიზნესის წარმოების ბევრი პირობა, რაც ქვეყნებს ახალ ბაზაზე განვითარებისა და მისი დაჩქარების შესაძლებლობას აძლევს. ახალ ეკონომიკაში ინფორმაცია სისტემის წარმომქმნელი ფაქტორი გახდა, რომელიც წარმოების კლასიკურ ფაქტორებს (მიწა, შრომა, კაპიტალი) ავსებს. კონკურენციის არსებითი ფაქტორი ხდება აგრეთვე დრო, რადგან კონკურენტული უპირატესობები ინფორმაციის მიღების სისწრაფეზეა დამოკიდებული.

ახალი ეკონომიკისათვის დამახასიათებელია სივრცის შეკუმშვა კონკურენტების რიცხვის ერთდროული ზრდის პირობებში, აგრეთვე, ბაზრების ხარისხობრივი ტრანსფორმაცია. ახალ ეკონომიკაში ბაზრის

ცნებამ სხვა დატვირთვა შეიძინა, რადგან მყიდველს დამოუკიდებლად ან შუამავლებით შეუძლია დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება მისთვის საინტერესო საქონლისა და მომსახურების შესახებ. თავის მხრივ, პოტენციური კლიენტის ინდივიდუალური თვისებების მახასიათებელი ინფორმაცია დამოუკიდებელი და, ამასთან, არც თუ ისე იაფი საქონელი ხდება. ამიტომ კომპანიებში კლიენტთა მონაცემების ბაზები ერთ-ერთი ყველაზე კონფიდენციალური ინფორმაციაა, ხოლო კლიენტისადმი ინდივიდუალური მიდგომა წარმატებული საქმიანობის საწინდარი და კომპანიის მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობა ხდება.

ინფორმაციული პროდუქტებისათვის მასშტაბის ეფექტი არა მარტო ტრადიციულ ასპექტში ვლინდება, არამედ არატრადიციული სახითაც – მოთხოვნის მხრიდან. წარმოიშობა ე. წ. „ქსელების გარე ეფექტები“ ანუ სარგებლიანობა მომხმარებელთა რიცხვის ზრდის შესაბამისად მატულობს. მაგალითად, საოპერაციო სისტემის “Microsoft Windows” სამომხმარებლო სარგებლიანობა მომხმარებელთა რიცხვის ზრდის შესაბამისად იზრდება. წარმოიშობა კონკურენციის ახალი სახე – ქსელების კონკურენცია. ინფორმაციულ საზოგადოებაში ახალი ტიპის საწარმო ყალიბდება, ხოლო კომპანიის ვერტიკალური ინტეგრაციის პრინციპი ეკონომიკური საქმიანობის ახალი ფორმებითა და მოდელებით იცვლება. ქსელური გამანაწილებელი სისტემა წამყვანი ხდება. მათ სტრუქტურაში ისეთი კომპანიები გამოიყოფა, რომლებიც ერთი საქმიანი ოპერაციის შესრულებაზე სპეციალიზდებიან. ე. ი. ყალიბდება ბირთვი-ორგანიზაცია, ხოლო მის ირგვლივ – სპეციალიზებული ორგანიზაციების „თანამეგობრობა“.

ცხრილი 4.4. ზოგიერთი ქვეყნის ცოდნისა და ცოდნის ეკონომიკის ინდექსები (მოსახლეობის გათვალისწინებით), 2012 წ.

ქვეყანა	ცოდნის ეკონომიკის ინდექსი			ცოდნის ინდექსი			სტიმულირების ეკონომიკური რეჟიმი			ინოვაციები			განათლება			ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიები		
	დღევანდელი	*ატმენტი	დანაკლებ	დღევანდელი	*ატმენტი	დანაკლებ	დღევანდელი	*ატმენტი	დანაკლებ	დღევანდელი	*ატმენტი	დანაკლებ	დღევანდელი	*ატმენტი	დანაკლებ	დღევანდელი	*ატმენტი	დანაკლებ
შვედეთი	1	0	9.43	1	0	9.38	4	+2	9.58	2	0	9.74	6	-3	8.92	2	0	9.49
ფინეთი	2	+6	9.33	3	+7	9.22	2	+2	9.65	3	0	9.66	11	+7	8.77	6	+2	9.22
დანია	3	0	9.16	5	-3	9.00	3	+8	9.63	5	+2	9.49	15	-5	8.63	13	-10	8.88
რუსეთი	55	+9	5.78	43	+2	6.96	117	+15	2.23	40	+11	6.93	44	-17	6.79	44	+19	7.16
საქართველო	68	+7	5.19	87	-20	4.49	43	+58	7.28	65	-4	5.15	87	-32	4.61	95	-1	3.72
თურქეთი	69	-7	5.16	79	-11	4.81	52	0	6.19	58	+6	5.83	94	-3	4.11	88	-32	4.50
სომხეთი	71	-13	5.08	78	-20	4.84	57	+11	5.80	82	-28	4.21	39	0	6.96	101	-11	3.35
აზერბაიჯანი	79	+15	4.56	76	+11	4.96	103	+24	3.36	89	+14	4.01	53	+8	5.95	78	+26	4.93
მსოფლიო – სულ			5.12			5.01			5.45			7.72			3.72			3.58

წყარო: http://info.worldbank.org/etools/kam2/KAM_page5.asp

* ცვლილება 2000 წელთან შედარებით.

თანამედროვე საზოგადოებაში ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების დიდი მნიშვნელობის გამო, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ელექტრონული ქსელების გამოყენებისათვის ქვეყნების მზადყოფნის რეიტინგს განსაზღვრავს. 2015 წლის მოხსენებაში გლობალური ინფორმაციული ტექნოლოგიების შესახებ [7] განხილულია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ეკონომიკური წინსვლის ურთიერთკავშირი, პოლიტიკურ და ბიზნესგარემოზე ახალი ტექნოლოგიების სოციალური და ეკონომიკური გავლენა, ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და მისი გამოყენების თავისებურებები, რაც საბოლოოდ ქვეყნების ქსელური მზადყოფნის ინდექსს (Networked Readiness Index) განსაზღვრავს. ეს ინდექსი ინფორმაციული ტექნოლოგიების სიკეთეების მაქსიმალური გამოყენებისა და ათვისებისათვის ქვეყნის ეკონომიკის მზადყოფნას აფასებს. 2015 წელს ქსელური მზადყოფნის ინდექსით საქართველო 143 ქვეყანას შორის მე-60 ადგილზეა (4.2 ქულა). 2014 წელსაც მე-60 ადგილზე იყო (4.1 ქულა) 148 ქვეყანას შორის, ხოლო 2013 წელს – 65-ზე (3.9 ქულა) 144 ქვეყანას შორის.

ქსელური მზადყოფნის ინდექსი შემდეგ სუბინდექსებს მოიცავს:

- A. გარემოს სუბინდექსი (environment subindex)
- B. მზადყოფნის სუბინდექსი (readiness subindex);
- C. გამოყენების სუბინდექსი (usage subindex);
- D. ზემოქმედების სუბინდექსი (impact subindex).

ამ ოთხი სუბინდექსიდან 2015 წელს საქართველოს ყველაზე კარგი შედეგი მზადყოფნის სუბინდექსში ჰქონდა – 45-ე ადგილი, ხოლო ამ სუბინდექსის საუკეთესო მაჩვენებელია ხელმისაწვდომობა – მე-7 პოზიცია [7]. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პოზიცია მზადყოფნის სუბინდექსში, წინა წელთან შედარებით, 5 პუნქტით გაუარესდა. 2014 წელს ამ სუბინდექსით საქართველო მე-40 ადგილზე იყო, ხოლო ხელმისაწვდომობით – მე-4-ზე [8]. საქართველოს ქსელური მზადყოფნის ინდექსი მისი შემადგენელი მაჩვენებლებით მოცემულია ცხრილში 4.5.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში აქტუალური გახდა ეროვნული ინოვაციური სისტემების შექმნის კონცეფცია და მრავალმა ქვეყანამ თავისი ინოვაციური პოლიტიკა

გააქტიურა. თუმცა, საქართველოში ამ მიმართულებით არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა და ქვეყნის ინოვაციური განვითარება შეფერხებულია. ეს, უპირველესად, შეიძლება აიხსნას შემდეგი მიზეზებით:

- ეკონომიკის დარგების მხრიდან ინოვაციებსა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე მოთხოვნის არარსებობა;
- ინოვაციურ-ტექნოლოგიური სფეროს ფორმირებისა და განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის, სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის არარსებობა;
- ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის შემცირება;
- ქვეყნის ბიზნეს-გარემოს არსებითი გაუმჯობესების მიუხედავად, ინოვაციური სფეროს განვითარებისათვის არახელსაყრელი საინვესტიციო გარემო (მაღალი რისკისა და განუსაზღვრელობის გამო).

ადამიანების მიერ ინოვაციების შექმნის, გამოყენების და მართვის უნარი დამოკიდებულია 3 ფაქტორზე:

- ზოგადი, საშუალო და უმაღლესი განათლების თავისებურებები (განათლების ხანგრძლივობა სხვადასხვა დონეზე, საგანმანათლებლო პროგრამები, განათლების ხარისხი სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში);
- განათლების დონე ქვეყანაში;
- მოსწავლეთა რაოდენობა 1 მასწავლებელზე.

საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურის, აგრეთვე მისი ექსპორტის ანალიზი გვიჩვენებს, რომ:

- ძალიან დაბალია ქართული ფირმების ინოვაციური აქტივობა, რაც მათი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლებას აფერხებს;
- ინოვაციური პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე საქართველოს ადგილი არ გააჩნია;
- ეკონომიკური განვითარების ქართული მოდელი არ შეესაბამება (უფრო მეტიც, მსგავსი ელემენტებიც კი არ გააჩნია) წარმატებით განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ მოდელებს;

ცხრილი 4.5. საქართველოს ქსელური მზადყოფნის ინდექსი, 2014-2015 წწ.

პარამეტრები	2015		2014**	
	რეიტინგი 143 ქვეყნას შორის	ქულა (1-7)	რეიტინგი 148 ქვეყნას შორის	ქულა (1-7)
ქსელური მზადყოფნის ინდექსი	60	4.2	60	4.1
A. გარემოს სუბინდექსი	62	4.0	73	3.9
1. პოლიტიკური და მარეგულირებელი გარემო	76	3.6	97	3.4
2. ბიზნესისა და ინოვაციური გარემო	62	4.4	59	4.4
B. მზადყოფნის სუბინდექსი	45	5.3	40	5.4
3. ინფრასტრუქტურა	59	4.3	59	4.5
4. ხელმისაწვდომობა	7	6.6	4	6.8
5. უნარ-ჩვევები	78	4.9	78	4.9
C. გამოყენების სუბინდექსი	72	3.8	75	3.6
6. ინდივიდუალური გამოყენება	76	3.8	76	3.4
7. ბიზნესის გამოყენება	104	3.3	110	3.2
8. მთავრობის გამოყენება	50	4.3	55	4.2
D. ზემოქმედების სუბინდექსი	64	3.8	74	3.4
9. ეკონომიკური ზემოქმედება	97	3.0	100	2.9
10. სოციალური ზემოქმედება	45	4.6	59	3.9

წყარო: *The Global Information Technology Report 2015. World Economic Forum, 2015
http://www3.weforum.org/docs/WEF_GITR2015.pdf
******The Global Information Technology Report 2014. World Economic Forum, 2014
http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalInformationTechnology_Report_2014.pdf

საქართველოს ეფექტიანი ეკონომიკური ზრდისთვის ეკონომიკური განვითარების ინოვაციური მოდელი სჭირდება. ამ ახალ ეკონომიკურ მოდელზე გადასასვლელად ქვეყანას შემდეგი ძლიერი მხარეები და შესაძლებლობები აქვს:

- მოსახლეობის განათლების მაღალი დონე;
 - უმაღლესი განათლების განვითარებული და რეფორმირებული სისტემა;
 - დაგროვილი ინტელექტუალური კაპიტალი, განვითარებული ქვეყნების შესაფერისი მეცნიერული ელიტა და საერთაშორისო აღიარების მქონე მეცნიერების საკმაო რაოდენობა;
 - იაფი და კვალიფიციური სამუშაო ძალა;
 - ღია ეკონომიკა და ლიბერალური ბიზნეს-გარემო;
 - საკმაოდ დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა;
 - თავისუფალი ინდუსტრიული და სავაჭრო ზონების შექმნის შესაძლებლობები;
 - ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა;
 - მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობა;
 - საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა.
- ამასთან, ეკონომიკის განვითარების ინოვაციურ მოდელზე გადასვლას აფერხებს შემდეგი სუსტი მხარეები და შესაძლებლობები:
- მოძველებული საწარმოო ფონდები, ტექნიკისა და მოწყობილობის დაბალი ტექნოლოგიური დონე;
 - ფინანსური სახსრების უკმარისობა არსებული საწარმოო სიმძლავრეების მოდერნიზაციისათვის და ახალი მაღალტექნოლოგიური საწარმოების შესაქმნელად;
 - მენეჯმენტის დაბალი დონე;
 - არასრულყოფილი ინსტიტუციური და სამართლებრივი მექანიზმები ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებისათვის;
 - ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე;
 - მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის დეფორმაცია;
 - სუსტი ორიენტაცია პროდუქციის ხარისხზე;
 - პოლიტიკური არასტაბილურობის საშიშროება, დაკარგული ტერიტორიები;

- განვითარების ინოვაციურ გზაზე გადასვლის მნიშვნელობის გაუთავისებლობა და ბიზნესის დაბალი კულტურა.

ეკონომიკური განვითარების ინოვაციურ მოდელში განსაკუთრებული ადგილი განათლებას უკავია. ეფექტიანი საგანმანათლებლო სისტემა, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ქვეყანაში სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვას, გლობალური ტექნოლოგიური ტენდენციების ანალიზსა და შეფასებას, ხოლო, მეორე მხრივ, მოსახლეობის განათლების მაღალი დონე მაღალტექნოლოგიურ პროდუქციაზე მოთხოვნის განვითარების წინაპირობას ქმნის, რაც, თავის მხრივ, ინოვაციური პროდუქტებისა და პროცესების შექმნას ასტიმულირებს. შესაბამისად, ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ზომები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სპეციალისტების მომზადების პირობების შესაქმნელად. უნდა აღმოიფხვრას შეუსაბამობა საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებულ ცოდნასა და შრომის ბაზარზე სპეციალისტების უნარ-ჩვევებსა და კვალიფიკაციაზე არსებულ მოთხოვნას შორის.

უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მსოფლიოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მკვეთრად იზრდება სტუდენტთა რაოდენობა და უმაღლეს განათლებაზე მასობრივი მოთხოვნა მატულობს, რის შედეგად სახელმწიფო დაფინანსებასთან ერთად, იზრდება უმაღლესი განათლების დაფინანსების კერძო წყაროების წილი. უმაღლეს განათლებაზე მასობრივი მოთხოვნა საქართველოსათვისაც დამახასიათებელია. იგი ფასიანი სწავლების შემოღებისა და უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობის მკვეთრი ზრდის შედეგად წარმოიშვა. 1991 წელს საქართველოში 19 სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში 102.8 ათასი სტუდენტი სწავლობდა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაქსიმალური რაოდენობა 2004/2005 სასწავლო წელს დაფიქსირდა – 198 ერთეული, მათ შორის, 26 სახელმწიფო და 172 კერძო [9]. კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დიდი რაოდენობის მიუხედავად, სტუდენტთა უმრავლესობა (დაახლოებით 2/3) სწავლობს სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. 2013/2014 სასწავლო წელს ერთ სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაზე საშუალოდ 4384 სტუდენტი მოდიოდა, ხოლო ერთ კერძოზე – 735 სტუდენტი (ცხრილი 4.6).

საქართველოს ინოვაციური პოტენციალის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს ევროკავშირი, რომელიც საქართველოს თავისი პროგრამებითა და პროექტებით სიახლეების შექმნასა და გავრცელებაში ეხმარება. ინოვაციების სფეროში საქართველოსა და ევროკავშირის მრავალწლიანი თანამშრომლობის მიუხედავად, დღემდე ინოვაციური პოტენციალის ზრდა სახელმწიფოს სტრატეგიულ მიმართულებას არ წარმოადგენს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოში ამ მიმართულებით გარკვეული ძვრები შეინიშნება. კერძოდ:

- 2012 წლის სექტემბერში გერმანიის საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციამ (GIZ) საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი დააფუძნა, რომლის მიზანია დააკმაყოფილოს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის ტექნოლოგიური საჭიროებები, ხელი შეუწყოს კვლევითი ორგანიზაციებიდან ეკონომიკის რეალურ სექტორში ტექნოლოგიების გადაცემის პროცესს, მოარგოს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მოთხოვნები საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე არსებულ ნოუ ჰაუსს, კვლევასა და განვითარებას (R&D) [10];

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე შეიქმნა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, რომლის მიზანია ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის ფორმირება, სხვადასხვა სექტორში ინოვაციების და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება, ინოვაციური მეწარმეობის, კვლევების და გამოგონებების კომერციალიზაციის ხელშეწყობა. სააგენტოს მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა ექსპორტზე ორიენტირებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინდუსტრიის ფორმირებას, ასევე ინოვაციური Start-up-ებისა და ტექნოლოგიური კომპანიების გაჩენის ხელშეწყობას, ინოვაციების და ტექნოლოგიების კომერციალიზაციისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის ფორმირებას, მათ შორის ტექნოლოგიური პარკების, ინოვაციების ცენტრების, აქსელერატორების, ინოვაციების ლაბორატორიების შექმნას [11];

- ევროკავშირის ინიციატივით აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში შეიქმნა სამთავრობო პანელი „კვლევა და ინოვაცია“, ხოლო ვილნიუსის 2013 წლის 28-29 ნოემბრის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტის ერთობლივ დეკლარაციაში განსაზღვრულია ის მიზნები, რომლებიც პარტნიორობამ 2015 წლისთვის უნდა განახორციელოს. მათ შორისაა ცოდნისა და ინოვაციების საერთო სივრცის ეტაპობრივი განვითარება, კვლევისა და ინოვაციების დარგში თანამშრომლობის რამდენიმე არსებული მიმართულების გაერთიანების მიზნით [12];
- უკანასკნელ წლებში გაფართოვდა აქტიურად მონაწილეობს ევროპულ პროექტებში – ქვეყანა მონაწილეობდა 63 პროექტში, 2013 წლის 1 სექტემბრიდან შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ჩაერთო სამწლიან რეგიონულ პროექტში „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი“ [13].
- და სხვა. მაგალითად, საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან შეიქმნა საინოვაციო საბჭო, ევროკავშირის ENPARD პროგრამის მხარდაჭერით შემუშავებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია სამეცნიერო-ტექნოლოგიური ღონისძიებები და ა.შ. [14].

თანამედროვე ეტაპზე ინოვაციური საქმიანობის გააქტიურება ნებისმიერი ქვეყნის განვითარების მასტიმულირებელი ფაქტორია, ამიტომ საქართველოსათვის ევროკავშირის მიერ უმნიშვნელოვანესი R&D მხარდაჭერა მსოფლიო დონის მიღწევებზე ორიენტირებულ კვლევებსა და დამუშავებებს, ახალი ცოდნის დაგროვებას, ინტელექტუალური კაპიტალის ხარისხის ამაღლებას უზრუნველყოფს. ეს კი საბოლოოდ ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და ტექნოლოგიების საერთაშორისო გაცვლაში აქტიურობის ზრდაში გამოიხატება. როგორც ცხრილი 7-ის მონაცემებიდან ჩანს, 2013 წელს საქართველომ განახორციე-

ლა \$21 683 ათასი მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტი, რაც სამრეწველო საქონლის ექსპორტის მხოლოდ 2.6%-ს შეადგენს. დაბალია აგრეთვე საპატენტო აქტივობა, სტატიების რაოდენობა სამეცნიერო-ტექნიკურ ჟურნალებში და ა.შ. (ცხრილი 4.7) [15].

ქვეყნის ინოვაციურ განვითარებაში ერთ-ერთი საკვანძო პრობლემა ტექნოლოგიების კომერციალიზაცია. ამიტომ საქართველოს ინოვაციური სექტორის შესაქმნელად საჭიროა ინოვაციური პოტენციალის შეფასება, არსებული მეცნიერული დამუშავებებისა და გამოგონებების დაყვანა „საბაზრო კონდიციაზე“, აქტუალური სიახლეების ძიება და მათზე მოთხოვნის სტიმულირება, ვენჩურული ბიზნესის განვითარება და ა. შ.

ქართული ფორმების საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქცეს ახალი მცირე ინოვაციური (Start-up ტიპის) საწარმოების შექმნა და საწყის ეტაპზე მათი სახელმწიფო სტიმულირება, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და საწარმოებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა, ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების მასტიმულირებელი ორგანიზაციულ-სამართლებლივი პირობების შექმნა და, საერთოდ, ისეთი ეროვნული პოლიტიკის ფორმირება, რომელიც მძლავრი ინოვაციური სექტორის ჩამოყალიბებას ხელს შეუწყობს. ამ პოლიტიკის ბირთვი უნდა გახდეს საქართველოს ეკონომიკის პროგრესული სტრუქტურულ-ტექნოლოგიური ცვლილებების უზრუნველყოფელი ღონისძიებების სისტემა, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის საწარმოებში კონკურენტუნარიანი ეროვნული საქონლისა და მომსახურების წარმოების შესაძლებლობას განაპირობებს.

ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირებისათვის სათანადო სახსრები უნდა გამოიძებნოს, რომლებიც მეცნიერების აღორძინებასა და განათლების სისტემის სრულყოფას მოხმარდება. ინოვაციური საქმიანობის გააქტიურება და მისი ეფექტიანი მართვა სახელმწიფოს სისტემატური ზრუნვის საგნად უნდა იქცეს. სახელმწიფოსთან ერთად ამ პროცესში აქტიური მონაწილეობა კერძო სექტორმა უნდა მიიღოს. რა თქმა უნდა, ჩვენი საწარმოებისთვის ინოვაციების დანერგვა და, შესაბამისად, ამ მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმოება არაა პრიორიტეტული. მაგრამ ყველამ უნდა გაითავისოს, რომ ინოვაციები და ინფორმაცია მათ შესახებ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული რესურსია.

ცხრილი 4.7. საქართველო ტექნოლოგიების სერთიფიკაციის გაცვლაში

	2000	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
მთლიანი ტექნოლოგიების ექსპორტი, ათასი \$	11001	75238	65778	41072	20793	14196	10603	10872	19843	21683
ექსპორტი, %-ით სამრეწველო საქონლის ექსპორტთან	10.9	23	16.5	7.5	2.7	3.9	1.8	1.3	2.5	2.6
სტატიები სამეცნიერო-ტექნიკურ ჟურნალებში	134	145	178	129	137	129	121	118
საპატენტო განაცხადები, არარეზიდენტები	186	250	299	316	241	218	179	260	233	219
საპატენტო განაცხადები, რეზიდენტები	232	225	236	248	216	172	170	186	162	114
საპატენტო განაცხადები, პირდაპირი არარეზიდენტები	2854	3479	4065	4412	4682	3761	3660	3968	4005	4182
საპატენტო განაცხადები, პირდაპირი რეზიდენტები	296	507	402	554	759	621	641	841	753	805
განაცხადები სასაქონლო ნიშნუბზე-სულ	3150	3986	4467	4966	5441	4382	4301	4809	4758	4987

წყარო: Worldbank, Topic, Science & Technology <http://data.worldbank.org/topic/science-and-technology>

გარდა ამისა, ჩვენმა მთავრობამ არ უნდა დაუმავს „ტვინების გადინება“, ახალგაზრდა პერსპექტიული კადრების დაკარგვა. ამისათვის კი საჭიროა სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება და მაღალი ხელფასები, ჩვენ სასარგებლოდ იმ თანამედროვე მსოფლიო ტენდენციის გამოყენება, რომელიც განვითარებად ქვეყნებში მაღალტექნოლოგიური წარმოებების გადატანაში გამოიხატება, რადგან იქ იაფია შრომა. აღნიშნულთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ დღეს ტერიტორიის ეფექტიანი ათვისება მისი ფინანსური და ინტელექტუალური რესურსების ამოღებაა. განვითარებული ქვეყნები იზიდავენ საუკეთესო მეცნიერებს, სპეციალისტებს და ასეთი სახით თავიანთ ინტელექტუალურ კაპიტალს ზრდიან. ადამიანისეული კაპიტალის კონცენტრაცია ობიექტური პროცესია. უფრო განვითარებული სამყაროს პროგრესი მიმდინარეობს „ასათვისებელი“ ქვეყნების დეგრადაციის ხარჯზე. სწორედ ამ პრობლემის გააზრებამ ე.წ. „წყალწალღებულ“ ქვეყნების ცნება წარმოშვა. ესაა ის ქვეყნები, რომელთაც დაკარგეს განვითარების რესურსი და მათი წარმოების უნარი. საქართველოც დგას ასეთი საშიშროების წინაშე და მისი თავიდან აცილება პროგრესული ეკონომიკური პოლიტიკითაა შესაძლებელი, რომლის მთავარი შემადგენელი უნდა იყოს ახალი ცოდნის დაგროვების ხელშეწყობა, ინტელექტუალური კაპიტალის ხარისხის ამაღლება [16, ყორღანაშვილი, 2004]. მსოფლიო მეურნეობაში მიმდინარე რევოლუციური ცვლილებები ნათლად მეტყველებს, რომ ცოდნის გარეშე „ახალი ეკონომიკის“ პროდუქტების მოხმარება, ახალ ინოვაციურ კონტურებში ჩაწერა უზრალოდ შეუძლებელია. მსოფლიო ეკონომიკის ინოვაციურ კონტურებს გარეთ დარჩენილი ქვეყნები კი განწირულნი არიან.

დასკვნა

თანამედროვე ეტაპზე ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების, ტექნოლოგიური ინოვაციების როლი სულ უფრო იზრდება, რის გამოც ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს შესწავლა უაღრესად აქტუალურ პრობლემად იქცა.

ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს მთავარი მამომრავებელი ძალა ინოვაციური პროცესებია. ინოვაციების გარეშე ეკონომიკის ხანგრძლივი

და მძლავრი აღმავლობა არ არსებობს. ამას ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მაგალითი ადასტურებს, რომელთაც თავიანთი სიძლიერე რადიკალური ინოვაციების საფუძველზე მოიპოვეს.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან ეროვნული ინოვაციური სისტემის ცნებამ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა ელემენტი მოიცვა და მისი ფორმირება მსოფლიოს ინოვაციური განვითარების ძირითად ტენდენციებზეა ორიენტირებული. ამასთან, თანამედროვე საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარება გლობალური ეკონომიკური და სამეცნიერო სივრცის შექმნას განაპირობებს.

ინოვაციურად წარმატებული ქვეყნების გამოცდილების ანალიზით დადგენილია, რომ გლობალურ ეკონომიკაში ყველა ქვეყანას ინოვაციური განვითარების საერთო ინსტრუმენტები აქვს, მაგრამ ინოვაციური განვითარების მთლიანად იდენტური პროგრამები და სტრატეგიები არ არსებობს. ამიტომ ყოველ ქვეყანას ინოვაციური განვითარების საკუთარი სტრატეგია სჭირდება. ასეთი სტრატეგია საქართველოსათვისაცაა აუცილებელი, მაგრამ ამ მიმართულებით ქვეყანაში არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა და ქვეყნის ინოვაციური განვითარება შეფერხებულია. საქართველოს ინოვაციური განვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყანას, ფაქტობრივად, ტექნოლოგიური სიახლეების შექმნის, მიღებისა და გავრცელების უნარი არ გააჩნია. შესაბამისად, საქართველო განვითარების რესურსების დაკარგვის საშიშროების წინაშე დგას. ამის თავიდან აცილება კი პროგრესული ეკონომიკური პოლიტიკითა და განვითარების ინოვაციურ მოდელზე გადასვლითაა შესაძლებელი. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მძლავრი ინოვაციური სექტორის ჩამოყალიბებას, მეცნიერების აღორძინებასა და განათლების სისტემის სრულყოფას, ინტელექტუალური კაპიტალის ხარისხის ამაღლებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **შატერაშვილი ო. (2013)** ინოვაციური განვითარების ტენდენციები მსოფლიოში და მდგომარეობა საქართველოში. საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომი-

ტეტი. „ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლის პირველადი ღონისძიებები და პერსპექტიული მიმართულებები“. თბ.

2. The Human Capital Report 2015. World Economic Forum. http://www3.weforum.org/docs/WEF_Human_Capital_Report_2015.pdf
3. The Global Competitiveness Report. 2009-2010, 2010-2011, 2011-2012, 2012-2013, 2013-2014, 2014-2015, 2015-2016. World Economic Forum. Geneva, Switzerland <http://www.weforum.org/reports>
4. The Global Innovation Index 2015. Effective Innovation Policies for Development. Cornell University, INSEAD, and WIPO, 2015 http://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/wipo_gii_2015.pdf
5. The Global Innovation Index 2014. The Human Factor in Innovation. Cornell University, INSEAD, and WIPO, 2014 http://www.wipo.int/edocs/pubdocs/en/economics/gii/gii_2014.pdf
6. Worldbank http://info.worldbank.org/etools/kam2/KAM_page5.asp
7. The Global Information Technology Report 2015. World Economic Forum, 2015 http://www3.weforum.org/docs/WEF_GITR2015.pdf
8. The Global Information Technology Report 2014. World Economic Forum, 2014 http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalInformationTechnology_Report_2014.pdf
9. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2014 / საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბილისი, 2014. http://geostat.ge/cms/site_images/_files/yearbook/Yearbook_2014.pdf. აგრეთვე შესაბამისი წლების სტატისტიკური წელიწდეულები
10. საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი <http://www.ttcg.ge/?q=ka/node/77>).
11. მთავრობის გადაწყვეტილებით „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო“ იქმნება <http://www.ghn.ge/news-103190.html>.
12. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტის ერთობლივი დეკლარაცია, ვილნიუსი, 2013 წლის 28-29 ნოემბერი http://www.mfa.gov.ge/files/30_17011_940161_VilniusJD_GE.pdf
13. საქართველოს მთავრობის განკარგულება №1525 „სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის N609528 საგრანტო შეთანხმებასთან (ევროკომისიის კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების მეშვეობით ჩარჩო პროგრამის (FP7) ფარგლებში დაფინანსებული საგრანტო

პროექტი „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი“ – IncoNet EaP) მიერთების შესახებ“ საგრანტო შეთანხმების პროექტის მოწონების შესახებ;

14. The European Neighborhood Program for Agriculture and Rural Development (ENPARD) was developed by the European Union to boost the production of food in Georgia and to reduce rural poverty
http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/news/annex_enpard_20130313_en.pdf
15. Worldbank. Topic, Science &Technology <http://data.worldbank.org/topic/science-and-technology>
16. ყორღანაშვილი ლ. (2004). ინტელექტუალური კაპიტალი და ტექნოლოგიების საერთაშორისო გაცვლა. თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“.

თავი 5.

კონკურენტუნარიანობის კონცეფცია და საქართველოს საგარეო ვაჭრობა

კონკურენტუნარიანობა ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი კატეგორიაა და მისი ამალღების საკითხი აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. მან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა შეიძინა გლობალიზაციის პირობებში, რადგან ამ შემთხვევაში კონკურენტულ ბრძოლაში სულ უფრო მეტი ქვეყნები და კომპანიები ერთვებიან. გლობალიზაცია საბაზრო ეკონომიკისა და ღია საზოგადოების უპირატესობათა გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. მართალია, ღია ეკონომიკის პირობებში ფორმალურად ყველა ქვეყანა, როგორც მსოფლიო ბაზრის სუბიექტი, თანაბარი უფლებებით უნდა სარგებლობდეს, მაგრამ ქვეყანათა განვითარების ასიმეტრიულობის გამო, რეალური სურათი სულ სხვანაირად გამოიყურება. პოლიტიკურად გავლენიანი და ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოები, თავიანთი მდგომარეობის გამო, ე. წ. „განვითარების რენტას“ იღებენ და მაღალ კონკურენტუნარიანობას აღწევენ სტრატეგიული ლიდერობისა და ბაზრების მონოპოლიზაციის ხარჯზე. თავის მხრივ, კონკურენტუნარიანობის მაღალი დონე მსოფლიო ეკონომიკაში მათ წამყვან როლს განსაზღვრავს. ამის საპასუხოდ ნაკლებად განვითარებული ქვეყნები და რეგიონები იხდიან „ჩამორჩენილობის რენტას“ თავიანთი ბუნებრივი რესურსებით, ადამიანისეული კაპიტალით, ეკოლოგიური კვოტებით და ა. შ. განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის არსებული დისპროპორციები (განსაკუთრებით კი მაღალტექნოლოგიური პროდუქტების წარმოებისა და გამოყენების უნარში) საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის არსებითად განსხვავებულ დონეებში გამოიხატება.

ისტორიულად კონკურენტუნარიანობის კონცეფცია ეროვნული ეკონომიკების ფარდობით უპირატესობებს ეფუძნება, რომლებიც მათ წარმოექმნებათ იაფი მუშახელით, უხვი ბუნებრივი რესურსებით, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, კლიმატური პირობებით, ინფრასტრუქტურით და ა. შ. წარმოების ფაქტორებითა და რესურსებით

განპირობებული უპირატესობები დამახასიათებელი იყო ინდუსტრიული საზოგადოებისათვის, პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში კი კონკურენტუნარიანობის ძირითადი განმსაზღვრელია უახლესი სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიღწევები, ინოვაციები და „ნოუ-ჰაუ“, რაც მთლიანობაში ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოსათვისაა დამახასიათებელი.

საგარეო ვაჭრობა ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარების და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ტრადიციული ფაქტორია. ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობა ასახავს მის როლს საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობაში, კერძოდ, მსოფლიო ბაზრებზე საქონლისა და მომსახურების ექსპორტის უნარს. ექსპორტი ქვეყნის სავალუტო შემოსავლების ზრდის შესაძლებლობას იძლევა და ამიტომ მისი სტიმულირება ნებისმიერი სახელმწიფოს მუდმივი ზრუნვის საგანია.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო ლიბერალური პოლიტიკის გზას დაადგა და საგარეო სავაჭრო ურთიერთობების არეალის გაფართოებას ცდილობს. მისთვის დამახასიათებელია დივერსიფიცირებული გეოგრაფიული სტრუქტურა. 2014 წელს საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა 145 სახელმწიფოსთან. წინა წელთან შედარებით, მისი სავაჭრო პარტნიორების რიცხვი 11 ქვეყნით გაიზარდა. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2014 წელს 11,454 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც, წინა წელთან შედარებით, 4.9%-ით მეტია. ექსპორტი, 2013 წელთან შედარებით, 1.7%-ით შემცირდა და 2,861 მლნ აშშ დოლარს შეადგინა, იმპორტი გაიზარდა 7.3%-ით და 8,593 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 5,733 მლნ აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 50 პროცენტი შეადგინა. წინა წელთან შედარებით იგი 12.4%-ით გაიზარდა და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი მოცულობისაა. აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს მუდმივი უარყოფითი სავაჭრო ბალანსი და იმპორტზე მაღალი დამოკიდებულება ახასიათებს. ამასთან, იმპორტის შემცირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ლარის კურსის გაუფასურება ახდენს, რის გამოც უცხოური პროდუქცია საქართველოს მოსახლეობისთვის ძვირდება და ამიტომ იმპორტზე მოთხოვნაც მცირდება. დანართში 1 მოცემულია საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის, საგარეო სავაჭრო ბრუნვისა და სალდოს დინამიკა 1994-2014 წწ.

საქართველოს საგარეო ვაჭრობას 2000 წლიდან ძირითადად ზრდის ტენდენცია ახასიათებს. გამონაკლისია 2009 წელი (საქართველო-რუსეთის ომის შემდგომი პერიოდი), როდესაც იგი 7797-დან 5634 მლნ აშშ დოლარამდე (25.4%-ით) შემცირდა. აქედან, ექსპორტი შემცირდა 24.3%-ით, იმპორტი – 25.7-ით, სავაჭრო ბალანსის დეფიციტი – 26.2%-ით. მართალია, 2010 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2009 წელთან შედარებით გაიზარდა, მაგრამ მან 2008 წლის მნიშვნელობას ვერ გადააჭარბა. 2008 წელთან შედარებით, საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა მხოლოდ 2011 წელს გაიზარდა და მისმა ზრდის ტემპმა, 2010 წელთან შედარებით, 133.0% შეადგინა (დანართი 1).

2014 წელს საქართველოს მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 68% ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილად მოდის. ამ წელს სავაჭრო ბრუნვით საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების პირველი ათეული წარმოდგენილია შემდეგი ქვეყნებით: თურქეთი (17.2%), აზერბაიჯანი (10.3%), რუსეთი (7.4%), ჩინეთი (7.2%), უკრაინა (6.0%), გერმანია (4.7%), სომხეთი (4.3%), აშშ (4.3%), ბულგარეთი (3.3%) და იაპონია (3.2%) (ცხრილი 5.1 და ნახ. 5.1).

2014 წელს საქართველოს ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილად მოდის ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 74.3%. საექსპორტო ქვეყნების პირველი ათეული წარმოდგენილია შემდეგი ქვეყნებით: აზერბაიჯანი (19.0%), სომხეთი (10.1%), რუსეთი (9.65%), თურქეთი (8.4%), აშშ (7.2%), ბულგარეთი (5.8%), უკრაინა (4.9%), ჩინეთი (3.2%), ყაზახეთი (3.1%) და იტალია (3.0%) (ცხრილი 3 და ნახ.2). თავის მხრივ, ათი უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნის წილი საქართველოს იმპორტში 68.4%-ს შეადგენს. საიმპორტო ქვეყნების პირველ ათეულში შედიან: თურქეთი (20.1%), ჩინეთი და რუსეთი (13,6%), აზერბაიჯანი (8,8%), გერმანია (8,5%), უკრაინა (8,1%), აშშ 94,0%), ბულგარეთი (3,8%), თურქმენეთი (3,7%), არაბთა გაერთიანებული საემიროები (2,8%) და იტალია (2,7%) (ცხრილი 5.2 და ნახ. 5.2). თავის მხრივ, ათი უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნის წილი საქართველოს იმპორტში 68.4%-ს შეადგენს. საიმპორტო ქვეყნების პირველ ათეულში შედიან: თურქეთი (20.1%), ჩინეთი და რუსეთი (13,6%), აზერბაიჯანი (8,8%), გერმანია (8,5%), უკრაინა (8,1%), აშშ (94,0%), ბულგარეთი (3,8%), თურქმენეთი (3,7%), არაბთა გაერთიანებული საემიროები (2,8%) და იტალია (2,7%) (ცხრილი 5.2 და ნახ. 5.3) [2].

ცხრილი 5.1. საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2014 წლის ბრუნვის მიხედვით

ქვეყნები	ექსპორტი		იმპორტი		ბრუნვა	
	ათასი \$	%	ათასი \$	%	ათასი \$	%
ბრუნვა – სულ	2,860,670.6	100.0	8,593,325.4	100.0	11,453,996.1	100.0
თურქეთი	239,295.9	8.4	1,727,390.6	20.1	1,966,686.5	17.2
აზერბაიჯანი	544,504.8	19.0	637,582.4	7.4	1,182,087.2	10.3
რუსეთი	274,675.0	9.6	575,443.8	6.7	850,118.8	7.4
ჩინეთი	90,392.8	3.2	732,996.7	8.5	823,389.5	7.2
უკრაინა	139,920.7	4.9	546,121.3	6.4	686,042.0	6.0
გერმანია	69,191.6	2.4	465,907.8	5.4	535,099.4	4.7
სომხეთი	288,084.7	10.1	210,138.2	2.4	498,222.9	4.3
აშშ	207,332.6	7.2	287,091.5	3.3	494,424.1	4.3
ბულგარეთი	167,104.8	5.8	209,825.6	2.4	376,930.4	3.3
იაპონია	3,285.0	0.1	368,173.8	4.3	371,458.8	3.2
სულ 10 ქვეყანა	2,023,787.9	70.7	5,760,671.6	67.0	7,784,459.6	68.0
დანარჩენი ქვეყნები	836,882.7	29.3	2,832,653.8	33.0	3,669,536.5	32.0


წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სავაჭრო ვაჭრობა 2014. [http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/georgian%20E:xternal%20Trade%202014%20\(publish\).pdf](http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/georgian%20E:xternal%20Trade%202014%20(publish).pdf)

ცხრილი 5.2. საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო და საიმპორტო ქვეყნები, 2014 წ.


ქვეყნები	\$	%	ქვეყნები	\$	%
ექსპორტი - სულ	2,860,670.6	100	იმპორტი-სულ	8,593,325.4	100.0
აზერბაიჯანი	544,504.8	19.0	თურქეთი	1,727,390.6	20.1
სომხეთი	288,084.7	10.1	ჩინეთი	732,996.7	8.5
რუსეთი	274,675.0	9.6	აზერბაიჯანი	637,582.4	7.4
თურქეთი	239,295.9	8.4	რუსეთი	575,443.8	6.7
აშშ	207,332.6	7.2	უკრაინა	546,121.3	6.4
ბულგარეთი	167,104.8	5.8	გერმანია	465,907.8	5.4
უკრაინა	139,920.7	4.9	იაპონია	368,173.8	4.3
ჩინეთი	88,589.4	3.2	რუმინეთი	311,457.7	3.6
ყაზახეთი	86,094.8	3.1	აშშ	287,091.5	3.3
იტალია	734,675.0	3.0	იტალია	221,693.2	2.6
სულ 10 ქვეყანა	2,099,217.1	74.3	სულ 10 ქვეყანა	5,873,858.7	68.4
დანარჩენი ქვეყნები	810,298.5	25.7	დანარჩენი ქვეყნები	2,719,466.7	31.6

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2014.


[http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/Georgian%20E:xternal%20Trade%202014%20\(publish\).pdf](http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/Georgian%20E:xternal%20Trade%202014%20(publish).pdf)



ნახ. 5.1. საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2014 წლის ბრუნვის მიხედვით [2]



ნახ. 5.2. საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნები, 2014 წ. [2]



ნახ. 5.3. საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნები, 2014 წ. [2]

საქართველოს მშპ-ში საქონლისა და მომსახურების ექსპორტის წილმა 2014 წელს 43% შეადგინა, ხოლო იმპორტის – 60%. 1991-2014 წლების განმავლობაში მშპ-ში საქონლისა და მომსახურების ექსპორტი ყველაზე დიდი წილით წარმოდგენილი იყო 2013 წელს – 45%, იმპორტი – 1994 წელს – 109% (ცხრილი 5.3) [3].

საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიულ სტრუქტურაში წამყვანი ადგილი აზიას უკავია. 2014 წელს მასზე მოდის ქვეყნის ექსპორტის ნახევარზე მეტი, თუმცა უკანასკნელ წლებში მისი წილი მცირდება ევროპის სასარგებლოდ. ამასთან, შემცირების ტენდენციით ხასიათდება იმპორტი ევროპიდან. 2014 წელს, 2010 წელთან შედარებით, ევროპის წილი საქართველოს ექსპორტში 29.1%-დან 38.3%-მდე გაიზარდა, ხოლო იმპორტი 45.7%-დან 41.9%-მდე შემცირდა. საქართველოს საგარეო ვაჭრობა გეოგრაფიული სტრუქტურა მოცემულია ცხრილში 5.4 [4].

2014 წელს საქართველოს ექსპორტის 21.3% (621 მლნ აშშ დოლარი) მოდის ევროკავშირის ქვეყნებზე, 51.2% (1,465 მლნ. აშშ დოლარი) – დსთ-ს ქვეყნებზე. 2014 წლამდე ადგილი ჰქონდა დსთ-ის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტის მოცულობის ზრდას. 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, იგი 4.5%-ით შემცირდა, ხოლო იმპორტი – 2.9%-ით (დანართი 2).

აღსანიშნავია, რომ 1995 წელს დსთ-ის ქვეყნებზე მოდიოდა საქართველოს ექსპორტის 62.5% და იმპორტის 40.1%, 2000 წელს – 40.0% და 32.1%, 2005 წელს – 47% და 40%.

საქართველოს საგარეო ვაჭრობაში შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნები (BSEC) მნიშვნელოვან როლს ასრულებს. 2014 წელს მათზე მოდის საქართველოს ექსპორტის 58.6% და იმპორტის 50.7% (დანართი 2).

ცხრილი 5.3. საქართველოს საქონლისა და მომსახურების ექსპორტი და იმპორტი, %-ით მშპ-თან, 1991-2014 წწ.

წლები	მშპ, \$ მლნ	ექსპორტის კვოტა	იმპორტის კვოტა
1991	6337	28	31
1992	3691	36	66
1993	2701	47	72
1994	2514	58	109
1995	2694	26	42
1996	3095	13	32
1997	3511	16	42
1998	3614	16	37
1999	2800	19	38
2000	3057	23	40
2001	3219	24	39
2002	3396	29	42
2003	3991	32	46
2004	5125	32	48
2005	6411	34	52
2006	7762	33	57
2007	10172	31	58
2008	12799	29	58
2009	10767	30	49
2010	11638	35	53
2011	14435	36	55
2012	15829	40	58
2013	16140	45	58
2014	16530	43	60
წყარო: Worldbank http://data.worldbank.org/indicator			

ცხრილი 5.4. საქართველოს საგარეო ვაჭრობა გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით, 2010-2014 წწ. მლნ. აშშ დოლარი

	2010	2011	2012	2013	2014	2010	2011	2012	2013	2014
ექსპორტი, სულ	1,677	2,187	2,376	2,910	2,861	100.0	100.0	100.0	100.0	100.0
მათ შორის:	488	643	625	1,048	1,095	29.1	29.4	26.3	36.0	38.3
ევროპა										
აზია	849	1,221	1,323	1,569	1,453	50.6	55.8	55.6	53.9	50.8
ამერიკა	319	313	386	249	287	19.0	14.3	16.3	8.6	10.0
აფრიკა	21	8	41	42	25	1.3	0.4	1.7	1.5	0.9
ოკეანეთი	1	1	1	1	1	0.0	0.1	0.1	0.0	0.0
იმპორტი, სულ	5,257	7,038	8,037	8,012	8,593	100.0	100.0	100.0	100.0	100.0
ევროპა	2,404	3,229	3,618	3,552	3,599	45.7	45.9	45.0	44.3	41.9
აზია	2,471	3,335	3,941	3,978	4,479	47.0	47.4	49.0	49.6	52.1
ამერიკა	308	406	397	415	450	5.9	5.8	4.9	5.2	5.2
აფრიკა	34	48	54	34	61	0.7	0.7	0.7	0.4	0.7
ოკეანეთი	19	19	27	32	4	0.4	0.3	0.4	0.3	0.1

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწადი: 2015 / საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2015, გვ. 243-251 http://geostat.ge/cms/site_images/_files/yearbook/Yearbook_2015.pdf

1995-2014 წლებში საქართველოს ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში ყველაზე დიდი მოცულობით წარმოდგენილია 2014 წელს – 624,085.6 ათასი აშშ დოლარი. ევროკავშირის 28 ქვეყნიდან საქართველოს ექსპორტში ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბულგარეთი (167,104.8 ათასი \$), იტალია (86,094.8 ათასი \$) და გერმანია (69,191.6 ათასი \$) (დანართი 3), ხოლო იმპორტში – გერმანია (465,907.8 ათასი \$), რუმინეთი (311,457.7 ათასი \$) და იტალია (221,693.2 ათასი \$) (დანართი 4) [5].

2014 წელს დსთ-ს ქვეყნებიდან საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნები არიან: აზერბაიჯანი (544,504.8 ათასი \$), სომხეთი (288,084.7 ათასი \$), რუსეთი (274,675.0 ათასი \$) და უკრაინა (139,920.7 ათასი \$). ამასთან, საქართველოს ექსპორტი არსებითად შემცირდა აზერბაიჯანში, სომხეთსა და უკრაინაში, ხოლო რუსეთში კი გაიზარდა 190,390.0-დან 274,675.0 ათასი \$-მდე (დანართი 5). დსთ-ის ქვეყნებიდან საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნები არიან: აზერბაიჯანი (637,582.4 ათასი), რუსეთი (575,443.8 ათასი \$) და უკრაინა (546,121.3 ათასი \$) [5], თუმცა, სამივე ქვეყნიდან, იმპორტი წინა წელთან შედარებით, შემცირდა (დანართი 6). ეს, უპირველესად, იმპორტის შემცირებით აიხსნება.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთთან ომისა და დიპლომატიური ურთიერთობების შეწყვეტის მიუხედავად, ეს ქვეყანა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მუდმივად საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორების პირველ ათეულში შედის. ამასთან აღსანიშნავია, რომ 1994-2006 წლებში მას თურქეთთან მონაცვლეობით პირველი და მეორე ადგილები ეკავა. აქედან, იგი 8-ჯერ იყო I ადგილზე (1996-1999, 2002-2005 წწ.), 5-ჯერ – მეორეზე (1994-1995, 2000-2001, 2006 წწ.). საქართველოს სავაჭრო სავაჭრო ბრუნვაში რუსეთი ყველაზე მაღალი წილით (21,4%) წარმოდგენილი იყო 1998 წელს, ყველაზე დაბლით (4,6%) – 2011 წელს, როდესაც მან მე-7 ადგილზე გადაინაცვლა. ეს ყველაზე ცუდი მაჩვენებელია ორი ქვეყნის პოსტსაბჭოთა პერიოდის სავაჭრო ურთიერთობებში. 2014 წელს კი სიტუაცია არსებითად შეიცვალა და რუსეთმა საქართველოს სავაჭრო ვაჭრობაში მე-3 ადგილზე გადაინაცვლა. საქართველოს რუსეთთან მუდმივი უარყოფითი ბალანსი აქვს. 2014 წელს მისმა მოცულობამ 300,768,8 ათასი \$ შეადგინა, 2007 წელს კი 528540,8 ათასი \$ იყო (ცხრილი 5.5) [6].

ცხრილი 5.5. საქართველოსა და რუსეთის ვაჭრობის დინამიკა, 2000-2014 წწ. (\$ ათასი)

წელი	ექსპორტი	იმპორტი	სავაჭრო ბრუნვა	სავაჭრო სალდო	რუსეთის წილი საქართველოს ... , %		
					ექსპორტში	იმპორტში	სავაჭრო, ბრუნვაში
2000	67108,9	93225,4	160334,3	-26116,5	41,86	58,14	15,4
2001	73554,6	91920,5	165475,1	-18365,9	44,45	55,55	16,5
2002	61048,5	121661,7	182710,2	-60613,2	33,41	66,59	16,9
2003	83839,8	157890,7	241730,5	-74050,9	34,68	65,32	15,3
2004	104532,8	254475,9	359008,7	-149943,1	29,12	70,88	14,5
2005	153724,5	381558,0	535282,5	-227833,5	28,72	71,28	16,0
2006	75393,3	555371,8	630765,1	-479978,5	11,95	88,05	13,7
2007	45338,5	573879,3	619217,8	-528540,8	7,32	92,68	9,8
2008	29783,4	423312,0	453095,4	-393528,6	6,57	93,43	5,8
2009	21146,2	291607,7	312753,9	-270461,5	6,76	93,24	5,6
2010	34706,5	290535,6	325242,1	-255829,1	10,67	89,33	4,7
2011	36610,4	389711,6	426322,0	-353101,2	8,59	91,41	4,6
2012	45816,0	473796,8	519612,8	-427980,8	8,82	91,18	5,1
2013	190242,9	589419,5	779662,4	-399176,6	6,5	7,5	7,2
2014	274,675.0	575,443.8	850,118.8	-300,768.8	6.5	7.3	7.1

წყარო: http://geostat.ge/index.php?action=wnews_archive&qy=1&qy1=16&lang=eng
http://geostat.ge/index.php?action=wnews_archive&qy=1&qy1=8&lang=eng

2014 წელს საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო პოზიციებში პირველი ადგილი მსუბუქი ავტომობილების ექსპორტს უკავია – 517,786.8 ათასი \$. მართალია, წინა წელთან შედარებით, მათი რეალიზაციის მოცულობა 703,817.2-დან 517,786.8 ათას \$-მდე (73,413-დან 45,477 ცალამდე) შემცირდა, მაგრამ ავტომობილების წილი საქართველოს ექსპორტში მაინც მნიშვნელოვანია – 18.1 (2013 წელს 24.2% იყო). მეორე ადგილი უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო სტრუქტურაში ფეროშენადნობებს უკავია. 2014 წელს მათზე მოდის საქართველოს ექსპორტის 10.0%, რაც წინა წელთან შედარებით, 2.1 პროცენტული წილით მეტია. მესამე ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები – 8.7% (ცხრილი 5.6) [2], რომელთა წილი, წინა წელთან შედარებით, 3.1%-ით გაიზარდა. საექსპორტო საქონლის პირველი სამეული, რომელზეც ექსპორტის 38.8% მოდის, ნათლად მეტყველებს არასრულყოფილ ექსპორტზე: ქვეყანა ახორციელებს ავტომობილების რეექსპორტს და იგი არაა ქვეყანაში წარმოებული პროდუქტი, ხოლო ფეროშენადნობების, სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების ექსპორტის მაღალი წილი მიუთითებს საექსპორტო საქონლის დამუშავების დაბალ დონეზე, რაც ქართული ექსპორტის დაბალი კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელია.

ცხრილი 5.6-ის მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველოს ექსპორტი ნაკლებად დივერსიფიცირებულია – 10 სასაქონლო პოზიციაზე მოდის ქვეყნის ექსპორტის 32.1%, 2013 წელს ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალი იყო – 36.7%. კიდევ უფრო ნაკლებადაა დივერსიფიცირებული საქართველოს იმპორტი, სადაც 10 სასაქონლო პოზიციაზე მოდის ქვეყნის იმპორტის 63.5% (ცხრილი 5.7) [2].

ცხრილი 5.6. საქართველოს უმცხველესი უმცხველესი საქსტორტო სასაქონლო პოზიციები 2013-2014 წლებში

სასაქონლო პოზიციები	2013 წ.		2014 წ.		წლი ექსპორტი ლიბერული მარცხენალი, %	
	ექსპორტი		ექსპორტი		2013 წ.	2014 წ.
	ათასი \$	ტონა	ათასი \$	ტონა	100.0	100.0
ექსპორტი, სულ	2,909,515.6		2,860,670.6			
მათ შორის:						
მსუბუქი ავტომობილები (ცალი)	703,817.2	73,413	517,786.8	45,477	24.2	18.1
ფეროშენადნობები	230,742.0	222,665.7	285,764.9	269,731.2	7.9	10.0
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	161,632.8	123,772.7	248,008.2	187,224.1	5.6	8.7
თხილი და სხვა კაკალი	166,712.6	30,285.5	183,398.8	19,933.8	5.7	6.4
ფურცის ღვინოები	127,850.9	35,905.5	180,387.8	45,925.6	4.4	6.3
აზოტოვანი სასუქები	130,575.5	435,931.3	137,622.0	464,279.4	4.5	4.8
მინერალური და მტკნარი წყლები	106,894.3	127,721.8	137,123.6	147,302.7	3.7	4.8
სპირტიანი სასმელები	99,830.6	18,529.8	95,190.2	16,513.8	3.4	3.3
სამკურნალო საშუალებები	52,086.5	2,203.8	92,085.4	2,764.6	1.8	3.2
წნელები ნახშირბადი ფოლადისაგან - ე.წ. „არმატურა“	62,517.0	102,111.3	63,735.6	103,587.8	2.1	2.2
დანარჩენი საქონელი	1,066,856		919,567		36.7	32.1

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2014.

[http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/Georgian%20External%20Trade%202014%20\(publish\).pdf](http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/Georgian%20External%20Trade%202014%20(publish).pdf)

2014 წლის საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო პოზიციების წამყვანი ადგილი ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს უკავია – 10.7%, მეორე ადგილზეა მსუბუქი ავტომობილები – 8.3%, ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები – 4.3% (ცხრილი 5.7) [2]. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძირითადი სასაქონლო სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა დამოუკიდებელია იმპორტის სასაქონლო სტრუქტურისაგან. ქვეყნის იმპორტი ექსპორტს 3-ჯერ აღემატება. ამასთან, იმპორტი ინვესტიციურ საქონელზე ორიენტირებული არაა. საქართველოს ექსპორტის ცალკეული სასაქონლო ჯგუფებიდან აღსანიშნავია მსუბუქი ავტომობილების ექსპორტის 26.4%-ანი შემცირება. იმავედროულად, უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფებიდან შემცირდა სპირტიანი სასმელების (-4.7%), ფოლადის ნახევარფაბრიკატების (-24.5%), ოქროს (-46.3%), მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (-36.8%) და სატვირთო ავტომობილების ექსპორტი. ზემოთ აღნიშნული სასაქონლო ჯგუფების ექსპორტის კლება გარკვეულწილად დააბალანსა ფეროშენადნობების (+24.3%), სპილენძის კონცენტრატების (+53.5%), თხილის (+10.0%), ღვინოების (+41.4%), მინერალური წყლების (+28.3%), სამკურნალო საშუალებების (+76.8%), ტექსტილის ნაწარმის (+76.2%) და ელექტროენერგიის (+114.9%) ექსპორტის ზრდამ [7].

საქართველოს ექსპორტის 45.71%-სა და იმპორტის 55.51%-ს საყოფაცხოვრებო საქონელი შეადგენს, ნედლეულზე შესაბამისად მოდის 22.40 და 9.39%, ნახევარფაბრიკატებზე – 26.66 და 14.73%. საქართველოს როგორც ექსპორტში, ისე იმპორტში მცირე წილითაა წარმოდგენილი წარმოების საშუალებები – შესაბამისად, 4.75 და 18.47% (ცხრილი 5.8), რაც, რა თქმა უნდა, ქვეყნის ტექნოლოგიური განვითარების შესაძლებლობას არ იძლევა [8].

ცხრილი 5.7. საქართველოს უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო პოზიციები 2013-2014 წლებში

სასაქონლო პოზიციები	2013 წ.		2014 წ.		წლი ექსპორტში ღირებულებითი მზეგნეულობა, %	
	იმპორტი		იმპორტი			
	ათასი \$	ტონა	ათასი \$	ტონა		
იმპორტი, სულ	8,011,594.4		8,593,325.4		100.0	100.0
მათ შორის:						
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	954,324.6	966,407	918,366.7	1,014,012	11.9	10.7
მსუბუქი ავტომობილები – ცალი	710,484.2	81,250	715,050.6	96,574	8.9	8.3
ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები	316,726.4	1,406,178.2	368,506.6	1,590,499.7	4.0	4.3
სამკურნალო საშუალებები	280,737.3	8,110.6	314,635.2	9,361.4	3.5	3.3
სატელეფონო აპარატები, ფიჭური ან სხვა უსადენო ქსელებისთვის	152,507.4	757.0	195,534.5	924.0	1.9	2.3
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	113,057.0	76,287.2	165,285.8	219,593.7	1.4	1.9
ხორბალი	184,806.9	731,386.2	151,755.5	566,827.0	2.3	1.8
სიგარეტები	95,717.3	7,639.2	115,474.2	9,005.6	1.2	1.3
გამომწველი მანქანები და მათი ძლოვები	90,624.4	942.6	104,128.3	1,046.5	1.2	1.2
მეტალკონსტრუქციები მავილითონებისაგან	65,448.9	27,449	90,770.8	36,650	0.8	1.1
დანარჩენი საქონელი	5,047,160.1		5,453,817.3		63.0	63.5
წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2014. http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/hop/Georgian%20External%20Trade%202014%20(publish).pdf						

ცხრილი 5.8. საქართველოს ექსპორტი და იმპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით

საქონლის კატეგორია	ექსპორტი		იმპორტი		
	მლნ \$	წილი, %	მლნ \$	წილი, %	საშუალო შეწინაღობა, %
ნედლეული	641	22.40	807	9.39	2.49
ნახევარფაბრიკატები	763	26.66	1,266	14.73	0.52
საყოფაცხოვრებო საქონელი	1,308	45.71	4,771	55.51	0.75
წარმოების საშუალებები	136	4.75	1,588	18.47	
წყარო: Trade Competitiveness Map. Analyse country and product competitiveness with trade flows http://wits.worldbank.org/country_snapshot/en/GEO					

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 2014 წელს საქონლის მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში საქართველოს შესაბამისად 124-ე და 107-ე ადგილები უკავია. მისი წილი საქონლის მსოფლიო ექსპორტში 0.02%-ს შეადგენს, იმპორტის წილი კი საქონლის მსოფლიო იმპორტში 0.05%-ია. საქართველოს ექსპორტსა და იმპორტში მთავარი ადგილი სამრეწველო პროდუქციას უკავია, რომელზეც მოდის საქონლის ექსპორტის 55.5% და იმპორტის 63.8%. აგრარულ პროდუქციაზე – ექსპორტის 29.4% და იმპორტის 15.6%, საწვავისა და მინერალური პროდუქციაზე – ექსპორტის 13.5% და იმპორტის 20.1% [9].

საქართველოს საგარეო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მომსახურებით ვაჭრობას. 2014 წელს კომერციული მომსახურების ექსპორტმა \$2,954 მლნ შეადგინა, იმპორტმა -\$1,573 მლნ. მისი წილი მომსახურების მსოფლიო ექსპორტში 0.06%-ს შეადგენს, იმპორტის წილი მომსახურების მსოფლიო იმპორტში – 0.03%-ს. მომსახურების მსოფლიო ექსპორტსა და იმპორტში საქართველოს შესაბამისად 90-ე და 122-ე ადგილები უკავია. მომსახურების ექსპორტში ძირითადი წილი მოგზაურობებზე მოდის – 60.5%, იმპორტში კი მისი წილი 19.0%-ია. მეორე ადგილზეა სატრანსპორტო მომსახურება – შესაბამისად მომსახურების ექსპორტის 32.9% და იმპორტის 59.3% [9].

საქართველოში ტურიზმი ვითარდება მსოფლიოში მიმდინარე პროცესების, უპირველესად, გლობალიზაციის ზემოქმედებით და ზრდის ტენდენციით გამოირჩევა. 2014 წელს საქართველოს 5,516 ათასი უცხოელი ესტუმრა (ცხრილი 5.9), რაც 2013 წელს 2.3%-ით აღემატება, ხოლო 2000 წელს – 13-ჯერ. ამავე წელს საქართველოდან გასული ტურისტების რაოდენობამ 3106 ათასი შეადგინა. წინა წელთან შედარებით მათი რაოდენობა 3.5%-ით შემცირდა. საერთაშორისო ტურიზმისაგან მიღებულმა შემოსავლებმა 2013 წელს \$1916 მლნ შეადგინა და, 2000 წელთან შედარებით, 18-ჯერ გაიზარდა (ცხრილი 5.9).

ცხრილი 5.9. საქთაშორისო ტურიზმის მაჩვენებლები საქართველოში

წლები	საქართველოში შემოსული ტურისტების რაოდენობა, ათასი	ზრდის ტემპი, %	საქართველოდან გასული ტურისტების რაოდენობა, ათასი	ზრდის ტემპი, %	საქთაშორისო ტურიზმის ხარჯები მლნ \$	საქთაშორისო ტურიზმის შემოსავლები, მლნ \$
2014	5 516	102.3	3 106	96.5
2013	5 392	121.8	3 220	65.0	537	1 916
2012	4 428	156.9	4 953	221.4	471	1 565
2011	2 822	138.9	2 237	107.1	384	1 069
2010	2 032	135.5	2 089	105.5	329	737
2009	1 500	116.3	1 980	105.8	311	537
2008	1 290	122.6	1 872	127.1	337	505
2007	1 052	107.0	1 473	109.4	277	440
2006	983	175.5	1 346	157.1	257	361
2005	560	152.2	857	183.9	237	287
2004	368	117.6	466	147.0	196	209
2003	313	105.0	317	103.6	170	172
2002	298	98.7	306	97.1	189	144
2001	302	78.0	315	100.0	136	136
2000	387	-	315		129	107

წყარო: <http://data.worldbank.org/indicator/>

მოგზაურობებისა და ტურიზმის სფეროში დასაქმებული იყო 85,000 ადამიანი (ქვეყანაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 4.8%), ხოლო არაპირდაპირი ფაქტორების გათვალისწინებით – 300,500 ადამიანი (დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 16.9%). უშუალოდ მოგზაურობისა და ტურიზმისაგან მიღებულმა შემოსავალმა საქართველოს მშპ-ის 5.9% შეადგინა, ხოლო არაპირდაპირი შედეგებით – 20.0%. მოგზაურობებსა და ტურიზმზე მოდის საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების 3.3% [10].

მოგზაურობისა და ტურიზმის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა განსაზღვრავს საქართველოს ადგილსა და როლს ტურიზმის მსოფლიო ბაზარზე. ცხრილში 5.9 მოცემულია საქართველოს მოგზაურობისა და ტურიზმის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები. მოგზაურობისა და ტურიზმის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის 2015 წლის მსოფლიო რეიტინგში 141 ქვეყანაა წარმოდგენილი. ამ რეიტინგში საქართველო 3.68 ქულით 71-ე ადგილზეა. ეს გარდამავალი ეკონომიკის და, ამასთან, მცირე ქვეყნისათვის არც ისე ცუდი მაჩვენებელია, თუმცა მას, კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით, ბევრად მეტი შესაძლებლობები გააჩნია. მოგზაურობისა და ტურიზმის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის რეიტინგის სუბინდექსებიდან საქართველოს ყველაზე კარგი მაჩვენებლები აქვს საარსებო გარემოში – 43-ე ადგილი და მოგზაურობისა და ტურიზმის პოლიტიკასა და საარსებო პირობებში – 44-ე ადგილი. ყველაზე არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ბუნებრივი და კულტურული რესურსების სუბინდექსში – 120-ე პოზიცია, მათ შორის, ბუნებრივ რესურსებში – 125-ე და კულტურული რესურსებსა და ბიზნეს მოგზაურობაში – 87-ე. არასახარბიელო მდგომარეობაა აგრეთვე ინფრასტრუქტურის სუბინდექსში – 72-ე ადგილი, მათ შორის, საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურით საქართველო იმყოფება 94-ე პოზიციაზე, სახმელეთო და საპორტო ინფრასტრუქტურით – 67-ზე და ტურისტული მომსახურების ინფრასტრუქტურით – 50-ზე. მართალია, ტურიზმის განვითარებას საქართველოში დიდი ყურადღება ეთმობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოგზაურობისა და ტურიზმის პრიორიტეტულობით იგი მხოლოდ 53 ადგილზეა [11] (ცხრილი 5.10).

ცხრილი 5.10. საქართველოს მოგზაურობისა და ტურიზმის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები

	2015 წ. (141 ქვეყანა)	
	რანგი	ქულა
მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსი	71	3.68
I სუბინდექსი. საარსებო გარემო	43	5.2
I.1. ბიზნესის გარემო	32	4.9
I.2. უსაფრთხოება და დაცულობა	32	6.0
I.3. ჯანმრთელობა და ჰიგიენა	31	6.1
I.4. ადამიანური რესურსები და შრომის ბაზარი	50	4.7
I.5. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მზადყოფნა	74	4.0
II სუბინდექსი. მოგზაურობისა და ტურიზმის პოლიტიკა და საარსებო პირობები	44	4.3
II.1. მოგზაურობისა და ტურიზმის პრიორიტეტულობა	53	4.8
II.2. საერთაშორისო გამჭვირვალობა	58	3.4
II.3. ფასების კონკურენტუნარიანობა	66	4.8
II.4. გარემოს მდგრადობა	52	4.3
III სუბინდექსი. ინფრასტრუქტურა	72	3.5
III.1. საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა	94	2.2
III.2. სახმელეთო და საპორტო ინფრასტრუქტურა	67	3.5
III.3. ტურისტული მომსახურების ინფრასტრუქტურა	50	4.7
IV სუბინდექსი. ბუნებრივი და კულტურული რესურსები	120	1.8
III.1. ბუნებრივი რესურსები	125	2.1
III.2. კულტურული რესურსები და ბიზნეს მოგზაურობა	87	1.5
წყარო: The Travel & Tourism Competitiveness Report 2015. World Economic Forum, გვ. 154-155		

ცხრილში 5.11 მოცემულია საქართველოს ტურიზმის სფეროს SWOT-ანალიზის მატრიცა. ამ მატრიციდან ჩანს, რომ ქვეყანას ტურიზმის სფეროს განვითარებისათვის საკმაოდ დიდი შესაძლებლობები აქვს, მაგრამ მათ გამოყენებას მთელი რიგი სუსტი მხარეები და საშიშროებები აფერხებს. საქართველოში ტურისტული ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივები, უპირველესად, ამ უარყოფითი მხარეების დაძლევასთანაა დაკავშირებული. ამისათვის კი საჭიროა საქართველოს ტურისტული მიწიხმარებისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე

ცხრილი 5.11. საქართველოს ტურიზმის სფეროს SWOT-ანალიზის მატრიცა

ძლიერი მხარეები (S)	შესაძლებლობები (O)
<ul style="list-style-type: none"> • მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა; • ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები; • მდიდარი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა; • ისტორიულ-კულტურული ძეგლების დიდი რაოდენობა; • მრავალფეროვანი რეკრეაციული რესურსები; • თვითმყოფადი კულტურა და ეროვნული ტრადიციები; • იაფი სამუშაო ძალა; • ღია ეკონომიკა და ლიბერალური ბიზნესგარემო; • საკმაოდ დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა; • ტურიზმის განვითარების პროგრამების სახელმწიფო მხარდაჭერა. 	<ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკის სწრაფი ზრდა; • უცხოელი ტურისტების ინტერესი საქართველოსადმი; • ქვეყნის მთავრობის ინტერესი ტურიზმის შემდგომი განვითარებისადმი; • ტურიზმის სფეროში მოქმედი კერძო სექტორის ზრდა; • ისტორიულ-კულტურული ძეგლების აღდგენა და რეკონსტრუქცია; • მეზობელი ქვეყნების ინტერესი ტურიზმის სფეროში ერთობლივი პროექტების განხორციელებისადმი.
სუსტი მხარეები (W)	საშიშროებები (T)
<ul style="list-style-type: none"> • პოლიტიკური არასტაბილურობა, დაკარგული ტერიტორიები და გეოპოლიტიკური რისკების მაღალი დონე; 	<ul style="list-style-type: none"> • ბიზნესის წარმოების ხარჯების ზრდა; • ინფლაციის ზრდა; • უსაფრთხოების პრობლემა;

<ul style="list-style-type: none"> • არასრულყოფილი ინსტიტუციური და სამართლებრივი მექანიზმები ტურისტული საქმიანობის სტიმულირებისათვის; • ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე; • მენეჯმენტის დაბალი დონე; • არასასურველი საინვესტიციო გარემო; • ინფორმაციული უზრუნველყოფის დაბალი დონე; • პირდაპირი საერთაშორისო რეისების ნაკლებობა; • მომსახურე პერსონალის დაბალი პროფესიული დონე და კულტურა; • მოსახლეობის დაბალი შემოსავლები; • მაღალი ფასები მომსახურებაზე. 	<ul style="list-style-type: none"> • უცხოელთა მიერ ქვეყნის ტურისტულ ბაზრის ძირითადი სეგმენტების დაკავება; • ბიუჯეტის კრიზისი; • სუსტი ორიენტაცია ტურისტული პროდუქტის ხარისხზე; • ტურისტული პროდუქტების რეკლამის არასაკმარისობა; • ტურისტული სააგენტოების ორიენტაცია უცხოეთში გამგზავრებაზე და არა ტურისტთა შემოყვანაზე; • ენის პრობლემა.
---	--

გამიზნული სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს ტურისტული მომსახურების მსოფლიო ბაზარზე ღირსეული ადგილის დამკვიდრებასა და ქვეყანაში არსებული ტურისტული რესურსის რაციონალურ გამოყენებას.

საქართველოს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, შესაძლებლობა აქვს, რეგიონში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ვაჭრობასა და ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვაში. ეს თავისთავად შემოსავლების და ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი წყაროა. ამასთანავე, ბაზრის მცირე მოცულობიდან გამომდინარე, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისთვის აუცილებელია მისი რეგიონულ და საერთაშორისო ბიზნესში ფართო ჩართულობა. ამის ერთ-ერთი წინაპირობაა კარგად განვითარებული სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა. მიუხედავად იმისა, რომ წარსულში საქართველოს სატრანზიტო შესაძლებლობები მუდმივად იზრდებოდა, არსებული პოტენციალის დიდი ნაწილი დღეისთვის კვლავ აუთვისებელია. ლოგისტიკა, რო-

გორც თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი დარგი, საქართველოს შესაძლებლობას უქმნის, საკუთარი სატრანზიტო და სავაჭრო პოტენციალი მაქსიმალურად გამოიყენოს. შესაბამისად, სახელმწიფოს პოლიტიკა ამ დარგის შემდგომი განვითარებისკენ იქნება მიმართული, მათ შორის, ინფრასტრუქტურის განვითარების, დარგში ინვესტიციების მოზიდვის და ქვეყნის საერთაშორისო და რეგიონულ სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაციის გზით [13]. ლოჯისტიკა ექსპორტის კონკურენტუნარიანობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ლოჯისტიკის ეფექტიანობის ინდექსი შემდეგი მიმართულებების მიხედვით განისაზღვრება: 1. განბაჟების ეფექტიანობა; 2. ვაჭრობასა და ტრანსპორტთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის ხარისხი; 3. კონკურენტუნარიანი ფასებით მიწოდების ორგანიზაციის სიმარტივე; 4. ლოჯისტიკური მომსახურების კომპეტენცია და ხარისხი; 5. ტვირთების მეთვალყურეობისა და კონტროლის შესაძლებლობა და 6. დანიშნულების პუნქტში საქონლის მიწოდების დროულობა დაგეგმილი ან მოსალოდნელი ვადის განმავლობაში. 2014 წელს ამ მაჩვენებლით საქართველო 116-ე პოზიციაზე იყო 160 ქვეყანას შორის, 2012 წელთან შედარებით (ეს ინდექსი 2 წელიწადში ერთხელ გაიანგარიშება), 40 პუნქტით გაუარესდა [14].

საქართველოს ექსპორტის კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი ინფრასტრუქტურული სექტორების ეფექტიანობის ამაღლება. დადგენილია (Hummels, 1999), რომ ექსპორტიორს, რომელსაც ტრანსპორტირების ხარჯები კონკურენტის ხარჯებზე 1%-ზე ნაკლები აქვს, პროდუქციის წილი მისი პროდუქტების ბაზარზე 5-8%-ით ეზრდება [15].

როგორც ზემოთ აღინიშნა, საგარეო ვაჭრობის (ექსპორტის) კონკურენტუნარიანობის დასახასიათებლად დივერსიფიკაციის დონე გამოიყენება. მისი მაღალი სიდიდე ქვეყანაზე გარე შოკების ნაკლებ ზეგავლენაზე მიუთითებს. პროდუქციის დივერსიფიკაციის შესაფასებლად ორი მაჩვენებელი გამოიყენება:

1. ერთნაირი მნიშვნელობის ექსპორტირებული საქონლის ექვივალენტური რაოდენობა. რაც უფრო მაღალია ამ მაჩვენებლის მნიშვნელობა, მით უფრო მაღალია ექსპორტის დივერსიფიკაცია.

2. კონცენტრაციის ინდექსი (სპრედი), რომლითაც იზომება მოცემულ სტატისტიკურ რიგში დისპერსიის ყველაზე მაღალ და ყველაზე დაბალ მნიშვნელობებს შორის და მას ადარებენ საშუალო მაჩვენებელს. რაც უფრო მაღალია ინდექსის მნიშვნელობა, მით უფრო მაღალია დივერსიფიცირება.

დანართში 7 საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრის მიერ გაანგარიშებული სავაჭრო ეფექტიანობის ინდექსები წარმოდგენილია სექტორების მიხედვით. საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრი ამ ინდექსებს 14 სექტორის მიხედვით განსაზღვრავს, მაგრამ საქართველოსთვის ეს ანალიზი განხორციელებულია 13 სექტორის (გამონაკლისს წარმოადგენს ტექსტილი) მიხედვით: ახალი საკვები, დამუშავებული საკვები, ხის პროდუქცია, ქიმიური საქონელი, ტყავის პროდუქცია, ძირითადი მანუფაქტურა, ტანსაცმელი, არაელექტრონული აპარატურა, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სამომხმარებლო ელექტრონიკა, ელექტრონული კომპონენტები, სატრანსპორტო მოწყობილობა, სხვადასხვა წარმოების საქონელი და სასარგებლო წიაღისეული (მინერალები). როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ეროვნულ ექსპორტსა და იმპორტში ყველაზე მაღალი წილით წარმოდგენილია სატრანსპორტო მოწყობილობა – შესაბამისად, 20% და 10%, ხოლო მსოფლიო ბაზარზე მაღალი წილი აქვს ახალ საკვებს – 0.07%, თუმცა, დივერსიფიკაციის დონით იგი მხოლოდ 147 ადგილზეა 177 ქვეყანას შორის. დივერსიფიკაციის დაბალი დონე ახასიათებს, აგრეთვე, ძირითად მანუფაქტურას (132-ე ადგილი 153 ქვეყანას შორის), ქიმიურ საქონელს (116-ე ადგილი 159 ქვეყანას შორის) და ა. შ. საქართველოს ექსპორტის ყველაზე დივერსიფიცირებულ საქონელს მიეკუთვნება სხვადასხვა წარმოების საქონელი (41-ე ადგილი 158 ქვეყანას შორის), ელექტრონული კომპონენტები (45-ე ადგილი 135 ქვეყანას შორის) და ტყავის პროდუქცია (58-ე ადგილი 125 ქვეყანას შორის). კონკურენტუნარიანობის ეფექტის თვალსაზრისით, ცამეტივე საქონელი დადებითი მნიშვნელობით ხასიათდება (დანართი 7) [16].

ექსპორტის კონკურენტუნარიანობის შეფასების მნიშვნელოვანი ინდიკატორია ადაპტაციის ეფექტი. დადებითი ეფექტის შემთხვევაში ქვეყნის წილი ბაზარზე იზრდება, ხოლო უარყოფითის დროს კი, პირიქით, მცირდება. საქართველოს ადაპტაციის დადებითი ეფექტი აქვს შემდეგ

საქონელზე: ახალი საკვები, დამუშავებული საკვები, ძირითადი მანუ-
ფაქტურა და ტანსაცმელი (დანართი 7) [16].

ექსპორტის ზრდაზე გავლენას ახდენს ქვეყნის საექსპორტო პოტენ-
ციალის ფარდობითი უპირატესობები. საქართველოს ფარდობითი უპი-
რატესობები ზოგიერთი საქონლის მიხედვით შეფასებულია ბალასას ინ-
დექსით, რომელიც გაიანგარიშება ფორმულით:

$$RCA_{ij} = (X_{ij} : X_{it}) / (X_{wj} : X_{wt}),$$

სადაც RCA_{ij} გამოვლენილი ფარდობითი უპირატესობების ინდექსია, X_{ij}
და X_{it} – შემოსავლის მოცულობა საქონლის ექსპორტისაგან საანალიზო
ქვეყანასა და მსოფლიოში; X_{wj} და X_{wt} – ექსპორტის მთლიანი მოცულობა
საანალიზო ქვეყანასა და მსოფლიოში.

ცხრილში 5.12 წარმოდგენილია საქართველოს ზოგიერთი საექსპორ-
ტო საქონლის ფარდობითი უპირატესობები. როგორც ამ ცხრილის მონა-
ცემებიდან ჩანს, საქართველოს ყველაზე მაღალი ფარდობითი უპირატე-
სობები აქვს მინერალების, კვების პროდუქტების, ლითონებისა და ბოს-
ტნეულის მიხედვით.

ცხრილი 5.12. საქართველოს საექსპორტო საქონლის ფარდობითი უპირატესობები

საქონლის დასახელება	საქართველო $X_{ij} : X_{it}$	მსოფლიო $X_{wj} : X_{wt}$	RCA_{ij}
ცხოველური	2.15	2.20	0.98
ბოსტნეული	9.20	3.44	2.67
კვების პროდუქტები	17.52	3.40	5.15
მინერალები	9.36	1.52	6.16
საწვავი	2.70	11.01	0.25
ქიმიური საქონელი	10.17	9.14	1.11
პლასტმასის და რეზინის ნაწარმი	1.24	4.34	0.29
ტყავი	0.26	0.73	0.36
ხის ნაწარმი	0.95	2.47	0.38
ტექსტილი და ტანსაცმელი	3.18	4.50	0.71
ფეხსაცმელი	0.15	0.92	0.16

ქვის და მინის ნაწარმი	2.20	4.94	0.45
ლითონები	16.85	6.91	2.44
მანქანები და ელექტრონიკა	2.50	25.11	0.10
ტრანსპორტი	20.56	10.13	2.03
სხვადასხვა	1.02	9.25	0.11
გაანგარიშებულია ავტორის მიერ წყაროების [25, 26] გამოყენებით.			

ექსპორტის დივერსიფიცირება უშუალო კავშირშია ეროვნული ეკონომიკის დივერსიფიკაციასთან. ამიტომ, უპირველესად, აუცილებელია ამ უკანასკნელის პროგრესული დივერსიფიკაცია: მთავარი აქცენტი დამატებული ღირებულების მაღალი წილის მქონე დარგებისა და წარმოებების განვითარებაზე უნდა გაკეთდეს. ამასთან, მაღალი დამატებული ღირებულების საქონლის ექსპორტის ზრდა მხოლოდ მატერიალურ-ნივთობრივი საქონლის ექსპორტით არ უნდა შემოიფარგლოს, განსაკუთრებული ყურადღება მომსახურებითა და ტექნოლოგიებით ვაჭრობას უნდა დაეთმოს. საქართველოს ეკონომიკისათვის ამ მიმართულებით დივერსიფიკაციას დიდი მნიშვნელობა აქვს, რომლის მშპ-ში მომსახურების წილი დაახლოებით 2/3-ს შეადგენს. ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს საქონლისა და მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე. პროდუქციის პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია მწარმოებელთა მიერ საბაზრო ფაქტორების გათვალისწინება, ხარისხის კონტროლის ადმინისტრაციული ბერკეტებიდან მისი მართვის ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ზომებზე გადასვლა; სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის ისეთი მოქნილი სისტემის გამოყენება, რომელიც მწარმოებლებს საშინაო და საგარეო ბაზრებზე საქონლის ხარისხისადმი წაყენებული მოთხოვნების ცვლილებებზე ოპერატიული რეაგირების შესაძლებლობას მისცემს; ხარისხის სათანადო დონის უზრუნველყოფა მომხმარებელთა მოთხოვნილებათა გამოვლენის, ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის გამიზნული პროდუქტების ძირითადი მახასიათებლებისა და პარამეტრების დადგენისა და მათი მიღწევის გზების განსაზღვრის საფუძველზე.

საქართველოში პროდუქციის ხარისხის პრობლემის გადასაჭრელად და მისი ეფექტიანი მართვის მიზნით საჭიროა პროდუქციის ხარისხის მართვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მისი ცხოვრებაში გატარება. ამ პოლიტიკამ საქონელმწარმოებლებს უნდა მისცეს სხვადასხვა

ჯგუფის მომხმარებელთა მოთხოვნები დაკმაყოფილებაზე გამიზნული, საშინაო და საგარეო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების სტიმული. ამასთან, პროდუქციის ხარისხის მართვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისას მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს საწარმოთა პრაქტიკულ საქმიანობაში სახელმწიფოს ჩაურევლობა, რადგან ხარისხის მართვის მთავარი სუბიექტების როლში მწარმოებლები და მომხმარებლები უნდა იყვნენ. სახელმწიფოს ფუნქცია ხარისხის მართვაში უნდა გამოიხატოს სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნასა და სრულყოფაში, პროდუქციისა და ტექნოლოგიისადმი წაყენებული უსაფრთხოებისა და ეკოლოგიურობის მოთხოვნების დაცვაში, ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით, საქართველოს სახელმწიფო ინტერესების სხვა ქვეყნის ინტერესებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაში, რაც, საბოლოოდ, უახლოეს პერსპექტივაში ქართული საწარმოებისა და მათი პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემის გადაჭრას განაპირობებს.

საგარეო ვაჭრობის (ექსპორტის) კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის შეიძლება გამოვყოთ შემდეგი სამი ბლოკის მაჩვენებლები:

1. ექსპორტის წახალისება (სტიმულირება), რომელიც მოიცავს სავაჭრო და საგადასახადო პოლიტიკას, აგრეთვე ვალუტის გაცვლის კურსის პოლიტიკას;
2. ვაჭრობასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირება;
3. ბაზრისა და სახელმწიფო რეგულირების არაეფექტიანობის დაძლევა.

საქართველოსთვის დამახასიათებელია ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას. საქართველო, როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრი, სარგებლობს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით (Most-Favored-Nation – MFN) ვმო-ს წევრ ქვეყნებთან, საქართველო ასევე სარგებლობს პრეფერენციების განზოგადებული სისტემით (Generalized System of Preferences – GSP) აშშ-სთან, ევროკავშირთან, კანადასთან, იაპონიასთან, ნორვეგიასთან და შვეიცარიასთან. აქედან

გამომდინარე, ამ ქვეყნებში საქართველოდან ექსპორტირებულ საქონელზე დაბალი ტარიფი მოქმედებს [17].

2005 წლის ივლისში საქართველო GSP-ის ახალი სქემის (EU GSP +) ბენეფიციარი გახდა, ხოლო 2006 წლის 1 იანვრიდან საქართველო თურქეთთანაც სარგებლობს “GSP+”-ის ბენეფიციარის სტატუსით. ეს საქართველოდან ექსპორტის ხელშეწყობის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

საქართველო შეუერთდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (Organisation for Economic Co-operation and Development – OECD) და მისი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვაჭრობის ტექნიკური რეგულირების სისტემას, რაც შედეგად ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას და ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირებას იწვევს.

საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ყველა ქვეყანასთან და თურქეთთან. დსთ-ის წევრ ქვეყნებთან, გარდა რუსეთის ფედერაციისა, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი რეგულირდება „თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ“ დსთ-ის 1994 წლის მრავალმხრივი შეთანხმებით და ასევე ორმხრივ ფორმატში იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველოს გაფორმებული აქვს ასეთი სახის ორმხრივი შეთანხმება. საქართველო ასევე არის დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია სუამის ფარგლებში მოქმედი „თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ“ 2002 წლის მრავალმხრივი შეთანხმების მონაწილე ქვეყანა [17].

2014 წელს საქართველოში იმპორტირებულ ყველა საქონელზე უპირატესი ხელშეწყობის საშუალო ტარიფმა 0.87% შეადგინა, ხოლო საშუალო პრეფერენციულმა – 0.72%. ტარიფების შედარებით მაღალი დონე დამახასიათებელია სასოფლო-სამეურნეო საქონლისთვის: უპირატესი ხელშეწყობის საშუალო ტარიფი 7.1%-ს შეადგენს, ხოლო საშუალო პრეფერენციული – 5.88%-ს. სამრეწველო საქონელზე ეს ტარიფები შესაბამისად 0.46% და 0.38%-ის ტოლია (დანართი 8) [18].

საგარეო ვაჭრობის (ექსპორტის) კონკურენტუნარიანობაზე ქვეყანაში არსებული ბიზნეს-გარემო არსებით გავლენას ახდენს. საქართველოს ბიზნეს-გარემომ უკანასკნელ წლებში ძირეული ცვლილებები განიცადა. 2016 წელს ბიზნესის წარმოების სიმარტივით საქართველოს 24-ე ადგილი უკავია 189 ქვეყანას შორის, საკუთრების რეგისტრაციით – მე-3, კომპანიის და-

ფუმნებით – მე-6, კრედიტების მიღებით – მე-7, დაბეგვრით – მე-40 და ა. შ. ბიზნეს-გარემოს პარამეტრებიდან საქართველოს ყველაზე ცუდი მდგომარეობა აქვს გადახდისუნარიობის გადაწყვეტის საკითხსა (101-ე ადგილი) და საერთაშორისო ვაჭრობაში (78-ე ადგილი) (ცხრილი 5.13) [19].

ცხრილი 5.13. საქართველოს ბიზნეს-გარემოს პარამეტრები

	2016 წ. რეიტინგი	2015 წ. რეიტინგი	რეიტინგის ცვლილება
ბიზნესის წარმოების სიმარტივე	24	24	0
კომპანიის დაფუძნება	6	4	-2
ნებართვის მიღება მშენებლობაზე	11	11	0
ელექტროსისტემასთან მიერთება	62	70	+8
საკუთრების რეგისტრაცია	3	3	0
კრედიტების მიღება	7	6	-1
მინორიტარული ინვესტორების დაცვა	20	20	0
დაბეგვრა	40	40	0
საერთაშორისო ვაჭრობა	78	78	0
კონტრაქტების აღსრულება	13	18	+5
გადახდისუნარიობის გადაწყვეტა	101	105	+4
წყარო: Doing Business http://www.doingbusiness.org/rankings			

საერთაშორისო ვაჭრობის ინდიკატორების მიხედვით. ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის, აგრეთვე, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მაჩვენებლებთან შედარებით, საქართველოს უპირატესობა აქვს. ექსპორტის სასაზღვრო და საბაჟო კონტროლის განსახორციელებლად საქართველოს 14 სთ სჭირდება, ხოლო ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებში, შესაბამისად, 28 და 15 საათია საჭიროა. იმპორტის დროს სასაზღვრო და საბაჟო კონტროლის განსახორციელებლად საქართველოში 14 სთ იხარჯება, ხოლო ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებში, შესაბამისად, 23 და 4 სთ. სხვა დანარჩენი ინდიკატორებით საქართველო ჩამორჩება ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის

ციის ქვეყნებს ცხრილი 5.14 [20]. აღნიშნული სიტუაცია უარყოფითად აისახება საქართველოს საგარეო ვაჭრობის კონკურენტუნარიანობაზე.

ცხრილი 5.14. საერთაშორისო ვაჭრობის ინდიკატორები

ინდიკატორები	საქართველო	ევროპა და ცენტრალური აზია	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
დრო ექსპორტისათვის: სასაზღვრო და საბაჟო კონტროლი (საათი)	14	28	15
ექსპორტის ღირებულება: სასაზღვრო და საბაჟო კონტროლი (\$)	383	219	160
დრო ექსპორტისათვის: დოკუმენტების გაფორმება (საათი)	48	31	5
ექსპორტის ღირებულება: დოკუმენტების გაფორმება (საათი)	200	144	36
დრო იმპორტისათვის: სასაზღვრო და საბაჟო კონტროლი (საათი)	14	23	9
იმპორტის ღირებულება: სასაზღვრო და საბაჟო კონტროლი (\$)	396	202	123
დრო იმპორტისათვის: დოკუმენტების გაფორმება (საათი)	24	27	4
იმპორტის ღირებულება: დოკუმენტების გაფორმება (საათი)	200	108	25
წყარო: Doing Business http://www.doingbusiness.org/data/exploreeconomies/georgia/#trading-across-borders			

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მასშტა-

ბების ზრდას საქართველოსათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. მით უფრო, როცა ევროკავშირში გაწევრიანება საქართველოს სტრატეგიულ და სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესებში შედის.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ოფიციალური ურთიერთობები 1992 წელს დამყარდა. ამ ურთიერთობების ხანმოკლე პერიოდში ევროკავშირში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა: იგი 15-დან 28 სახელმწიფომდე გაიზარდა და დღეს რთულ და ამბიციურ გაერთიანებას წარმოადგენს.

საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობების გამყარებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია შეთანხმებას პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელიც 1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში იყო ხელმოწერილი და 1999 წელს შევიდა ძალაში [21]. 2009 წლის გაზაფხულზე ევროკავშირმა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა წამოაყენა [22]. 2013 წლის ივლისში ევროკავშირსა და საქართველოს შორის დასრულდა მოლაპარაკება ასოცირების შეთანხმების (AA), მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) თაობაზე. 2013 წლის აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტზე ამ შეთანხმების პარაფირება მოხდა, ხოლო 2014 წლის 27 ივნისს იგი ხელმოწერილი იქნა [23]. ასოცირების შეთანხმებამ ჩაანაცვლა შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ. მისი რეალიზაციისათვის აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობის ადაპტაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან და ევროპული სტანდარტების დანერგვა.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DC FTA) ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილია (IV თავი – ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები), რადგან სწორედ ის მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და საქართველოსთვის ევროკავშირის შიდა ბაზარს ხსნის. საქართველოს მიერ გაფორმებული სხვა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებისაგან განსხვავებით, DC FTA გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზებას. გარდა ამისა, DC FTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგალითად, სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პო-

ლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვა) და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან [24].

DCFTA საქართველოს აძლევს საშუალებას, ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. მეოთხე თავისუფლებას – ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას – ხელს უწყობს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზების პროცესი. DC FTA-ის ამოქმედებით, საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი გაეხსნება, რომელიც ამ ეტაპზე 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს აერთიანებს. საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდას ხელს შეუწყობს. ინვესტორებისათვის საქართველო მიმზიდველი ქვეყანა გახდება, რაც ქვეყანაში საინვესტიციო ნაკადებს გაზრდის და ახალ სამუშაო ადგილებს შექმნის. გარდა ამისა, DC FTA-ის ამოქმედება ხელს შეუწყობს ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის გაჩენას, ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას, სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას ევროპული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. აღნიშნული, საბოლოოდ, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და კონურენტუნარიანობაზე პოზიტიურად აისახება [24].

ასოციირების შეთანხმების ხელმოწერით სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებისათვის. საქართველოსათვის ევროკავშირის წევრობა ნიშნავს:

- იმის ფორმალურ დადასტურებას, რომ სახელმწიფოს მაღალი პოლიტიკური, ეკონომიკური და ზოგადცივილიზაციური სიმწიფის, განვითარებისა და სტაბილურობის მაღალი დონე გააჩნია;
- რომ ქვეყანა ნორმალური, სტანდარტული ევროპული ქვეყნების რიცხვში შედის და აღიარებულია მსოფლიო თანამეგობრობის მიერ. ეს ახალი ცხოვრების დასაწყისის სიგნალია;

- ქვეყანა აღიარებს ლიბერალურ ფასეულობებს, აქვს ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების თავისუფალი მოძრაობის შესაძლებლობა;
- მონაწილეობს გლობალური საკითხების გადაწყვეტაში. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირში არსებული ბიუროკრატიის პირობებში, გადაწყვეტილებათა მიღებაში მისი მონაწილეობის ეფექტიანობის დონე არც ისეთი მაღალი იქნება.

საქართველოსათვის ევროკავშირის წევრობის დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, ამ ინტეგრაციას გარკვეული პრობლემები ახასიათებს. მათ შორის, უპირველესად, უნდა აღინიშნოს შემდეგი:

- სახელმწიფო სუვერენიტეტის ნაწილობრივი დაკარგვა. როგორც ცნობილია, ინტეგრაცია მუდამ გულისხმობს მართვის ერთიან პროცესებს და ზენაციონალურ ორგანოებზე გადაწყვეტილებათა მიღების უფლების დელეგირებას. შესაბამისად, ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში საქართველო ნაწილობრივ დაკარგავს თავის სუვერენიტეტს, რომლის ზომა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.
- ქართულ საწარმოებს მოუწევთ ევროპულ სტანდარტებზე გადასვლა და მკაცრი კონკურენციის პირობებში მუშაობა, რასაც ბევრი მათგანი ვერ გაუძლებს. წარმოების გადაწყობა ინვესტიციებს მოითხოვს, რაც ყველასთვის ხელმისაწვდომი არაა.
- მიგრაციული პროცესების გაძლიერება და ტვინების გადინების პრობლემა, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივ არსებობას სერიოზულ საშიშროებას შეუქმნის;
- პრობლემა ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ქვეყნებთან.

აღნიშნული პრობლემების მიუხედავად, ევროკავშირთან თანამშრომლობით საქართველოს ექნება პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სარგებელი: დაცული იქნება მისი სახელმწიფოებრივი უსაფრთხოება, უზრუნველყოფილი იქნება პოლიტიკური სტაბილურობა, ახალი ინვესტიციები და ევროპული სტანდარტები, გაფართოვდება გასაღების ბაზარი, ამადლდება სოციალური დაცვისა და ცხოვრების დონე, იქმნება ევროზონაში შესვლისა და ვალუტის სტაბილურობის უზრუნველყოფის შესაძლებლობა და ა. შ. შესაბამისად, საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები იძლევა ქვეყნის უსაფრთხო და

მდგრადი განვითარების შესაძლებლობას ამ თანამშრომლობისათვის დამახასიათებელი პრობლემების მინიმიზაციის პირობებში.

დასკვნა

ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარების და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ტრადიციული ფაქტორია საგარეო ვაჭრობა, კერძოდ, ექსპორტი, რომელიც ქვეყნის სავალუტო შემოსავლების ზრდის შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა ხასიათდება განვითარების დაბალი ტემპებით, იმპორტზე ძლიერი დამოკიდებულებით, მაღალტექნოლოგიური საქონლის დაბალი წილით, დივერსიფიკაციის დაბალი დონით, უარყოფითი სავაჭრო ბალანსით და სხვა ნეგატიური ფაქტორებით, რომლებიც მის დაბალ კონკურენტუნარიანობას განაპირობებს.

ინდუსტრიულ საზოგადოებაში ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელია წარმოების ფაქტორებითა და რესურსებით განპირობებული უპირატესობები, პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში კი კონკურენტუნარიანობაში წამყვან როლს ასრულებს უახლესი ტექნოლოგიური მიღწევები, ინოვაციები და „ნოუ-ჰაუ“, რომლის დეფიციტს განიცდის საქართველო და რაც მისი ეკონომიკის გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლებას ხელს უშლის.

ექსპორტის დივერსიფიკაცია უშუალო კავშირშია ეროვნული ეკონომიკის დივერსიფიკაციასთან. ამიტომ, უპირველესად, აუცილებელია ამ უკანასკნელის პროგრესული დივერსიფიკაცია: მთავარი აქცენტი დამატებული ღირებულების მაღალი წილის მქონე დარგებისა და წარმოებების განვითარებაზე უნდა გაკეთდეს. ამასთან, მაღალი დამატებული ღირებულების საქონლის ექსპორტის ზრდა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მატერიალურ-ნივთობრივი საქონლის ექსპორტით, განსაკუთრებული ყურადღება მომსახურებითა და ტექნოლოგიებით ვაჭრობას, საწყის ეტაპზე – ტექნოლოგიების იმპორტს უნდა დაეთმოს.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში საქართველოსათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მასშტაბების

ზრდას. ევროკავშირთან თანამშრომლობით საქართველომ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პუბლიკაციები - (წლიური, საქართველოს საგარეო ვაჭრობა) http://geostat.ge/?action=wnews_archive1&qy=1&qy1=8&lang=geo
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს საგარეო ვაჭრობა, 2014. [http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/Georgian%20External%20Trade%202014%20\(publish\).pdf](http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/Georgian%20External%20Trade%202014%20(publish).pdf)
3. Worldbank <http://data.worldbank.org/indicator>
4. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2015 / საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბილისი, 2015. გვ. 274. http://geostat.ge/cms/site_images/_files/yearbook/Yearbook_2015.pdf
5. საქართველოს ექსპორტი ქვეყანათა ჯგუფების მიხედვით http://geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge/index.php?action=wnews_archive1&qy=1&qy1=16&lang=eng
7. საქართველოს ეროვნული ბანკი, წლიური ანგარიში, 2014 <https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2015/annual2014.pdf>
8. Trade Competitiveness Map. Analyse country and product competitiveness with trade flows <http://wits.worldbank.org/countrysnapshot/en/GEO>
9. WTO <http://stat.wto.org/CountryProfile/WSDBCountryPFView.aspx?Language=E&Country=GE>
10. WTTC Travel & Tourism Economic Impact 2015. Georgia. <http://www.wttc.org/-/media/files/reports/economic%20impact%20research/countries%202015/georgia2015.pdf>
11. The Travel & Tourism Competitiveness Report 2015. World Economic Forum http://www3.weforum.org/docs/TT15/WEF_Global_Travel&Tourism_Report_2015.pdf
12. ITC, Market Access Map. <http://www.macmap.org/CountryAnalysis/AverageTariffResult.aspx?country=SCC268%7cGeorgia&bysection=0>

13. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო, 2020 http://www.economy.ge/uploads/news/giorgi_kvirikashvili/Strategy2020.pdf
14. World Bank. <http://lpi.worldbank.org/international/global>
15. **Hummels D.** (1999). Toward a Geography of Trade Costs, GTAP Working Papers 1162, Center for Global Trade Analysis, Department of Agricultural Economics, Purdue University.
16. Trade Competitiveness Map. Trade Performance Index <http://legacy.intracen.org/appli1/tradecom/TPIC.aspx>
17. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო <http://www.economy.ge/ge/ministry/debuleba>
18. International Trade Centre <http://legacy.intracen.org/appli1/tradecom/TPIC.aspx>
19. Doing Business <http://www.doingbusiness.org/rankings>
20. Doing Business <http://www.doingbusiness.org/data/exploreeconomies/georgia/#trading-across-borders>
21. <http://www.ei-lat.ge/vin-vin-aris1/saqarthvelos-da-evrokavshiris-urthierthobebis-qronologia/367--shethankhmeba-partniorobisa-dathanamshromlobis-shesakheb-pca.html?lang=ka-GE>
22. http://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/eu_georgia/political_relations/political_framework/eastern_partnership/index_ka.htm
23. http://saqinform.ge/index.php?option=com_blog_calendar&year=2014&month=06&day=27&modid=280#axzz3BCMFQkao
24. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) <http://www.economy.ge/ge/dcfta>
25. WITS <http://wits.worldbank.org/CountryProfile/en/GEO>,
26. WITS http://wits.worldbank.org/CountryProfile/en/Country/WLD/Year/2014/TradeFlow/Export/Partner/all/Product/90-99_Miscellan

თავი 6.

ინოვაციების გავლენა ექსპორტის კონკურენტუნარიანობაზე

ინოვაციები თანამედროვე ტექნოლოგიური ბიზნესგარემოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნდამენტური კომპონენტია. ინოვაცია არის რაიმე სიახლე, ან უკვე არსებულის განახლება, რომელიც არსებითი ხასიათის ცვლილებებს იწვევს ბიზნესის ტექნოლოგიურ გარემოში და კონკურენტუნარიანი საქონლისა და მომსახურების წარმოებას უზრუნველყოფს. სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებები და გლობალური პროცესების გაღრმავება ხელს უწყობს ეროვნული ეკონომიკების რადიკალურ გარდაქმნას და დაჩქარებულ განვითარებას. ასეთი ტრანსფორმაციული ცვლილებები განვითარებულ ქვეყნებს სთავაზობს, ერთი მხრივ, ფართო პერსპექტივას, როგორც მწარმოებლურობის ზრდის, ახალი რესურსებისა და ბაზრებისადმი წვდომის მიმართულებით, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნის გარკვეულ რისკებს ეკონომიკური დისლოკაციის, სტაგნაციისა და მარგინალიზების კუთხით.

საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა დარგის მოდერნიზების მამოძრავებელი ფაქტორია. საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზებამ ფორმებს შორის უპრეცედენტო გლობალური კონკურენცია განაპირობა, როგორც შიგა, ასევე უცხოურ ბაზრებზე. თანამედროვე ეტაპზე, წარსულ პერიოდთან შედარებით, მანძილის ხარჯების “costs of distance” შემცირებით, კონკურენცია უშუალო, ინტენსიური და დინამიკური გახდა. სწრაფმა ტექნოლოგიურმა ძვრებმა მწარმოებლებს უზიძგა, ტექნოლოგიური პროცესი პერმანენტულად დაეხვეწათ და ახალი კონკურენტუნარიანი პროდუქტი დაენერგათ. მან ასევე შეცვალა საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა, სადაც სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს ცოდნასა და კვლევაზე დაფუძნებული, უახლესი ტექნოლოგიით წარმოებული კრეატიული, ინოვაციური საქონელი. ინოვაცია ყოველთვის დიდ ხარჯებს და რისკებს უკავშირდება, რადგან იგი ქვეყნებისა და საწარმოების მიერ კვლევასა და

განვითარებაში გაწეული მაღალი დახარჯების პერმანენტული კონცენტრაციით ხასიათდება.

ინოვაცია ადრეც იყო და დღესაც წარმოადგენს ქვეყნებისა და ფირმების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და შენარჩუნების მნიშვნელოვან ფაქტორს. ინოვაციასა და ექსპორტს შორის კავშირის შესახებ მრავალ ქვეყანაში ჩატარებული კვლევებით დასაბუთებულია, რომ ფირმის მიერ დანერგილი ინოვაციური მიდგომები დადებითად აისახება ექსპორტის განვითარებაზე, ხოლო განსაკუთრებული წარმატება განპირობებულია ინოვაციური ფირმის ტექნოლოგიური ლიდერობით (Posner, 1961), (Vernon R., 1966). ბაზარზე მკაცრი კონკურენცია ფირმებს ინოვაციური პროდუქტის ექსპორტისაკენ უბიძგებს. ინოვაცია საექსპორტო პროდუქტისათვის „დამატებული ღირებულება“ ხდება. ექსპორტის ზრდა ფირმებს მათ მიერ კონკრეტულ პროდუქტზე გაწეული დანახარჯების შემცირებაში ეხმარება.

ინოვაცია განიხილება როგორც ეკონომიკური ზრდისა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების საკვანძო ფაქტორი. ინოვაცია აღქმება, როგორც კონკურენტული უპირატესობის ამაღლების აუცილებელი და სტრატეგიული პოზიციების დაცვის ერთ-ერთი უსაფრთხო ინსტრუმენტი. რამდენადაც კონკურენტული უპირატესობა განსაკუთრებული, ინოვაციური აქტივების ფლობის შედეგია, პოპულარული ხდება მოსაზრება იმის შესახებ, რომ საუკეთესოდ პოზიციონირებული ფირმები არიან ისინი, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ, ფოკუსირება ცოდნაზე, ტექნოლოგიებსა და გამოცდილებაზე მოახდინონ და ბაზარს შესთავაზონ სიახლეები (პროდუქტებისა და მომსახურების სახით) ან წარმოების ინოვაციური მეთოდები (Tidd, 2009).

ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ამაღლება ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის საწყისი ეტაპია საერთაშორისო ბაზრების გაფართოების კუთხით. მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის, როგორც საქართველო, საექსპორტო საქონლისა და მომსახურების მოცულობის ზრდა და საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული სივრცის გაფართოება მნიშვნელოვანია მისი ეკონომიკის მდგრადი განვითარებისა და მულტიპლიკაციური ზრდისათვის. წარმატებული ექსპორტის მნიშვნელოვანი დეტერმინანტია ინვესტიციები ტექნოლოგიებში, რომელიც შრომის მწარმოებლურობის ზრდას

იწვევს, მაშინ როდესაც ინოვაციური პროდუქტების დანერგვა ხშირად ასოცირდება ექსპორტის ზრდასთან (Cassiman, 2007). (Becker, 2007). ამგვარად, კვლევა-განვითარება და ინოვაციები, რომელებიც იწვევენ ახალი პროდუქტების დანერგვას ან ფირმის არსებული საწარმოო ბაზის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, დიდ როლს ასრულებს საექსპორტო ბაზრების პოზიციების განმტკიცებაში.

განასხვავებენ ინოვაციებსა და ექსპორტის კონკურენტუნარიანობას შორის კავშირის ეგზოგენურ და ენდოგენურ მოდელს.

ეკონომიკური ზრდის ტრადიციულ თეორიებსა და მოდელებში ახალი ტექნოლოგიები ეგზოგენურ ცვლადს წარმოადგენს. ეგზოგენურ მოდელში ფირმა მეტწილად დაკავებულია კვლევა-განვითარების საქმიანობით, ქმნის ინოვაციურ პროდუქტს, რომელსაც საუკეთესო სამომხმარებლო თვისებები გააჩნია, კონკურენტუნარიანია შიდა ბაზარზე და განსხვავებული პროდუქტით გადის საგარეო ბაზრებზე. ექსპორტთან დაკავშირებული მრავალი კვლევა ასაბუთებს, რომ არსებობს ინოვაციასა და ექსპორტის მაჩვენებლებს შორის დადებითი კავშირი. დაწყებული ადრეული თეორიებით, როგორცაა პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის მოდელი (ეგზოგენური), რომელშიც ინოვაცია არის ექსპორტის განხორციელების ძირითადი ფაქტორი (Vernon R. , 1996), უახლოესი მოდელებით დამთავრებული, რომლებიც განიხილავენ რევერსული ეფექტის შესაძლებლობას ენდოგენური ზრდის ფარგლებში (Grossman G. a., 1991a), ან თეორიები, რომლებიც განიხილავენ დარგის დინამიკას, სადაც ჩართულია ჰეტეროგენული ფირმები (Melitz, 2003). მოცემული თეორიების თანახმად, ინოვაციებსა და ექსპორტს შორის მკრო დონეზე დადებითი კავშირი არსებობს.

ექსპორტის კონკურენტუნარიანობის განსაზღვრაში ტრადიციულად ორ ძირითად კონცეპტუალურ მიდგომას გამოიყენებენ (Wakelin, 1998). პირველი, ნეოკლასიკური მოდელი, რომელშიც ფირმის კონკურენტუნარიანობა წარმოების ფაქტორების უზრუნველყოფით განისაზღვრება. მეორე, ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მოდელი, რომელშიც კონკურენტული უპირატესობის გამომუშავება ხდება ფირმის პროდუქტისა და მომსახურების ხარისხის გაზრდით. ორივე მოდელი გულისხმობს პოზიტიურ კავშირს კვლევა-განვითარებასა ან ინოვაციასა და ექსპორტს შორის.

ნეოკლასიკურ კვლევებში ნაჩვენებია, რომ ფაქტორებზე დაფუძნებული უპირატესობა შეიძლება არსებითი ხასიათის იყოს, თუ ფირმას სპეციფიკურ ფაქტორზე ბუნებრივი მონოპოლია აქვს ან განთავსებულია ისეთ განსაკუთრებულ რეგიონში, სადაც ჭარბი ფაქტორი არსებობს. ექსპორტის ტექნოლოგიურ ეფექტიანობაზე დაფუძნებული მოდელი ძირითადად ფოკუსირდება ფირმის ინვესტიციებზე და ახალი ტექნოლოგიების განხორციელების მიღწევებზე ან ახალი პროდუქტებისა და საწარმოო პროცესების განვითარებაზე, რაც მწარმოებლურობას ზრდის. ეს უკანასკნელი დამოკიდებული იქნება საწარმოს შიდა ძლიერ მხარეებზე, და ასევე მხარდაჭერილია გარე გარემოს ისეთი ელემენტებით, როგორცაა რეგიონალური ან ეროვნული ინოვაციური სისტემა, რომლის ფარგლებში ფირმა ფუნქციონირებს (Nelson, 1993), (Metcalfe, 1997).

ორივე მიდგომა კვლევა-განვითარებასა და ინოვაციასა და ექსპორტს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ასახავს. ამის საპირისპიროდ, გროსმენი და ჰელმანი ენდოგენური ზრდის მოდელში ექსპორტსა და კვლევა-განვითარება/ინოვაციას შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ასაბუთებენ. ამ კავშირის არსი შემდეგი მდგომარეობით განისაზღვრება. პირველი, მწვავე კონკურენცია საგარეო ბაზრებზე ფირმებს უზიძვებს, განახორციელონ ინვესტიციები კვლევა-განვითარებაზე იმისათვის, რათა გააუმჯობესონ როგორც პროდუქტები, ასევე ტექნოლოგიური პროცესები და ამგვარად შეინარჩუნონ კონკურენტული უპირატესობა. ეს ასევე აიძულებს ფირმებს, დაკავდნენ კვლევა-განვითარების საქმიანობით იმისათვის, რათა ბიზნესის პრაქტიკა შეუსაბამონ საგარეო ბაზრებზე არსებულ მოთხოვნებს, ტექნოლოგიურ სტანდარტებს, ნორმებს და სხვა. მეორე, ექსპორტის განხორციელებით იქმნება ეფექტიანი სწავლების შესაძლებლობა, რაც უცხოურ ბაზრებზე საქმიანობის შედეგად მიღებულ ცოდნა-გამოცდილებას და თანამედროვე ტექნოლოგიებისადმი წვდომას გულისხმობს, რომელიც, თავის მხრივ, ექსპორტიორ ფირმას მწარმოებლურობის გაზრდაში ეხმარება (Kobrin, 1991) (Grossman G. a., 1991a). და ბოლოს, ინოვაციური პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში მასშტაბის ეფექტი ასევე შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი. საექსპორტო საქმიანობა აფართოებს ბაზარს, ზრდის გაყიდვების მოცულობას, შესაბამისად, იძლევა მეტი მოგების მიღების საშუალებას, რითაც გადაიფარება კვლევასა

და განვითარებაზე გაწეული საკმაოდ დიდი ფიქსირებული ხარჯები. ამით მწარმოებლურობის ზრდა და კვლევა-განვითარებასა და ინოვაციებში ინვესტიციების პრიორიტეტული დაბანდების სტიმულირება მიიღწევა.

უახლოეს თეორიებში ყურადღებას ამახვილებენ ფირმის ჰეტეროგენურობაზე, რომელიც ხსნის კავშირს ფირმის საექსპორტო ბაზრებზე შესაძლებად გაწეულ ფიქსირებულ ხარჯებსა და მწარმოებლურობას შორის. მაგალითად, მელიტოზმა (Melitz (2003) შეიმუშავა დარგის დინამიურობის მოდელი, რომელიც ფირმების ჰეტეროგენურობას მოიცავს, სადაც ფირმები განსხვავებული რესურსებითაა უზრუნველყოფილი და, შესაბამისად, პროდუქტიულობის განსხვავებული დონითაა წარმოდგენილი. ამ მოდელში მხოლოდ ყველაზე პროდუქტიულ ფირმას შეუძლია დაფაროს საგარეო ბაზრებზე შედგენის ამოუღებელი ხარჯები (sunk costs). გამომდინარე აქედან, დარგის ფარგლებში ვაჭრობის მოცულობის ზრდა გამოიწვევს ფირმათაშორის გადანაწილებას მაღალმწარმოებლური ფირმების სასარგებლოდ. შემდგომში მოცემული მოდელი განვითარდა, რომელშიც გათვალისწინებულ იქნა არა მხოლოდ განსხვავება მწარმოებლურობაში, არამედ, აგრეთვე, ფირმის შესაძლებლობა – დაბანდოს ინვესტიციები ინოვაციურ საქმიანობაში, რომელიც ტექნოლოგიების მოდერნიზებას და წარმოების ზღვრული ხარჯების შემცირებას უზრუნველყოფს. ფირმა, რომელიც ჩართულია ინოვაციურ პროცესებში, უფრო მეტად მიდრეკილია ექსპორტისადმი, რაც განაპირობებს პროდუქტის მახასიათებლების გაუმჯობესებას, ასევე, საწარმოო ხარჯების შემცირებას, ამის შედეგად კი ფირმას დაბალი ფასის დაწესების შესაძლებლობა ეძლევა. ემპირიული ტესტირებისას გამოვლინდა, რომ პროდუქტის საექსპლუატაციო მახასიათებლების განახლება ექსპორტს ასტიმულირებს, ვიდრე წარმოების ხარჯების შემცირება (Caldera, 2009).

ინოვაციების გავლენა საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე. საქართველოში ინოვაციების გავლენა საქონლის კონკურენტუნარიანობაზე შეიძლება შეფასდეს, როგორც ექსპორტის მოცულობის დინამიკის, ასევე საექსპორტო პოტენციალის მახასიათებლების კრიტერიუმით.

ეკონომიკური ზრდის ექსპორტით სტიმულირება იმპორტის ჩანაცვლების საპირისპირო სტრატეგიაა, რომელიც პოპულარული იყო 1960-ი-

ან წლებში. იმპორტის ჩანაცვლების სტრატეგია ადგილობრივი ბაზრის უსაფრთხოების დაცვას გულისხმობს. ექსპორტით სტიმულირებული ზრდის სტრატეგია კი მსოფლიო ბაზარზე არსებული შესაძლებლობების ეროვნული ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისთვის გამოყენებას გულისხმობს. ექსპორტით სტიმულირებული ეკონომიკური ზრდის კონცეფციას რამდენიმე თეორიული არგუმენტი ამაგრებს. პირველი, საგარეო მოთხოვნა, რომელიც ადგილობრივ მოთხოვნას ემატება და ადგილობრივი წარმოების მოცულობის ზრდას ასტიმულირებს. ეს მართლაც ასეა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადგილობრივ მოთხოვნას ანტიინფლაციური პოლიტიკა ზღუდავს. მეორე, გარე ბაზრებზე ორიენტირებული სტრატეგია შიგა სპეციალიზაციის პროცესს აჩქარებს, რაც, თავის მხრივ, რესურსების დაზოგვის შედეგად შრომის მწარმოებლურობის ზრდას იწვევს. გარდა ამისა, ეს ხელს უწყობს მსოფლიო ეკონომიკაში ჩართულობის გაღრმავების პროცესს, ცოდნის ამაღლებას და ახალი ტექნოლოგიების მოზიდვას. მესამე, ექსპორტის ზრდა უცხოურ ვალუტებთან წვდომას ამსუბუქებს, რაც წარმოების იმ რესურსების იმპორტირებას აადვილებს, რომელიც ადგილობრივ ბაზარს სჭირდება. უცხოური ვალუტების შემოდინებას კი მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია აგრეთვე მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება-განმტკიცების საქმეში.

ექსპორტის ხელშეწყობა გაიგივებულია ეკონომიკური ზრდის დაჩქარებასთან. შესაბამისად, საქართველოს მთავრობა მიმართავს ექსპორტზე ორიენტირებულ ლიბერალურ საგარეო სავაჭრო პოლიტიკას, რაც გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას. 2006 წლის 1 სექტემბრიდან საიმპორტო ტარიფების 16 სატარიფო განაკვეთი 3 განაკვეთამდე (0,5 და 12%) შემცირდა, საიმპორტო ტარიფები მეტწილ პროდუქციაზე გაუქმდა, არ არსებობს სეზონური ტარიფები (MESDG). საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური და კონკურენტული სავაჭრო რეჟიმი გააჩნია.

ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს უცხოეთის ბაზრებზე შეღწევას და ადგილობრივ საექსპორტო სექტორში წარმოების ზრდასა და ხარჯების შემცირებას. უკანასკნელ წლებში საქართველოს სავაჭრო დეფიციტი დიდი და მზარდია. წმინდა ექსპორტი მშპ-

ის 34%-ს შეადგენს. მზარდი სავაჭრო დეფიციტი ეროვნული ეკონომიკის დაბალ კონკურენტუნარიანობაზე და ქვეყნის ძალზე ვიწრო საექსპორტო ბაზაზე მიანიშნებს. ასეთი ვითარება ქვეყნის მაკროეკონომიკურ მდგომარეობას არყევს და მის სტრუქტურულ სისუსტეს ამჟღავნებს. ეროვნული ეკონომიკის არაკონკურენტუნარიანობა და ექსპორტის დაბალი დივერსიფიცირებულობა მეტწილად გამოწვეულია ტექნოლოგიური განვითარების და ინოვაციების დაბალი დონით.

2010-2014 წლებში საქართველოს მთავარ საექსპორტო პროდუქტს ავტომობილები, ფეროშენადნობები, სპილენძის მადნები, მინერალური წყლები, სასუქები და ზოგიერთი აგრარული პროდუქტი შეადგენდა¹. დღეისათვის ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში ძირითადად დაბალი დამატებული ღირებულების მქონე საქონელი ჭარბობს. გარდა ამისა, დაბალია ბაზრების და სასაქონლო დივერსიფიკაციის ტემპი, ხოლო ფირმების ახალ ბაზრებზე შეღწევის მაჩვენებელი არადადამაკმაყოფილებელია.

საქართველოს ეკონომიკა 1996 წლიდან მოყოლებული (1996-2014 წლებში) საშუალოდ 10%-ით იზრდებოდა. ეს ტემპი მიღწეული იყო 90-იანი წლების პირველი ნახევრის კრიზისამდე არსებული ეკონომიკური რეფორმებით, როდესაც ახალ ეკონომიკურ და ინსტიტუციონალურ რეფორმებს საფუძველი ჩაეყარა. ამ პოლიტიკამ რეფორმების პირველ ეტაპზე ეკონომიკური ზრდის სტიმულირება გამოიწვია, რომელიც 90-იანი წლების ბოლოს შეფერხდა და 2004 წელს დაიწყო რეფორმების მეორე ტალღა, რომელიც მიზნად ისახავდა ეკონომიკის ლიბერალიზებას². თუმცა, ეს რეფორმები მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის დონის ასამაღლებლად საკმარისი არ აღმოჩნდა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს ექსპორტის მაჩვენებლები, შეიძლება ითქვას, რომ დინამიკურია, თუმცა ცვალებადი. ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასარგებლო წიაღისეულს, სადაც საქართველოს შეფადრებითი უპირატე-

¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
http://geostat.ge/?action=page&p_id=136&lang=geo

² საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო, 2020; საქართველოს მთავრობა, ნოემბერი 2013.

სობა გააჩნია. თუმცა, მნიშვნელოვნად განვითარდა ისეთი სექტორები, როგორცაა (მნიშვნელობის მიხედვით) ფოლადი, ქიმიკატები, ტურიზმი, ლოჯისტიკა და ტრანსპორტი, ტექსტილი და ტანსაცმელი. ასევე ადგილი აქვს მომსახურების სექტორის ზრდას, რაც განპირობებულია ტურიზმის სწრაფი განვითარებით.

მსოფლიო ბანკის კვლევების მიხედვით, საქართველოს ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ოთხი ძირითადი გამოწვევევაა ფიქსირდება: **დივერსიფიკაცია, გადარჩენა, მწარმოებლურობა და მოდერნიზაცია**. მოდერნიზაცია ინოვაციების, ცოდნისა და ტექნოლოგიების ტრანსფერისა და შთანთქმის საშუალებით მიიღწევა. სწორედ ამ უკანასკნელზე გავამახვილებთ ყურადღებას და განვიხილავთ მის გავლენას ექსპორტის კონკურენტუნარიანობაზე.

უკანასკნელი ათწლეულის საქართველოს ექსპორტის სტრუქტურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ის არ წარმოადგენდა მწარმოებლურობის სწრაფი ზრდის მნიშვნელოვან წყაროს. მიუხედავად იმისა, რომ ექსპორტის მოცულობა 1996 წლიდან მოყოლებული საშუალოდ 14%-ით იზრდებოდა, ექსპორტის წილი მშპ-ში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და კვლავ დაბალ მაჩვენებელს ინარჩუნებს. მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაშიც არ შეინიშნება. ექსპორტში კვლავ რესურსებზე დაფუძნებული პროდუქტები დომინირებს, როგორცაა: რკინის მადანი და სასარგებლო წიაღისეული, მაშინ, როდესაც სამუშაო ადგილების შემქმნელი დამამუშავებელი წარმოება ნაკლებადაა წარმოდგენილი. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების ეკონომიკებისაგან განსხვავებით, საქართველო ჯერ კიდევ ვერ ახერხებს ვერტიკალურად ინტეგრირებულ საერთაშორისო საწარმოო ქსელში შეღწევას. ასევე არ უმჯობესდება და მოდერნიზებას არ განიცდის ექსპორტის კალათის სტრუქტურა. გარდა ამისა, ძალზე დაბალია ქართული ფირმების მიერ ახალი ბაზრების ათვისების მაჩვენებელი, თუმცა, ბოლო დროს გარკვეული პროგრესი მაინც შეინიშნება და ამ მხრივ გააქტიურება, ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შეთანხმების გაფორმებიდან გამომდინარე, მომავალში მოსალოდნელია.

ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე მიძღვნილი მსოფლიო ბანკის კვლევებით გამოვლინდა, რომ 1950 წლიდან, 25 წელზე მეტი ხნის

განმავლობაში, მხოლოდ 13 ქვეყნის ეკონომიკა იზრდებოდა წლიურად საშუალოდ 7 პროცენტით. ზრდის ამ ტემპით მათი ეკონომიკა ყოველ ათწლეულში ორმაგდებოდა. ამ ეკონომიკების წარმატების ძირითადი მოტივატორი იყო გლობალური ბაზრების უპირატესობის გამოყენება ორი მეთოდით: პირველი, ტექნოლოგიებისა და ცოდნის იმპორტით და მეორე, გლობალური მოთხოვნის ზრდის შედეგად ექსპორტის გაფართოებით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ვაჭრობის ლიბერალიზებისა და ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების კუთხით, ქვეყნის საექსპორტო კალათის კონცენტრაცია დიდად არ შეცვლილა უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში. იგი სომხეთის მსგავსია, თუმცა მისი კონცენტრაციის მაჩვენებელი შედარებით მაღალია მრავალ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ქვეყანასთან მიმართებით. საექსპორტო კალათის ანალიზისას ვლინდება, რომ ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურა ძირითადად ხუთი ძირითადი პროდუქტისაგან (აზოტოვანი სასუქები, ნედლი ნავთობი, მინერალური და მტკნარი წყლები, ოქრო დაუქუთხევი და ნახევრად დამუშავებული, დანარჩენი სქონელი) შედგება, რომელიც უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში უცვლელია. 2001 წელს ხუთი ძირითადი პროდუქტი მთლიანი ექსპორტიდან მიღებული შემოსავლის 52,8 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 2010-2014 წლებში – 54,1 პროცენტს.

საქართველოს საექსპორტო კალათის მოდერნიზება უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში სტაბილურობას ინარჩუნებს და საქართველოს განვითარების მოცემულ დონესთან შედარებით, დაბალია. საქონელს, რომელიც მაღალი დამატებული ღირებულებით გამოირჩევა, გამოგონებების, კვალიფიკაციისა და ტექნოლოგიების მიხედვით მსოფლიო ბაზრებზე მაღალი ფასი აქვს. პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესება და მოდერნიზება მწარმოებლურობის ზრდას იწვევს და იგი შეიძლება იყოს, როგორც ექსპორტის, ასევე ეკონომიკური ზრდის წყარო. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, იმ ქვეყნებმა, რომლებმაც მიაღწიეს ექსპორტის სწრაფ ზრდას, მათთვის საექსპორტო ბაზრებზე შედევვის მთავარი წარმატების ფაქტორი წარმოების დივერსიფიკაცია და პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესება იყო.

ინოვაციური გარემო საქართველოში. საქართველოს მთავრობის ეკონომიკურ პროგრამებში მკაფიოდაა ხაზგასმული, რომ ქვეყნის ძირითადი მიზანია ინოვაციებზე ორიენტირებული ეკონომიკის ფორმირება. ამას მოწმობს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, რომელშიც განსაზღვრულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთმანეთთან დაკავშირებული სამი უმთავრესი პრიორიტეტი:

- ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარება;
- მდგრადი განვითარება: რესურსების ეფექტიანი გამოყენება და კონკურენტუნარიანი ეკონომიკა;
- ინკლუზიური ზრდა: მაღალი დასაქმების უზრუნველყოფა სოციალური საკითხების გათვალისწინებით.

ინოვაციებზე ორიენტირებული ეკონომიკის ფორმირება შეიძლება წარმოდგენილი იყოს, როგორც კონკურენტული განვითარების ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლის პროცესი. ამას მაკვლავ პორტერი განიხილავს ფაქტორებზე ორიენტირებული ეკონომიკიდან (რომელიც ეფუძნება ბუნებრივ ან გარე ფინანსურ რესურსებს და იაფ მუშახელს) ჯერ ინვესტიციებზე ორიენტირებულ ეკონომიკაზე (რომელიც ეფუძნება მწარმოებლურ კაპიტალდაბანდებებს), ხოლო შემდეგ ინოვაციაზე ორიენტირებულ ეკონომიკაზე (რომელიც ეფუძნება ადამიანის გონებრივ შრომას და ინოვაციურ საქმიანობას) გადასვლას. გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს ინვესტიციებზე ორიენტირებული ეკონომიკა გააჩნია (იხ ცხრილი 1). ქვეყანას, რომელიც ინოვაციებზე ორიენტირებული ეკონომიკის შექმნისკენ მიისწრაფვის, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, უნდა გააჩნდეს ძლიერი პოზიციები ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორცაა:

- ინვესტიციების განხორციელების უნარი;
- სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მაღალი დონე;
- კომპანიის დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე;
- უნივერსიტეტებისა და მრეწველობის პარტნიორობა კვლევასა და განვითარებაში;
- სახელმწიფოს მიერ მოწინავე ტექნოლოგიების მოზიდვა;
- მეცნიერებისა და ინჟინრების არსებობა;

- პატენტების განმცხადებლების რაოდენობა;
 - ინტელექტუალური საკუთრების დაცვა.
- ზოგიერთი პოსტსაბჭოური ქვეყნის კონკურენტული განვითარების სტადიები შემდეგნაირად გამოიყურება (ცხრილი 6.1):

ცხრილი 6.1 კონკურენტული განვითარების სტადიები

ფაქტორებზე ორიენტირებული სტადია	გარდამავალი სტადია	ეფექტიანობაზე ორიენტირებული სტადია	გარდამავალი სტადია	ინოვაციებზე ორიენტირებული სტადია
ტაჯიკეთი	აზერბაიჯანი	სომხეთი	ყაზახეთი	ესტონეთი
ყირგიზეთი	მოლდოვა	საქართველო	ლატვია	
		უკრაინა	ლიტვა	
			რუსეთის ფედერაცია	
			თურქმენეთი	

საერთაშორისო ვაჭრობის თეორიების თანახმად, სხვადასხვა ქვეყანას განსხვავებული შეფარდებითი უპირატესობა გააჩნია. მაგალითად, თუ ქვეყანა მდიდარია ბუნებრივი რესურსებით ან კაპიტალით, ამ მახასიათებლებით მას სხვა ქვეყნებთან მიმართებით შეფარდებითი უპირატესობა გააჩნია. პილანია (Pillania R. K., 2009) აღნიშნავს, რომ ცოდნა შეიძლება განვიხილოთ, როგორც თავისუფალი რესურსი, რომელსაც ქვეყანა შეიძლება შემკვიდრეობით არ იღებდეს, მაგრამ იგი უფრო თავისუფლად ტრანსფერირებადია ბუნებრივ რესურსებთან შედარებით. ეს კი ნიშნავს იმას, რომ 21-ე საუკუნეში უფრო მეტად თავს იჩენს ცოდნაზე დაფუძნებული კონკურენტული გარემო.

კონკურენტუნარიანობა (K., 2011) განისაზღვრება, როგორც ინსტიტუტების, პოლიტიკისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც ქვეყნის მწარმოებლურობის დონეზე ზემოქმედებს. ეს უკანასკნელი კი ქვეყნის მდგრად განვითარებაზე და ეკონომიკურ ზრდაზე დადებით გავლენას იქონიებს. ამგვარად, მეტად კონკურენტულ ეკონომიკებს თავიანთი მოქალაქეებისათვის მეტი დოვლათის შექმნა შეუძლიათ. მწარმოებლურობის დონე პოზიტიურად ზემოქმედებს შემოსავლების დონეზე, რომელიც ეროვნულ ეკონომიკაში განხორციელებული კაპიტალდაბანდება-

ბით მიიღება და ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მეტად კონკურენტულია ის ეკონომიკა, რომელიც მიდრეკილია, ეკონომიკური ზრდის ტემპში საშუალოდან გრძელვადიან პერიოდამდე სწრაფად უზრუნველყოს.

კონკურენტუნარიანობის კონცეფცია სტატიკურ და დინამიკურ კომპონენტებს მოიცავს. ქვეყანაში მწარმოებლურობის დონე პირდაპირ უკავშირდება შემოსავლების დონეს და დაბანდებულ კაპიტალზე შემოსავლების მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი დეტერმინანტი და, ამასთან, ძირითადი ფაქტორია, რომელიც ხსნის ეკონომიკური ზრდის პოტენციალს (Schwab K., 2012).

ქვეყნის ძირითადი მიზანია საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების და ზრდის ახალი წყაროების მოძიება, რომელიც ისეთ არამატერიალურ აქტივებს ეფუძნება, როგორცაა: ინოვაცია, მეცნიერება და მეწარმეობა. ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებას ახალი ცოდნის გენერაცია, მისი გაფართოება, გამოყენება და ტრანსფერი სჭირდება.

ცოდნა ეკონომიკური რესურსის სპეციალური ტიპია, რაც ნიშნავს, რომ ცოდნა შეზღუდულობის პრინციპზე დაფუძნებული არ არის. სხვა ყველა რესურსი მისი გამოყენების შედეგად ამოწურვადია, ხოლო ცოდნა მისი გამოყენების საშუალებით განვითარებადი და განაწილებადია, რომელსაც შემდგომში ინოვაცია მოჰყვება. ამგვარად, ცოდნა და ტექნოლოგიები გლობალურ ეკონომიკაში კონკურენტუნარიანობის დეტერმინანტების ბირთვი ხდება (Raluca O., 2011).

გლობალიზაციის, პოლიტიკური და სოციალური წნეხის პირობებში ინოვაცია განვითარების, ეკონომიკური ზრდის და სამუშაო ადგილების შექმნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია. მისი მთავარი მიზანია კონკურენტუნარიანობის ამაღლება. უნდა აღინიშნოს, რომ ზრდადი კონცენტრაცია ცოდნის სამკუთხედზე – განათლება, კვლევა, ინოვაცია – ფაქტობრივად, ყველა სწრაფად ზრდადი და კონკურენტული ეკონომიკებისათვის საერთო მახასიათებელია.

გამომდინარე აქედან, ძალზე მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური ცვლილებების გავლენის ანალიზი საერთაშორისო ვაჭრობაზე, კერძოდ,

იმის გამოკვლევა, თუ როგორ ზემოქმედებს ტექნოლოგიური ცვლადების ვარიანტები ექსპორტის კონკურენტუნარიანობაზე.

წარმატებული ექსპორტის დეტერმინანტია ადამიანისეულ კაპიტალსა და ტექნოლოგიებში განხორციელებული ინვესტიციები, რომელიც მაღალ შრომის მწარმოებლურობას და ინოვაციური პროდუქტის დანერგვას უზრუნველყოფს (Belderbos R., 2009), (Becker S., 2007). გარდა ამისა, კვლევა-განვითარება და ინოვაციები, რომლებიც ახალი პროდუქტის დანერგვას უზრუნველყოფენ, ფირმის კონკურენტუნარიანობის დონეს ამაღლებს. ინოვაციასა და კვლევა-განვითარებას შორის კავშირი მრავალჯერ იყო ინტერპრეტირებული, როგორც ეროვნული პროდუქტის კონკურენტუნარიანობის არასაფასო ინდიკატორი (Buxton, 1991).

ემპირიული კვლევები გვიჩვენებს პოზიტივ და მოკიდებულებას მწარმოებლურობასა და ექსპორტის კონკურენტუნარიანობას შორის (Aw B. Y., 1995). (Arnold J. M., 2005) (Clerides S. K., 1998). ექსპორტის მაღალი მწარმოებლურობა ხშირად დაკავშირებულია ფირმის დონეზე ტექნოლოგიურ უპირატესობებთან, რომელიც განპირობებულია კვლევასა და განვითარებაში ინვესტიციებით, ინოვაციური პროდუქტისა და პროცესების დანერგვით.

არსებობს რამდენიმე მიზეზი იმისა, თუ რატომ ახდენენ ინოვაციები გავლენას ინტერნაციონალიზაციის პროცესზე. პირველი, პროდუქტებისა და წარმოების პროცესების ინოვაციები ფირმას ახალი ბაზრების ათვისებაში ასტიმულირებენ, რადგან ინოვაციურ საქმიანობას გაუმჯობესებული, მოდიფიცირებული ან ახალი პროდუქტები და საწარმოო პროცესები მოჰყვება, რომელმაც შეიძლება უცხოურ ბაზრებზე კონკურენტული უპირატესობა უზრუნველყოს. მეორე, ინოვაციურ ფირმას მცირე ეკონომიკებში შეუძლია, მაღალი შემოსავლი გამოიმუშავოს და ამით აინაზღაუროს მაღალი ხარჯები გაწეულ კვლევასა და განვითარებაზე, თუ მათ ინოვაციური პროდუქტის გასაყიდად ფართო გეოგრაფიული საბაზრო სივრცე ექნებათ. გაერთიანებული სამეფოს 1000-ზე მეტი სამრეწველო ფირმის შესწავლისას დადგინდა, რომ ფირმები, რომლებიც ინოვაციებს ნერგავდნენ, უფრო მეტად ექსპორტზე იყვნენ ორიენტირებულნი. გერმანული და ესპანური ფირმების მონაცემთა ბაზრების ანალიზით გამოვლინდა, რომ პროდუქტების ინოვაცია უფრო მნიშვნელოვანია უცხოურ ბაზ-

რებზე შესაღწევად, ვიდრე ფირმებისათვის საწარმოო პროცესების ინოვაცია, რომლებსაც საექსპორტო საქმიანობის მიდრეკილება გააჩნიათ. მაშინ, როდესაც პროდუქტების ინოვაცია მნიშვნელოვანია საზღვარგარეთის ბაზრებზე შესაღწევად, პროცესების ინოვაცია შეიძლება დაეხმაროს ფირმებს ექსპორტზე ორიენტირებული პოზიციების შენარჩუნებაში. პროდუქტის ინოვაციის პროცესი ასევე ზრდის ცალკეული დარგებისა და სასაქონლო ჯგუფების კონკურენტუნარიანობის დონეს. ამგვარად, ამ სფეროს მკვლევარები ინოვაციებს განიხილავენ ექსპორტის ზრდისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ძირითად ფაქტორად საერთაშორისო და გლობალურ ბაზრებზე.

განვიხილოთ ინოვაციური მდგომარეობა გლობალური კონკურენტული ანგარიშის მიხედვით საქართველოში და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ინოვაციებისა და მოწინავე ფაქტორების მიხედვით, ესტონეთი 34 ადგილზეა, მას მოჰყვება ლიტვა (44), თურქეთი (51) და ლატვია. საქართველო 118 ადგილზეა და ჩამორჩება სომხეთს (100), უკრაინას (92). ტექნოლოგიური მზადყოფნის¹ მაჩვენებლით, საქართველო 67-ე ადგილზეა და უსწრებს სომხეთს (71), უკრაინას (85) და ტაჯიკეთს (116). ინოვაციების მაჩვენებლების მიხედვით, საქართველო 121 ადგილზეა და თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანას ჩამორჩება.

უახლოესი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობით, საქართველო 89-ე ადგილზეა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ჩამორჩება ესტონეთს (27), ლიტვას (32), ლატვიას (35) აზერბეიჯანს (63).

ქვეყანაში ოპერირებადი ფირმებისათვის მწარმოებლურობის ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ტექნოლოგიების შთანთქმის შესაძლებლობა. მას შემდეგ, რაც ტექნოლოგიების იმპორტი გან-

¹ ტექნოლოგიური მზადყოფნა ავასებს ადაპტაციის სიჩქარეს, რომლითაც ეკონომიკას შეუძლია არსებული ტექნოლოგიების ადაპტაცია მისი დარგების მწარმოებლურობის გაზრდის მიზნით, სპეციფიურად ხაზი ესმევა მის შესაძლებლობას, სრულიად გამოიყენოს ტექნოლოგიური ინფორმაცია და კომუნიკაცია (ICT) ყოველდღიურ საქმიანობასა და საწარმოო პროცესში ეფექტიანობის გაზრდისათვის და ინოვაციების დანერგვის შესაძლებლობებით უზრუნველყოს კონკურენტუნარიანობა.

ხორციელდება, ქვეყანაში საჭიროა მოხდეს მათი შთანთქმა ადგილობრივი მოთხოვნებისა და სტანდარტების მიხედვით. უცხოური ტექნოლოგიების დახვეწა შეიძლება წარმოების ნედლეულთან და სხვა კომპონენტებთან დაკავშირებული სხვადასხვა პარამეტრის გათვლისწინებით, რომელსაც ფირმა იყენებს წარმოების პროცესში, ხარისხის სტანდარტებთან, სოციალურ ასპექტებთან, როგორცაა გარემოს დაბინძურება, დასაქმება და სხვა. ზოგიერთი ქვეყანა მისთვის დამახასიათებელ კვლევისა და განვითარების კომპეტენციებს ანვითარებს. ტექნოლოგიების შთანთქმის კონცეფცია ქვეყნებისა და ფირმების მიხედვით განსხვავდება.

ფირმის დონეზე ტექნოლოგიების შთანთქმის მიხედვით, საქართველო 103-ე ადგილზეა და ამ მაჩვენებლით მხოლოდ სომხეთსა და ტაჯიკეთს უსწრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში არსებული ფირმები სრულად ვერ იყენებენ ტექნოლოგიებს, რომელიც კონკურენტული უპირატესობის ამაღლებას უზრუნველყოფს.

მულტინაციონალური საწარმოები, რომლებიც გლობალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) განხორციელებაში დომინირებენ, ასევე ინოვაციების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ. ინოვაციები კი, ხშირ შემთხვევაში, ძირითადი კონკურენტული ფაქტორია, რომელიც მათ საშუალებას აძლევს, მულტინაციონალური გახდეს. როგორც ძირითადი ინოვატორები, მულტინაციონალური საწარმოები საერთაშორისო ტექნოლოგიების ტრანსფერის მნიშვნელოვანი წყაროა. მიუხედავად იმისა, რომ პუი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ქვეყანაში ტექნოლოგიების გადაცემის კუთხით, მისი როლი ჯერ ისევ არაა დამაკმაყოფილებელია, რაც ასახულია გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშში ისეთი მაჩვენებლით, როგორცაა პუი და ტექნოლოგიების ტრანსფერტი.

მოცემული მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო 113-ე ადგილზეა და ჩამორჩება შემდეგ ქვეყნებს: ლიტვა (7), ესტონეთი (34), ლატვია (44), აზერბეიჯანი (63), სომხეთი (79), ტაჯიკეთი (101), ყაზახეთი (107) და უსწრებს უკრაინას (127) და რუსეთის ფედერაციას (128).

ინოვაციებს შეიძლება ახლდეს როგორც ტექნოლოგიური, ასევე არატექნოლოგიური ცოდნა. არატექნოლოგიური ინოვაციები დაკავშირებულია ნოუ-ჰაუსთან, უნარებსა და სამუშაო პირობებთან, რომელიც ორგა-

ნიზაციის საქმიანობაზე აისახება. გრძელვადიან პერიოდში ცხოვრების დონის ზრდა შეიძლება გამოწვეული იყოს ტექნოლოგიური ინოვაციებით. მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად განვითარებული ქვეყნები ცდილობენ მწარმოებლურობის ამალლებას არსებული პროდუქტების ადაპტირებით ან თანმიმდევრული გაუმჯობესებით იმ სფეროებში, რომლებმაც მიაღწიეს განვითარების ინოვაციურ სტადიას, ეს კიდევ არასაკმარისია მწარმოებლურობის ზრდისათვის¹. ამ ქვეყნებში ფირმებმა უნდა შეიმუშავონ და განავითარონ მოწინავე პროდუქტები და პროცესები კონკურენტული უპირატესობის შესანარჩუნებლად და მაღალი დამატებული ღირებულების შესაქმნელად და გადასაადგილებლად. ეს პროცესი ინოვაციური საქმიანობისათვის ხელსაყრელ გარემოს და მხარდაჭერას მოითხოვს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის მხრიდან. ეს გულისხმობს: საკმარის ინვესტიციებს კვლევასა და განვითარებაზე, განსაკუთრებით კერძო სექტორის მიერ; მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების არსებობას, რომელიც გამოიმუშავებს ფუნდამენტურ ცოდნას საჭირო ახალი ტექნოლოგიების შესაქმნელად; ექსტენსიურ თანამშრომლობას კვლევასა და ტექნოლოგიურ განვითარებაში უნივერსიტეტებსა და დარგებს შორის; ინტელექტუალური საკუთრების დაცვას. გარდა ამისა, მაღალი დონის კონკურენცია, წვდომა ვენჩურული კაპიტალისადმი, ინოვაციური საქმიანობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორებია. ინოვაციური შესაძლებლობების მიხედვით, (Capacity for innovation) საქართველო 110-ე ადგილზეა და ჩამორჩება: ესტონეთს (31), ლიტვას (38), აზერბეიჯანს (43), ტაჯიკეთს (62), რუსეთის ფედერაციას (66), ყაზახეთს (69), ლატვიას (81), უკრაინას (82), სომხეთს (98). სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ხარისხის მიხედვით, საქართველო 119 ადგილზეა და ჩამორჩება ზემოთ მოტანილ ყველა ქვეყანას, რაც ნიშნავს იმას, რომ, ფაქტობრივად, არ გააჩნიათ კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოების ფაქტორების შექმნას და მათ მუდმივ მოდერნიზებას.

¹ გლობალურ კონკრენტუნარიანობის ინდექსი, გვ. 8.

ცხრილი 6.2 გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი

ქვეყანა	ტექნოლოგიური მზადყოფნა	უახლოესი ტექნოლოგიების ადმი წვდომა	ვირმის დონეზე ტექნოლოგიების შთანთქმა	პუი და ტექნოლოგიების ტრანსფერი	ინდივიდები რომლებიც იყენებენ ინტერნეტს (%)
ლიტვა	5,4	5,7	5,4	5,5	68,6
ესტონეთი	5,3	5,8	5,4	5	80
ლატვია	5,1	5,7	5	4,8	75,2
თურქმენეთი	4,3	5,3	5,2	5,1	46,3
აზერბაიჯანი	4,3	5	4,7	4,7	58,7
რუსეთის ფედერაცია	4,2	4,2	4,2	3,8	61,4
ყაზახეთი	4,2	4,4	4,4	4,1	54
საქართველო	3,8	4,5	4,2	3,9	43,1
სასომხეთი	3,7	4,4	4,1	4,5	46,3
უკრაინა	3,5	4,1	4,2	3,7	41,8
ტაჯიკეთი	2,8	4,1	4	4,2	16

ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობისთვის ასევე მნიშვნელოვანია უნივერსიტეტებსა და დარგებს შორის თანამშრომლობა კვლევასა და განვითარებაში. უნივერსიტეტები განსაკუთრებით მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში ახალი ცოდნის მნიშვნელოვანი წყაროა. ამ მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო 128-ე ადგილზეა და ასევე ჩამორჩება ცხრილში მოტანილ ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანას და თურქეთს. ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში უნივერსიტეტებსა და ბიზნეს შორის თანამშრომლობის რაიმე ფორმა არ არსებობს, რომელთა ერთობლივი საქმიანობა ინოვაციური პროცესების რეალიზებას წაახალისებდა.

მაღზე საყურადღებოა ინდექსი, რომელიც ქვეყანაში არსებული მეცნიერებისა და ინჟინრების რაოდენობას ასახავს. ამ მაჩვენებლით საქართველო 122 ადგილზეა და თითქმის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს და თურქეთს ჩამორჩება.

ინოვაციური გარემოს საბოლოო მაჩვენებელი, გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით, არის ხელშეკრულება საპატენტო თანამშრომლობის შესახებ, რომელიც გულისხმობს საპატენტო დაცვის შესაძლებლობას გამოგონებაზე და ექსკლუზიური უფლების მიღებას

ერთდროულად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ერთი საერთაშორისო საპატენტო განაცხადის შევსებით, სხვადასხვა ცალკეული ეროვნული ან რეგიონალური საპატენტო აპლიკაციის შევსების ნაცვლად. მიუხედავად იმისა, რომ საპატენტო სამართალი გამოგონების ნორმატიულ მკაფიო განმარტებას არ იძლევა, ზოგადი მოსაზრებებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გამოგონება იმ ტექნიკური პრობლემის ახლებური გადაწყვეტის იდეაა, რომელიც შეიძლება პროდუქტს ან პროდუქტის მიღების ტექნოლოგიას ეხებოდეს¹. ამ მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო 65-ადგილზეა და ისეთ ქვეყნებს უსწრებს, როგორცაა ყაზახეთი (70), აზერბაიჯანი (75) და ტაჯიკეთი (124). თუმცა, ჩამორჩება ესტონეთს (27), ლატვიას (37), რუსეთის ფედერაციას (41), ლიტვას (47), უკრაინას (52), სომხეთს (53).

მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 2011 წელს პატენტის განმცხადებლების რაოდენობა იყო 138, 2012 წელს – 139, ხოლო 2013 წელს – 114 (ცხრილი 6.3).

ცხრილი 6.3 საპატენტო განაცხადი, რეზიდენტები²

ქვეყანა	2011	2012	2013
საქართველო	138	139	114
უკრაინა	2649	2491	2856
ესტონეთი	62	20	25
სომხეთი	121	137	125
ლატვია	173	193	225
რუსეთის ფედერაცია	26495	28701	28765
ლიტვა	93	109	117
აზერბაიჯანი	193	144	156
ტაჯიკეთი	4	3	2
ყაზახეთი	1415		1824

¹ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი.
http://www.sakpatenti.org.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=190#2

² The World Bank. Patent applications, residents.
<http://data.worldbank.org/indicator/IP.PAT.RESD/countries?display=default>
<http://databank.worldbank.org/data/databases.aspx>

უზბეკეთი	282	257	299
თურქმენეთი	-	-	-
ყირგიზეთი	124	110	111
თურქეთი	3885	4434	4392

ახლა კი განვიხილოთ ამ ფაქტორების დამოკიდებულების გავლენა საექსპორტო საქმიანობაზე. გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში ექსპორტის წილი მშპ-ში 36,3%-ია. ამ მაჩვენებლით ის უსწრებს რუსეთის ფედერაციას, თურქმენეთს, ტაჯიკეთს და სომხეთს. ცხრილში მოცემული ქვეყნების ანალიზისას, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსების მიხედვით, იკვეთება კავშირი მშპ-ში ექსპორტის წილსა და ქვემოთ ჩამოთვლილ შემდეგ მაჩვენებლებს შორის (იხ. ცხრილი 6.6):

- ტექნოლოგიურ მზადყოფნა (კორელაციის კოეფიციენტი -0,8);
- უახლოესი ტექნოლოგიებისადმი მზადყოფნა (კორელაციის კოეფიციენტი -0,8);
- ინოვაციები და მოწინავე ფაქტორები (კორელაციის კოეფიციენტი 0,7);
- უახლოესი ტექნოლოგიებისადმი წვდომა (კორელაციის კოეფიციენტი 0,7);
- ფირმის დონეზე ტექნოლოგიების შთანთქმა (კორელაციის კოეფიციენტი 0,7);
- ინოვაციების შესაძლებლობა (კორელაციის კოეფიციენტი 0,7);
- სამეცნიეროდკვლევითი ინსტიტუტების არსებობა (კორელაციის კოეფიციენტი 0,8);
- კომპანიის ხარჯები კვლევასა და განვითარებაში (კორელაციის კოეფიციენტი 0,65);
- უნივერსიტეტისა და ბიზნესის თანამშრომლობა კვლევასა და განვითარებაში (კორელაციის კოეფიციენტი 0,75);
- პატენტის განმცხადებლების რაოდენობა (კორელაციის კოეფიციენტი 0,67);

მშპ-ში ექსპორტის წილთან სუსტ კორელაციურ კავშირში იმყოფება შემდეგი მაჩვენებლები:

- პუი და ტექნოლოგიური ტრანსფერი;
- მოწინავე ტექნოლოგიების სახელმწიფო შესყიდვები;

ცხრილი 6. 4 გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი

ქვეყანა	ინოვაცია	ინსაფორმაციული ტექნოლოგიები	სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი	კომპანიების ხარჯები კვლევასა და განვითარებაში	უნივერსიტეტების და მრეწველობის თანამშრომლობა R&D-ში	მოწინავე ტენოლოგიების სექტორები	მენეჯერებისა და ინჟინერების ბელმინსაფორმობა	PCT patents, applications/million pop
ლიტვა	3,6	4,3	4,8	3,1	4,6	3,1	4,1	6,1
ესტონეთი	4	4,5	5	3,6	4,4	4,2	3,5	32,7
ლატვია	3,3	3,6	4,2	3,1	3,7	3,2	3,5	9,2
თურქმენეთი	3,4	3,7	3,9	2,9	3,7	4,2	4,2	6,8
აზერბაიჯანი	3,3	4,1	3,4	3,2	3,2	4,2	4,2	0,6
რუსეთის ფედერაცია	3,8	4	3,2	3,2	3,6	3,3	4,1	7,1
ყაზახეთი	3,1	3,7	3,2	3,1	3,3	3,4	3,9	1
საქართველო	2,7	3,3	2,8	2,4	2,6	3,5	3,2	1,3
სომხეთი	3	3,5	3,1	2,8	3,1	2,9	4,9	3,1
უკრაინა	3,2	3,6	3,8	3,1	3,5	2,9	4,3	3,2
ტაჯიკეთი	3,2	3,8	3,4	2,8	3,3	3,9	3,7	0

ცხრილი 6.5 გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, 2015 წ.

ქვეყანა	ბაზრის ზომა	ექსპორტის წილი მშპ-ში	უცხოური ბაზრის ზომა
ლიტვა	3,6	83,3	4,6
ესტონეთი	3,1	89,9	4,2
ლატვია	3,2	62,3	4,1
თურქმენეთი	5,3	23,6	5,5
აზერბაიჯანი	3,7	48,5	4,6
რუსეთის ფედერაცია	5,8	27,8	6,1
ყაზახეთი	4,3	39,6	4,9
საქართველო	3,00	36,3	3,6
სომხეთი	2,8	21,9	3,2
უკრაინა	4,60	46,4	5,2
ტაჯიკეთი	2,8	23,5	3,2

მოცემული ანალიზი გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ ქვეყნებში პუი ტექნოლოგიების ტრანსფერში ნაკლებად მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რაც ექსპორტის სტიმულირებას ხელს უწყობს. ეს განპირობებულია იმით, რომ საქართველოში და პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობაში პუი-ის ძირითად მოტივაციას ბაზრისგან ბუნებრივი რესურსების ძიება წარმოადგენს.

ამ ტიპის ინვესტიციები ნაკლებადაა მიმართული უცხოურ ბაზარზე, რადგან ის, ძირითადად, ქვეყნის შიგნით საბაზრო სივრცეზეა ორიენტირებული. ამის გამო მნიშვნელოვანი შედეგები არაა მოსალოდნელი. უფრო მეტიც, გრძელვადიან პერიოდში მიმდები ქვეყნის საგადასახდელი ბალანსი, სავარაუდოდ, გაუარესდება ფონდების რეპატრიაციით, რადგან ბაზრის მამიებელი პუი ხშირად საექსპორტო შემოსავლების ზრდას არ განაპირობებს.

რესურსების მამიებელი პუი-ის შემთხვევაში, ინვესტიციები ხშირად კონცენტრირებულია ანკლავებში, სადაც უცხოური ფილიალები დომინირებს, რომლებსაც ადგილობრივ წარმოებასთან ან შრომის ბაზრებთან

სუსტი კავშირი აქვთ და ამის გამო, ცოდნის გადაცემის დონე შეიძლება ასევე, დაბალი იყოს.

ცხრილი 6.6 კორელაციური მატრიცა

	ექსპორტის წილი მშპ-ში %-ში
ექსპორტის წილი მშპ-ში %-ში	1
ინოვაციები და მოწინავე ფაქტორები	0,672865708
ტექნოლოგიებისადმი მზადყოფნა	0,809607265
უახლოესი ტექნოლოგიებისადმი წვდომა	0,759839021
ტექნოლოგიების შთანთქმა ფირმის დონეზე	0,746994043
პუი და ტექნოლოგიური ტრანსფერი	0,561781208
ინოვაცია	0,542321626
შესაძლებლობები ინოვაციისათვის	0,678791712
სამეცნიერო- კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი	0,84896466
კომპანიის ხარჯები კვლევასა და განვითარებაზე	0,629630746
უნივერსიტეტისა და მრეწველობის თანამშრომლობა კვლევასა და განვითარებაში	0,748532153
მოწინავე ტექნოლოგიების პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვები	0,053792773
მეცნიერებისა და ინჟინრების არსებობა	-0,345239686
პატენტების განმცხადებლების რაოდენობა	0,665753286

დასკვნა

ინოვაციებსა და ექსპორტის კონკურენტუნარიანობას შორის კავშირის ორ მოდელს განასხვავებენ. პირველი, როდესაც ფირმა ჩართულია კვლევისა და განვითარების პროცესში, ინოვაციურ პროდუქტს ქმნის, რომელსაც საუკეთესო სამომხმარებლო თვისებები გააჩნია და კონკურენტუნარიანია შიდა ბაზარზე, განსხვავებული პროდუქტით გადის საგარეო ბაზრებზე. მეორე, როდესაც ფირმა ინტერნაციონალიზაციის პრო-

ცესში ერთვება და შედეგად იღებს ცოდნასა და გამოცდილებას კონკრეტული ბაზრების შესახებ და კონკურენტული უპირატესობის ამაღლების და საგარეო ბაზრებზე მოთხოვნებისა და სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით, ერთვება კვლევისა და განვითარების პროცესში ინოვაციური პროდუქტის შესამუშავებლად და წარმოების პროცესის გასაუმჯობესებლად.

ექსპორტის კონკურენტუნარიანობის ამაღლება ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის საწყისი ეტაპია საერთაშორისო ბაზრების გაფართოების კუთხით. მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, როგორც საქართველო, საექსპორტო საქონლისა და მომსახურების მოცულობის ზრდა და საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული სივრცის გაფართოება მნიშვნელოვანია მისი ეკონომიკის მდგრადი განვითარებისა და მუდმივი ზრდისთვის.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ქვეყნებში, რომლებიც ინოვაციებისა და ინოვაციური მზადყოფნის მაჩვენებლების მიხედვით მოწინავე ადგილზეა, მაღალია ექსპორტის წილი მშპ-ში. პოსტსაბჭოთა ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ინდექსების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მშპ-ში ექსპორტის წილთან იმყოფება შემდეგი მაჩვენებლები: ტექნოლოგიური მზადყოფნა, უახლოესი ტექნოლოგიებისადმი მზადყოფნა; ინოვაციები და მოწინავე ფაქტორები; უახლოესი ტექნოლოგიებისადმი წვდომა; ფირმის დონეზე ტექნოლოგიების შთანთქმა; ინოვაციების შესაძლებლობა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების არსებობა; კომპანიის ხარჯები კვლევა-განვითარებაში; უნივერსიტეტისა და ბიზნესის თანამშრომლობა კვლევასა და განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Arnold J. M., H. K. (2005).** Export behavior and firm productivity in German manufacturing. *Weltwirtschaftliches Archiv*, 141 (2), pp. 219–243.
2. **Aw B. Y., H. A. (1995).** Productivity in the Export Market: a Firm Level Analysis. *Journal of Development*, pp. 313–32.
3. **Becker S., E. P. (2007).** Endogenous Product Versus Process Innovation and a Firm's Propensity to Export. *CESIFO*.

4. **Becker, S. e. (2007).** Endogenous Product Versus Process Innovation and a Firm's Propensity to Export. . CESIFO Working Paper No. 1906.
5. **Belderbos R., D. F. (2009).** Innovation and Export Competitiveness: Evidence from Flemish Firms. Katholieke Universiteit Leuven. Leuven: Steunpunt Ondernemen en Internationaal Ondernemen.
6. **Buxton, T. M. (1991).** UK Trade Performance and R&D. Economics of Innovation and New Technology. გვ. pp. 243–256.
7. **Cassiman, B. e.-R. (2007).** Product innovation and exports: evidence from Spanish manufacturing . IESE working paper. Mimeo.
8. **Clerides S. K., L. S. (1998).** Is Learning by Exporting Important Microdynamic Evidence from Colombia, Mexico, and Morocco. Quarterly Journal of Economics, 113(3), pp. 903-947.
9. **Grossman, G. a. (1991a).** Trade, knowledge spillovers, and growth. European Economic Review(35), 517-526.
10. **Grossman, G. a. (1991a).** Trade, knowledge spillovers, and growth. European Economic Review, pp. 517-26.
11. **K., S. (2011).** The Global Competitiveness Report. World Economic Forum. Geneva.
12. **Kobrin, S. (1991).** An empirical analysis of the determinants of global integration. Strategic Management Journal, 12, pp. 17-37.
13. **Melitz, M. (2003).** he impact of trade on intra-industry reallocations and aggregate industry productivity,. Econometrica,, 71, 1695-1725.
14. **MESDG. (თ. გ.),** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. 2015, [http://www.economy.ge/:](http://www.economy.ge/)
http://www.economy.ge/uploads/files/sagareo_vachroba/tavi-XXVIII.pdf-დან.
15. Metcalfe, S. (1997). Technology systems and technology policy in an evolutionary framework. Cambridge University Press.
16. **Nelson, R. (1993).** National Innovation Systems: A Comparative Analysis,. Oxford University Press.
17. **Pillania R. K. (2009).** Competitiveness and emerging markets. Business Strategy Series, Vol. 10 Iss: 2, გვ. pp. 90–95.
18. **Posner, M. V. (1961).** International Trade and Technical Change. Oxford Economic Papers, 323–341.

19. **Raluca O. (2011).** The journey to competitiveness: EU speeding up on the road paved with knowledge and innovation. Economic Science Series, Vol. 20 I(issue 1), გვ. pp.118–124.
20. **Schwab K. (2012).** The Global Competitiveness Report. World Economic Forum. Geneva.
21. **Tidd, J. &. (2009).** Managing Innovation, Integrating Technological, Market and Organizational Change. pp. 24–25.
22. **Vernon, R. (1966).** International Investment and International Trade in the Product Cycle. Quarterly Review of Economics, გვ. 190–207.
23. **Vernon, R. (1996).** International investment and international trade in the product cycle. Quarterly Journal of Economics, 80, 190-207.
24. **Wakelin, K. (1998).** Innovation and export behaviour at the firm level. Research Policy, 26, pp. 829-41.
25. **საქსტატი. (2015).** საგარეო ვაჭრობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური:
http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=136&lang=geo-დან

თავი 7.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ტექნოლოგიური ტრანსფერი

ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს ფორმირება-განვითარებაში უდიდესია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი, რომლის მოცულობა თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში სწრაფი ტემპით იზრდება. შეიძლება ითქვას, რომ საგარეო ვაჭრობასთან ერთად, ინვესტიციები მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციის ყველაზე ძლიერ მამოძრავებელ ინდიკატორს წარმოადგენს.

ლ. კოლენი, მ. მარტენსი და ჯ. სვინერი აღნიშნავენ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებსა და ადამიანურ განვითარებას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია. ცნობილი შვედი ეკონომისტი მ. ბლომსტორმი [1. Blomstrom & Kokko, 1998] ამტკიცებს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განსაკუთრებით სასარგებლოა განვითარებადი ქვეყნებისთვის. მათ უჩნდებათ შესაძლებლობა, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციით წარმოჩნდნენ.

კოპურია-ფორემანის [2. Kapuria-Foreman, 2009] აზრით, ქვეყნის საინვესტიციო მომხიბვლელობას და ინვესტიციების ოდენობის ზრდას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის აღსანიშნავია: კერძო საკუთრების დაცვა, სამთავრობო ჩარევის შემცირება და კაპიტალის შემოდინებისთვის ბარიერების მოხსნა (აღნიშნულ პუნქტს ჩვენ ვეწინააღმდეგებით, რადგანაც არც საქართველოსთვის და არც მსოფლიოს სხვა ქვეყნისთვის არ შეიძლება, მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ნებისმიერი კაპიტალის“ მოზიდვა, პირიქით, „ინვესტიციურმა სიხარბემ“ მომავალში, შესაძლოა, უფრო მეტ ნეგატივთან მიგვიყვანოს, ვიდრე პოზიტივთან. მაგ.: კომპანია „ტრამექსი“ შემთხვევა საქართველოში).¹

¹ კომპანია „ტრამექსი“ საქართველოში 1991 წელს დაარსდა და ნავთობისა და გაზის გადამამუშავების ექსკლუზიური უფლება მოიპოვა. თუმცა, 1996 წელს, ედუარდ შევარდნაძის განკარგულებით, „ნავთობისა და გაზის კორპო-

1997-2010 წლებზე დაკვირვებით, თურქმა ეკონომისტებმა, გურსოიმი და ქალიონჩუმ [3. Gursoy F., Kalyoncu H, 2012] საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდას შორის კავშირი გამოიკვლიეს და დაადგინეს, რომ, სხვა განვითარებადი ქვეყნების მსგავსად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება და მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდა საქართველოშიც მჭიდრო კავშირშია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებასა და მთლიან შიგა პროდუქტს შორის უკუკავშირის ახსნას ცდილობდნენ პრაკაშ ლუნგანი და ასაფ რაზინი [4. Loungani P., Razin A, 2011], კერძოდ:

1. პირველ რიგში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით ტექნოლოგიები შემოედინება, ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციის გამძაფრების გზით საქონლის ხარისხი იზრდება (თუმცა, შესაძლოა, ადგილობრივი მცირე მეწარმეები დაზარალდნენ);

2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს თან სდევს ახალი მიდგომები ორგანიზაციისა და კადრების მართვაში, რაც ამაღლებს ადგილობრივი სამუშაო ძალის კვალიფიკაციასა და გამოცდილებას;

3. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციების ზრდით გამოწვეული (კორპორაციული) მოგების ზრდა ქვეყანაში საგადასახადო შემოსავლების ზრდასაც იწვევს (თუმცა, არა მაშინ, როდესაც ტნკ-ები მცირე ბიზნესის „განადგურებით“ იკავებენ ბაზარზე მათ კუთვნილ ადგილს).

ჩვენი აზრით, მიუხედავად აშკარა დადებითი შედეგებისა, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ნეგატიური შედეგების მოტანაც შეუძლია, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, მაგალითად, მსხვილი ინვესტიციის ხარჯზე მცირე და საშუალო ბიზნესის დაზარალება. თუმცა, ბაზრის სიცარიელიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე საქართველოს ასეთი საშიშროება არ ემუქრება და არც მომავალ ათწლეულშია მოსალოდნელი.

რაციის“ შექმნის შემდგომ, „ტრამექსს“ ეს უფლება ჩამოერთვა. ამის შემდეგ „ტრამექსმა“, დაკარგული უფლებების აღდგენის მოთხოვნით, საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართა. ბიზნესმენებმა პროცესი მოიგეს და საქართველოს მთავრობას მათთვის 98 მლნ დოლარის გადახდა დაეკისრა. საერთაშორისო სკანდალში კი ეს საქმე მას შემდეგ გადაიზარდა, რაც საქართველოს მთავრობამ ებრაელი ბიზნესმენები ქართველი მაღალჩინოსნებისთვის 7 მლნ დოლარის ქრთამის შეთავაზებაში დაადანაშაულა და დააპატიმრა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ინვესტიციებიდან მიღებულ დადებით ეფექტებს შორის ყველაზე თვალსაჩინო ელემენტებად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემდეგი თანმდევი დადებითი ეფექტები შეგვიძლია მივიჩნიოთ: ტექნოლოგიური გადაიარაღება (მათ შორის ნოუ-ჰაუ-ს გამოყენება); დასაქმების დონის ამაღლება; ეკონომიკური ზრდა; ადგილობრივი მონოპოლიების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოსპობა; საქონლისა და მომსახურების შედარებით ფართო არჩევანი და ა.შ.

საქართველოს მაგალითზე რთულია კონკრეტული საუბარი (სტატისტიკის უქონლობის გამო) იმაზე, თუ რამდენად გაიზარდა ტექნოლოგიური და ინოვაციური სფერო, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის, ინოვაციების მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო მხოლოდ 126-ე ადგილზეა გამოკვლეულ 148 ქვეყანას შორის (2013 წ.). თუმცა, შეიძლება აღინიშნოს, რომ ისეთი დარგი, როგორცაა სატელეკომუნიკაციო სფერო, სწორედ ტექნოლოგიურ სიახლეებზეა დაფუძნებული და საკმაოდ წარმატებულია. მიუხედავად ამისა, ყოველწლიური შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურაში ის მაინც უმნიშვნელო ადგილს იკავებს.

აღსანიშნავია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების მოტივებიდან და შესაძლო შედეგებიდან გამომდინარე, მეცნიერები პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის დამახასიათებელ ორი ტიპის ეფექტს გამოყოფენ. კერძოდ, შემთხვევას, როდესაც ინვესტიციის განხორციელების შემდგომ ადგილობრივ კადრებს ქირაობენ და მათ ახალი ტექნოლოგიების, მარკეტინგული ტექნიკისა და ა.შ. გამოყენებას ასწავლიან – ჰორიზონტალური გადადენის ეფექტი ეწოდება (Horizontal Spillover Effects). ამ ეფექტის მიღება, როგორც წესი, ბენეფიციარი ქვეყნის მთავრობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, თუმცა, ჰორიზონტალური გადადენის ეფექტი, შესაძლებელია, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითიც იყოს [5. Konings, J, 1999]. კონინგის მიერ ბულგარეთში, რუმინეთსა და პოლონეთში ჩატარებულ კვლევებში ნათლად ჩანს, რომ თუ პირველი ორი ქვეყნისათვის ინვესტიციების მოზიდვამ დადებითი ჰორიზონტალური ეფექტი მოიტანა, პოლონეთისთვის მას უკუშედეგიც კი ჰქონდა. კერძოდ, ადგილობრივი კომპანიების დახმარებისა და ტექნოლოგიური დიფუზიის ნაცვლად, წარმოიშვა უმკაცრესი კონკურენცია, რომლის სა-

ფუძველზეც ბაზარზე მხოლოდ უძლიერესები, როგორც წესი, მსხვილი კომპანიები რჩებოდნენ.

ჰორიზონტალური გადადენისგან განსხვავებით, ვერტიკალური გადადენის ეფექტი (Vertical Spillover Effects) უცხოელი ინვესტორების მხრიდან ადგილობრივებისთვის უპირატესობის გაზიარებას კი არ გულისხმობს, არამედ იგი ეკონომიკის ერთი დარგის განვითარებით სხვა დარგების განვითარების წახალისებას მოიაზრებს.

ჯავორჩიკის [6. Javorcik, B. S, 2004] მიერ ლიტვაში განხორციელებული კვლევის თანახმად, 1996-2000 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნის მწარმოებლურობის 85 პროცენტს 20-ზე მეტ სექტორში ფარავდა. მისი დაკვირვებით, სამშენებლო სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 4%-იან ზრდას მისი 15%-იანი ზრდა მოჰყვა მომარაგების სექტორში. იმავე კვლევის თანახმად, თუ უცხოური კომპანიები ადგილობრივ ბაზარზე შემოდიან არა ადგილობრივი კომპანიების გავლით, არამედ თავად ქმნიან კონკურენტუნარიან საწარმოებს, დიდი ალბათობით ვერტიკალური გადადენის ეფექტი ვეღარ მიიღწევა და, პირიქით, შედეგად მივიღებთ ნეგატიურ ეფექტს, რომლის გამოც ადგილობრივი კომპანიები არათუ იხიერებენ, არამედ იზარალებენ კიდევ.

ამიტომ, ადგილობრივი ბაზრის და ფირმების განვითარებისათვის კარგი იქნება, თუ ისინი უცხოური გიგანტების სუბკონტრაქტორ ფირმებად ჩამოყალიბდებიან და არა მათ კონკურენტებად.

მთლიანობაში კი, შესაძლოა ითქვას, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს საქართველოსთვის და მისი ეკონომიკის სხვადასხვა დარგებისთვის მრავალი დადებითი ეფექტის მოტანა შეუძლია, როგორც პირდაპირი (ვერტიკალური გადადენის ეფექტი), ასევე არაპირდაპირი (ჰორიზონტალური გადადენის ეფექტი) გზით, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც საქართველოში არსებული ადგილობრივი ფინანსური რესურსები, სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ უმკლავდება ადგილობრივი საინვესტიციო „მოთხოვნილებების და საჭიროებების“ დაკმაყოფილებას.

საქართველოსა და აგრეთვე საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მნიშვნელოვანი ოდენობით უცხოური ინვესტიციების მოზიდვას მრავალი მაჩვენებელი განაპირობებს. საქართველოს მაგალითზე ნეგატიურ ფაქტორებში შეგვიძლია განვიხილოთ

მისი ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა [7. Anguridze O., 2015]; მცირე სამომხმარებლო ბაზარი; სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიკაცია (მიუხედავად წერა-კითხვის და დიპლომიანთა თითქმის ასპროცენტთან მაჩვენებლისა მოსახლეობის ერთ სულზე); ქვეყანაში ორი კონფლიქტური რეგიონია და ამ ტერიტორიებზე შეუძლებელია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება [8. Papava V., 2015]; დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდანვე დაუმარცხებელია პოლიტიკური არასტაბილურობა და მრავალი სხვა [9. ჭარაია ვ. (ა), 2014] [10. Charaia V., (a) 2016] [11. Charaia V., 2016 (b)]. თუმცა, არსებობს პოზიტიური მხარეებიც, როგორცაა: საკანონმდებლო ბაზრის მუდმივი გაუმჯობესება; ეკონომიკის ლიბერალიზება (მე-16 ადგილი 2014 წლის ეკონომიკის თავისუფლების ინდექსის მიხედვით, 152 ქვეყანას შორის), ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა ევროკავშირთან, საქართველოს ადგილმდებარეობის უპირატესობა და სხვა [12. Charaia V., (a) 2014] [13. Charaia V., (b) 2014].

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ჭრილში საქართველო მიმზიდველ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება. თუმცა, ჯერჯერობით, უცხოელი ინვესტორები საქართველოში მაინც იაფი სამუშაო ძალის გამოყენებით, ადგილობრივი ბაზრის ათვისებით არიან დაკავებულნი და ნაკლებად უწყობენ ხელს მაღალტექნოლოგიური, ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარებას [14. ჭარაია ვ. (ბ)]. აქვე უნდა ითქვას, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ხშირ შემთხვევაში, არა მიმდები ქვეყნის მაჩვენებლების უპირატესობებზე, არამედ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ექსპორტიორ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზეა დამოკიდებული, აგრეთვე – ისეთ გლობალურ მოვლენებზეც, როგორცაა მსოფლიო ფინანსური კრიზისი ან პირიქით, მსოფლიო ეკონომიკური ბუმი [15. პაპავა ვ., 2009] [16. მესხია ი., 2009] [17. ხადური ნ., 2009].

საინტერესოა, რომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის დარგებს შორის პერსპექტიულია: ენერგეტიკა; ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა; უძრავი ქონებისა და სამშენებლო ბაზრები, აგრეთვე, დამამუშავებელი მრეწველობა. სხვა სფეროებში ინვესტორთა დაინტერესება საკმაოდ დაბალია, მაგალითად: საქართველოს მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის მიმართულების ერთ-ერთ პრიორიტე-

ტად გამოცხადების მიუხედავად, ინვესტიციები ამ სფეროში მიზერულია და მთლიანი ინვესტიციების 3%-ს არ აღემატება. იგივე მდგომარეობა თანამედროვე ტექნოლოგიების კუთხითაც.

აღსანიშნავია, რომ დღეისთვის ქართულ-უცხოური წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ორგანიზაციების ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 50%-ს აღემატება, რაც იმას ნიშნავს, რომ უცხოური ინვესტიციები ქართული ექსპორტის ფორმირებაში აქტიურ როლს ასრულებენ. თუმცა, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ეს ძირითადად დაბალტექნოლოგიური დარგების ექსპლუატირების ხარჯზე ხორციელდება. ქართული ეკონომიკის თვისობრივად ახალ დონეზე გადასაყვანად და მისი ექსპორტის, როგორც აბსოლუტურ, ასევე, სტრუქტურულ ჭრილში გასაუმჯობესებლად, საჭიროა გეზის აღება ისეთ მიმართულებაზე, როგორცაა თანამედროვე ტექნოლოგიები, რომელიც, თავის მხრივ, განათლებაში (პროფესიული და ტექნოლოგიური ცენტრები; საშუალო და უმაღლესი განათლება) მნიშვნელოვანი რესურსების დაბანდების გარეშე წარმოუდგენელია.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 1996 წლიდან 2015 წლის მეორე კვარტლის ჩათვლით, საქართველოში შემოსულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა \$13.5 მლრდ-ს მიაღწია, რომლის 42% ევროკავშირის ქვეყნებიდანაა შემოდინებული. შესაბამისად, ასოცირების ხელშეკრულების ამოქმედების შედეგად, ევროკავშირიდან ინვესტიციათა ახალი ტალღა მოსალოდნელია, რაც, ერთი მხრივ, უდავოდ მისასაღმებელი ფაქტია, თუმცა, მეორე მხრივ, ზრდის ქვეყნის დამოკიდებულებას ერთ კონკრეტულ რეგიონზე და ევროკავშირზე, რაც ამ რეგიონში მოსალოდნელი ეკონომიკური სირთულეების შემთხვევაში, საქართველოში შემოდინებული (შემოსული) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მასშტაბზეც აუცილებლად აისახება.

მიუხედავად იმისა, რომელიმე ქვეყანას (საუბარია განვითარებად ქვეყნებზე), კონკრეტულ მომენტში, გარკვეული ფინანსური დახმარება და პროექტი (პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით) სჭირდება თუ არა, როგორც წესი, ისინი ადვილად თანხმდებიან სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისა თუ ბიზნესმენების წინადადებებს, რადგანაც ამ ფულად სახსრებს, „პაკეტში“, როგორც წესი, თავად ფულად რესურსზე

ბევრად მნიშვნელოვანი მატერიალური და არამატერიალური აქტივები მოჰყვება, კერძოდ: ცოდნა და თანამედროვე ტექნოლოგიები.

საერთაშორისო ორგანიზაციებზე უფრო ხშირად ტექნოლოგიურ სი-ახლეებს ამა თუ იმ ქვეყანაში – ტრანსნაციონალური კორპორაციები ნერ-გავენ, რომლებიც, ამავე დროს, განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმპორტიორები არიან. მათ შესწევთ უნარი და შესაძლებლობა, ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციების, აგრეთვე მაღალკვალიფიციური კადრებისა და საერთა-შორისო ბაზრებზე გამყარებული პოზიციების ხარჯზე გაზარდონ მწარ-მოებლურობა და წაახალისონ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა.


საქართველოში შემოდინებული და საქართველოდან გადინებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ჯერ კიდევ ინვესტიციების ნეტო იმ-პორტიორი ქვეყანაა (იხ. დიაგრამა #1).¹

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უცხოელი ინვესტორი არა საქართველოს კე-თილდღეობაზე, არამედ საკუთარ გამდიდრებაზეა ორიენტირებული, რეალურ სექტორში და მითუმეტეს განათლებასა და თანამედროვე ტექ-ნოლოგიებში ინვესტიციები უმნიშვნელოა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში დაბანდებული საინვესტიციო ნაკადების ჯამი წლიდან წლამ-დე იზრდება და მისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანა საკმაოდ რთული პროცესია, რაც დადებით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. აუცილებე-ლია, საქართველოს მთავრობამ მაქსიმალური ღონე იხმაროს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლების ქვეყანაშივე შე-ნარჩუნებისთვის, რაც შესაძლოა, გარკვეული საგადასახადო შეღავათე-ბის, დარგის განვითარებისათვის საჭირო ხელშეწყობით და სხვა გზებით იქნეს მიღწეული. ყოველივე აღნიშნული ადგილობრივ ეკონომიკას გაამ-დიდრებს: უმუშევრობას შეამცირებს, შემოსავლებს და დასაქმებულთა რაოდენობას გაზარდის, მაკროეკონომიკურ გარემოს გააუმჯობესებს და პროგრესსა და განვითარებას ხელს შეუწყობს.

¹ ნაშრომში გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაცია, თუ სპეციალური მითითება არ არის, საქართველოს მთავრობის ან/და მსოფლიო ბანკის ოფიციალური წყაროებიდანაა აღებული.


დიაგრამა #1

პორდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება და გადინება საქართველოში (\$ მლნ)



წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით ავტორმა შეადგინა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით (2007-2015 წლის II კვარტლის ჩათვლით)



* ოპერაციები უმრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა;

** საფინანსო სექტორის მონაცემები 2009 წლიდან მოიცავს საბანკო, მიკროსაფინანსო და სადაზღვევო ორგანიზაციებში განხორციელებულ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემებსაც.

*** ვაჭრობა; განათლება; კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება;


წყარო: საქსტატი.

მოცემული მასალის ანალიზიდან შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ, როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური კონიუნქტურის გავლენა ქართულ ეკონომიკაზე მის გლობალიზაციაში აქტიურ ჩართულობაზე მიგვითითებს და ცხადყოფს, რომ გლობალური საკითხები ხშირად განაპირობებენ ლოკალურს (მცირე ქვეყნების/ეკონომიკების შემთხვევაში), ისევე, როგორც, ლოკალური – გლობალურს (დიდი ქვეყნების/ეკონომიკების შემთხვევაში). სამწუხაროდ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ცალკეულ დარგებში საქართველოში მინიმალურია. ინვესტიციური ნაკადებით გამოირჩევიან: საფინანსო სექტორი, დამამუშავებელი მრეწველობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა და სხვ. (იხ. დიაგრამა #2), ჩვენ გამოვიყენებთ ჯ. დანინგის მიერ შემუშავებულ – „საინვესტიციო მოტივაციების თეორიას“ [18. Dunning, 1998]. ის აერთიანებს:

1. რესურსების მაძიებელ მოტივაციას;
2. ეფექტიანობის მაძიებელ ინვესტიციებს;
3. ბაზრის მაძიებელ ინვესტიციებს;
4. სტრატეგიული აქტივების მაძიებელ ინვესტიციებს.

გამომდინარე იქიდან, რომ პუი-ს მოტივაციების თეორია პირდაპირ კავშირშია „ერის ინვესტიციური განვითარების გზის მოდელთან“, საინტერესოა ამ კუთხით საქართველოს სინამდვილის გამოკვლევა. ერის ინვესტიციური გზის საქართველოს მოდელის აგების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ პირველი ორი საფეხური უკვე გადალახა და 2008 წლიდან მესამე საფეხურის დასაწყისშია (იხ. დიაგრამა #3). ეს იმას ნიშნავს, რომ უპირობოდ ჩამორჩენილი ქვეყნის და ინვესტიციების მხოლოდ მიმღები ქვეყნის სტატუსიდან (პირველი საფეხური – 1996-2003 წწ. არავითარი ინფრასტრუქტურა და ინვესტირების სტიმულები არ არსებობს), ის შედარებით განვითარებული (ინფრასტრუქტურის, სახელმწიფო ინსტიტუტების და სხვ. ჩამოყალიბება) ქვეყნების სიაში მოხვდა (მეორე საფეხური – 2004-2007 წწ. ქვეყანა ფაქტორ-მამოძრავებლიდან ინვესტიცია-მამოძრავებელი განვითარების საფეხურზე გადადის [19. De Schutter O., 2012], ანუ ბაზარზე გარკვეული უპირატესობები ჩამოყალიბდება), საიდანაც მეტ-ნაკლებად კონკურენტუნარიანი და მომსახურების სფეროთი დომინირებადი ბაზრის მქონე ქვეყანათა რიცხვში გადავიდა (მესამე საფეხური – ადგილი აქვს პუი-ს ექსპორტს). მესამე ეტაპზე უცხოელი ინვესტორები არა მხოლოდ ბაზრის და რესურსების, არამედ უკვე ეფექტიანობის ძიებითაც არიან დაინტერესებულნი.

ერის ინვესტიციური განვითარების გზა, საქართველოს მაგალითი





წყარო: ავტორის გაანგარიშები საქსტატის, UNCTAD-ის მონაცემების მიხედვით

2008 წლიდან საქართველო IDP-ის მესამე საფეხურზე გადადის და პუი-ს მოტივაციებიც საგრძნობად იცვლება. ნიშანდობლივია, რომ 2007 წლიდან საქსტატი უკვე იწყებს პუი-ს დარგობრივ ჭრილში განხილვას, რაც მოტივაციების ასახსნელად შესანიშნავი დამხმარე მექანიზმია. საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, თითოეული ქვეყნის (80-მდე ქვეყანა) ანალიზის საფუძველზე მოცემული დარგები ჩვენ ისე დავაჯგუფეთ, რომ ნათელი გამხდარიყო უცხოელი ინვესტორების მოტივაციები (იხ. დიაგრამა #4), კერძოდ: 1. ევექტიანობა მამოძრავებელი ინვესტიცია – სოფლის მეურნეობა და თევზჭერა; კონსულტირება; დამამუშავებელი მრეწველობა; 2. რესურსების მაძიებელი ინვესტიცია – სამთომომპოვებელი მრეწველობა; 3. საშინაო ბაზრის ათვისების მოტივაცია – ყველა დანარჩენი (ჯანდაცვა, საფინანსო, ენერგეტიკა, მშენებლობა და სხვა). ჩვენ განზრახ არ შევხებთ სტრატეგიული აქტივების დაუფლების მოტივაციას (სტატისტიკური მონაცემების არ არსებობის გამო).

დიაგრამა #4

მარცხნივ – მოტივაციების ტრენდი, მარჯვნივ – ბალანსი
(წლების მიხედვით)





წყარო: ავტორმა საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით შეადგინა.

მიღებული შედეგებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პუი ბოლო 7 წლის განმავლობაში (2007 წლიდან 2014-ის პირველი კვარტალი), ძირითადად საშინაო ბაზრის ათვისებით იყო დაინტერესებული (მთლიანი პუი-ს 81%), მეორე ადგილზე გავიდა ეფექტიანობის მადიებელი ინვესტიციები (16%), ხოლო მესამეზე კი რესურსების მადიებელი (3%). აღნიშნული მონაცემების დახმარებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერის ინვესტიციური განვითარების პირველი ორი საფეხურისაგან განსხვავებით, მესამე საფეხურზე (2008 წლიდან) საქართველო მხოლოდ იაფი რესურსების ბაზარს უკვე არ წარმოადგენს, არამედ სახეზე გვაქვს მოტივაციების დივერსიფიცირება. აგრეთვე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უცხოური კომპანიები, საქართველოს ბაზრის სიმცირის მიუხედავად (გლობალური კონკურენტუნარიანობის მიხედვით, მსოფლიოში – 103-ე) [20], მისი ათვისებით არიან დაინტერესებულნი, რასაც როგორც ეკონომიკური, ასევე არაეკონომიკური ფაქტორები ხელს უწყობენ (და აგრეთვე უშლიან).

დასკვნა

პერსპექტივაში ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციების მოზიდვაში, განათლებასთან ერთად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საკმა-

ოდ მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს. ამის მაგალითად გამოდგება 2015 და 2016 წლების განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ზრდა 1 მლრდ ლარამდე. გარდა ამისა, აღსანიშნავია ეკონომიკის სამინისტროს მიერ „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“, აგრეთვე, განათლების სამინისტროს მიერ „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ და თბილისის მერიის მიერ „თბილისის ტექნოლოგიური ფონდის“ შექმნა, რომელთა ჯამური დაფინანსება 2016 წელს 100 მლნ ლარის ფარგლებშია. უმნიშვნელოვანესია, „საპარტნიორო ფონდის“ მიერ პრიორიტეტების ცვლილება და ტექნოლოგიურ მიმართულებაზე გადართვა; აგრეთვე, „კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს“ ჩამოყალიბება საქართველოს პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით. აღნიშნულ ცვლილებებს პოზიტიურად ესაღმება „გლობალური ინოვაციების ინდექსი, 2015“, რომელიც საქართველოს ინოვაციურობის ფლაგმანად მიიჩნეეს (2015 წლის კვლევაზე დაყრდნობით).

შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ გარკვეულ წარმატებებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით უკვე მიაღწია, თუმცა, მიღწეული არასაკმარისია და საჭიროა კიდევ უფრო მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაზე ზრუნვა, რომელიც ინოვაციური და ცოდნაზე დაფუძნებული პროდუქციის წარმოებას და, შესაბამისად, საქართველოს გრძელვადიან განვითარებას შეუწყობს ხელს.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველომ უკვე გადალახა ერის ინვესტიციური განვითარების გზის პირველი ორი საფეხური, აშკარაა, რომ შემოდინებული პუი-ების მოტივაციებიც იცვლება, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ დროთა განმავლობაში შემოდინებული პუი სულ უფრო ნაკლებად იქნება ორიენტირებული ადგილობრივი ბაზრის ათვისებაზე და ევექტიანობაზე ორიენტირებული ინვესტიციები წინ წამოიწეეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **Blomstrom & Kokko, (1998)**, Multinational corporations and spillovers, #12 . *Journal of economic Surveys*, 247-277.

2. **Kapuria-Foreman V., (2009).** Economic freedom and foreign direct investment in developing countries. *The Journal of Developing Areas* 41(1), 143-154
3. **Gursoy F., Kalyoncu H. (2012).** Foreign Direct Investment and Growth Relationship in Georgia. *International Journal of Economics and Financial Issues*, #2.
4. **Loungani P., Razin A. (2011).** How Beneficial Is Foreign Direct Investment for Developing Countries? *Finance and Development* 38.
5. **Konings, J. (1999).** *The Effect of Direct Foreign Investment on Domestic Firms: Evidence from Firm Level Panel Data in Emerging Economies.* Catholic University of Leuven.
6. **Javorcik, B. S. (2004).** *Does Foreign Direct Investment Increase the Productivity of Domestic Firms? In Search of Spillovers through Backward Linkages.* The American Economic Review.
7. **Anguridze, O., Charaia V., Doghonadze I. (2015).** *Security Problems & Modern Challenges of the Georgian National Currency.* Ivane Javakishvili Tbilisi State University. <http://analytica.tsu.ge/www/files/2015/07/Security-Problems-Modern-Challenges-of-the-Georgian-National-Currency2.pdf>
8. **Papava V., Charaia V. (2014).** *Regional Railways in the Central Caucasus and Georgia's Economic Interests,* Geo-Economics. Volume 8, Issue 1-2. pp. 58-67. <http://papava.info/publications/regional-railways-en.pdf>
9. **ჭარაია ვ., (ა), (2014).** საქართველოს ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები, ეკონომიკა და ბიზნესი, #1, გვ. 137-150.
10. **Charaia V., (a), (2016).** *Economics of Conflict: Core Economic Dimensions of the Georgian-South Ossetian Context.* International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering Vol:10, No:10. <http://waset.org/Publication/economics-of-conflict-core-economic-dimensions-of-the-georgian-south-ossetian-context/10005757>
11. **Charaia V., (b), (2016).** The Financial Side of the Conflict: The Case of the Georgian-South Ossetian Conflict. *Cost of Conflict: Core Dimensions of the Georgian-South Ossetian Context.* George Mason University. Pp. 46-51. <http://scar.gmu.edu/cpp/cost-of-conflict>
12. **Charaia V. (2014) (a).** *Local Investment Climate and the Role of (Sustainable) FDI: The Case of Georgia.* World Academy of Science, Engineering and Technology International Journal of Social, Behavioral, Educational,

Economic, Business and Industrial Engineering Vol:8, No:2. <http://waset.org/publications/9997562/local-investment-climate-and-the-role-of-sustainable-fdi-the-case-of-georgia>

13. **Charaia V., (2014) (b).** *Role of FDI for Countries Economic Development. The Case of Georgia.* 9th Silk Road International Conference "Business, Economics, International Relations and Education. <http://silkroad.ibsu.edu.ge/silkroad/index.php/silkroad/silkroad9th/paper/viewPaper/292>
14. **ჭარაია ვ., (ბ), (2014),** წიხი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების „ძლიერ ველზე“, ეკონომიკა და ბიზნესი, # 4, გვ. 109-122.
15. **პაპავა ვ., (2009),** თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის თავისებურებანი საქართველოში. ეკონომისტი, #4.
16. **მესხია ი., (2009),** გლობალური ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობის პრობლემები, ეკონომისტი, #2.
17. **ხადური ნ., (2009),** ომის შემდგომი საქართველოს ეკონომიკური საფრთხეები. ეკონომისტი, #4.
18. **Dunning, J. H. (1998).** *Location and the multinational enterprise: a neglected factor.* Journal of International Business Studies, 29 (1), 45–66.
19. **De Schutter O., Swinnen J., Wouters J. (2012).** *Foreign Direct Investment and Human Development: The Law and Economics of International Investment Agreements.* Routledge Research in International Economic Law.
20. Global Competitiveness Report 2014-2015, World Economic Forum http://www3.weforum.org/docs/WEF_GlobalCompetitivenessReport_2013-14.pdf

თავი 8.

ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო და მწვანე ეკონომიკის კონცეფცია

მწვანე ეკონომიკა მდგრადი განვითარების შემადგენელი ნაწილია, იგი ერთდროულად დაკავშირებულია ეკონომიკის, გარემოს და სოციალურ განვითარებასთან [1].

ბოლო პერიოდში სულ უფრო მწვავედება დისკუსია სოციალურ უთანასწორობასთან დაკავშირებით [2]. ეს ძირითადად მსოფლიო სიმდიდრის გადანაწილებას ეხება, რადგან მისი დიდი ნაწილი თავმოყრილია მოსახლეობის მცირე ნაწილში, ხოლო დანარჩენი კი შიმშილს განიცდის. ამას შეიძლება გლობალური სოციალური უთანასწორობა ეწოდოს. მეცნიერების ნაწილის აზრით, სხვადასხვა ქვეყნებში გახშირებულ კრიზისებთანაა დაკავშირებული. ჩნდება კითხვა: რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ სამყაროში სოციალური თანასწორობა დამყარდეს?

მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ ეკონომიკური ზრდა და განვითარება პირდაპირ არის დამოკიდებული ბუნებრივ რესურსებზე. თუ მსოფლიოში არაგანახლებადი რესურსები ამოიწურება (მაგ: ნავთობი, ოქრო და სხვა), ეს საზოგადოების განვითარების დონეზე პირდაპირ აისახება. თუმცა, ამ შემთხვევაში ეკონომისტების მეორე ნაწილის აზრით, ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევის შემთხვევაში შესაძლებელია ბუნებრივი რესურსების გამოყენება გაუმჯობესებული გზებით, (მენქიუ) რომელიც ბუნებრივი რესურსების გამოყენების პროცესში ნაკლები დანაკარგის არსებობას გულისხმობს, მაგ: ავტომობილების საწვავის ჩანაცვლება სხვა ალტერნატიული გზებით და სხვ. თუმცა, ბოლო პერიოდში აღიარებული საერთაშორისო ორგანიზაციების (World Bank) მხრიდან ბუნებრივი რესურსებისადმი ახლებური მიდგომა აქტიურად გამოიკვეთა [3], რაც რესურსების მდგრად მართვას გულისხმობს, რაც რესურსებისადმი ისეთი დამოკიდებულებაა, როდესაც თაობებს შორის სამართლიანობის პრინციპი მაქსიმალურად შენარჩუნებული უნდა იყოს [4].

ეკონომიკის არსი შეზღუდული რესურსების ეფექტიანად გამოყენებაში მდგომარეობს. დედამიწაზე არაფერია ისეთი შეზღუდული, როგორც ბუნებრივი რესურსები. განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ რესურსებს, რომელთა განახლებაც ბუნებაში შეუძლებელია. ბოლო ათწლეულებში, როდესაც საზოგადოების განვითარებამ ტექნოლოგიური მიმართულებით პიკს მიაღწია, ინვესტიციები მწვანე ეკონომიკაში კარგ მაკროეკონომიკურ ეფექტს ქმნის. მწვანე ეკონომიკა ის დარგია, რომელსაც სწრაფი სოციალური და ეკონომიკური ეფექტის მოხდენა შეუძლია. მისთვის დიდი ტექნოლოგიური რევოლუციები საჭირო არ არის.

რიგ ქვეყნებში მწვანე ეკონომიკის დარგის განვითარებისათვის სახელმწიფოს მხრიდან ძირითადად ორი მიდგომა გამოიყენება: გადასახადების შემცირება და სუბსიდირება, რაშიც ბუნებრივი რესურსების მართვის პოლიტიკა კონკრეტული ქვეყნების შემთხვევაში ასევე საკმაოდ დიდ როლს ასრულებს. საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ მწვანე ეკონომიკის ბენეფიციარების ძირითადი ნაწილი სოფლად მცხოვრები მოსახლეობაა. რადგან ძირითადი სფერო, რომელსაც მწვანე ეკონომიკა მოიცავს, სოფლის მეურნეობაა, რაც თავისთავად საკვების პროდუქტების უსაფრთხოებას უკავშირდება.

მწვანე ეკონომიკა ეკონომიკის სოციალურ და გარემოს განვითარებას უზრუნველყოფს და, იმავდროულად, მათ ურთიერთკვეთასაც მოიცავს.

ბუნების როლი კაცობრიობის ისტორიაში შეუფასებელია. დღეს მსოფლიოს ეკოლოგიური მდგომარეობა ძალზე სავალალოა. უმთავრეს პრობლემას ატმოსფეროს ამჟამინდელი ეკოლოგიური მდგომარეობა და გლობალური დათბობა წარმოადგენს, რასაც თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესიც ხელს უწყობს. ბოლო ათწლეულებია გარემოს დამცველები ცდილობენ, დიდი ბიზნესის ინტერესებში მდგრადი განვითარების პრინციპები ჩართონ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამის ფარგლებში შეიქმნა მწვანე ეკონომიკის ინიციატივა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა სოციალურ თანასწორობასა და ეკონომიკური კვილდღეობის გაუმჯობესებას, რის საფუძველზეც გარემოზე მიყენებული ზიანი და მოსალოდნელი საფრთხეები საგრძნობლად მცირდება.

მწვანე ეკონომიკა ტრადიციული ეკონომიკური პარადიგმისგან განსხვავდება, ის მდგრადი განვითარებისა და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნას ემყარება. ეკონომიკის სხვა დარგებისგან განსხვავებით, ის პირდაპირ აფასებს ქვეყნის იმ ბუნებრივ კაპიტალს, რომელსაც ეკონომიკური ღირებულება აქვს [5]. მწვანე ეკონომიკა მწვანე სამუშაო ადგილებს ქმნის, უზრუნველყოფს მდგრადი ეკონომიკის განვითარებას, ამცირებს გარემოს დეგრადაციასა და დაბინძურებას, გლობალურ დათბობას, რესურსების გამოლევას. მწვანე ეკონომიკა ბიზნესს საშუალებას აძლევს, აწარმოოს მწვანე პროდუქტი და მომსახურება.

ყველასთვის ცნობილია, თუ რა პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე დგას მთელი მსოფლიო, განსაკურებით კი განვითარებადი ქვეყნები. მათგან აღსანიშნავია:

- მოსახლეობის ზრდა: ცხადია, დედამიწაზე შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე, არსებობს გარკვეული ზღვარი, რომლის ზემოთაც მოსახლეობის გამოკვება, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნება.
- კლიმატის ცვლილება: კლიმატის ცვლილებაზე ადამიანთა ქცევა ზემოქმედებს, რაც ზრდის ბუნებრივ კატასტროფებსა და რისკებს.
- ენერგეტიკული მარაგები: იქიდან გამომდინარე, რომ ძირითად ენერგეტიკულ რესურსს ნავთობი წარმოადგენს, ბოლო პერიოდში მისი რესურსები საფრთხის წინაშე დგას.
- წყლისა და საკვების რესურსების მარაგები: მოსახლეობის ზრდასთან ერთად, იზრდება მოთხოვნილება შეზღუდულ საკვებსა და წყალზე. ამჟამად დედამიწაზე 900 მილიონი ადამიანია, რომელთაც საკმარისი საკვები არ გააჩნიათ და 1 მილიარდზე მეტ სასმელ წყალზე ხელი არ მიუწვდება.
- დედამიწის სტაბილურობა: ბუნებრივი რესურსების უმეტესობა შეზღუდული და შეუცვლელია. მაგალითად, ტყის რესურსის შევსებას მრავალი წელი სჭირდება.

მწვანე ეკონომიკა სწორედ ამ და სხვა პრობლემების მოგვარებას ემსახურება. იგი ეკონომიკური მეცნიერების იმ კომპონენტად მიიჩნევა, სადაც ის ეკოსისტემის ნაწილად მოიაზრება. მწვანე ეკონომიკის მიზანია სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ერთმანეთთან შეკავშირება, რათა ერთობლივი ძალისხმევით მოაგვარონ სამყაროში არსებული მწვავე პრობ-

ლემები. მისი მთავარი რეგულატორი არა სახელმწიფო და კერძო ბიზნესია, არამედ საზოგადოება, რომელიც თავად მართავს და აკონტროლებს მას.

დღეს მთელი მსოფლიო, განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნები, უამრავი გამოწვევის წინაშე დგანან, რომელთა მოგვარება ხშირ შემთხვევაში ძალიან რთულია, უდიდეს ძალისხმევასა და ფინანსებს მოითხოვს. განსაკუთრებით ეს ტექნოლოგიურ ნაწილს ეხება, რადგან მწვანე ბიზნესის განვითარება, როგორც წესი, დიდ საწყის ფინანსურ ინვესტიციას მოითხოვს, რომელიც საშუალო და გრძელვადიან პერიოდზე ეკონომიკურ და ეკოლოგიურ შედეგათებს იძლევა.

განვითარებულ ქვეყნებში, როგორცაა: გერმანია, იტალია, იაპონია და სხვ., მოსახლეობის რაოდენობა თითქმის არ შეცვლილა. სამაგიეროდ, ადამიანთა რაოდენობა განვითარებად ქვეყნებში საგრძნობლად სწრაფად იზრდება, რაც უამრავი პრობლემის საწინდარია.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას განვითარებად ქვეყნებში სასმელი წყლის არასაკმარისი მარაგი წარმოადგენს, განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში, სადაც მოსახლეობა სწრაფად იზრდება და სასმელი წყლის რაოდენობა შეზღუდულია. გაეროს კვლევებით დასტურდება, რომ 2030 წლისთვის მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 40% ანუ, 3 მილიარდი ადამიანი, სასმელი წყლის გარეშე დარჩება. იმავდროულად, საკვანძო საკითხია წყლის არაეფექტურად გამოყენება და დანაკარგი. ევროპის უმეტეს ქალაქში 100 ათასზე მეტი ადამიანი წყალს იმაზე სწრაფად მოიხმარს, ვიდრე მისი მარაგის შევსებაა შესაძლებელი.

დადგენილია, რომ 900 მლნ ადამიანი შიმშილის ზღვარზეა, დღეში 22 ათასი კი საკვების უქონლობის გამო კვდება. ამ ხალხის უმრავლესობა აზიისა და აფრიკის რეგიონებიდანაა. საკვები აუცილებელია ადამიანთა გონებრივი და ფიზიკური განვითარებისთვის. ცუდი კვება განსაკუთრებით სახიფათოა მოზარდებისათვის, რომლებიც ქვეყნის მომავალს წარმოადგენენ. პრობლემა არა საკვების არასაკმარისი წარმოებაა, არამედ მისი არასათანადო განაწილება. მწვანე რევოლუციის წყალობით, ხორბალი და ბრინჯი იმდენი იწარმოება, რომ თითოეულ ჩვენგანს შეუძლია, დღე-ურად 3000 კილოკალორია მიიღოს. საქმე ისაა, რომ კომერციული სოფლის მეურნეობა, რომელიც საკვების ძირითად ნაწილს აწარმოებს, თავი-

სი პროდუქციის უფრო მაღალ ფასად გაყიდვას ამჯობინებს, სამწუხაროდ, განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა ასეთ პირობებში ვერ ახერხებს კონკურენცია გაუწიოს განვითარებულ ქვეყნებს. ამ პრობლემას ისიც ამწვავებს, რომ განვითარებადი ქვეყნებში დაბალია განათლების დონე. ამ დროისთვის დაახლოებით 70 მლნ ზავშვისთვის დაწყებითი განათლებაზეც კი ხელმისაწვდომელია და დაახლოებით 800 მლნ ადამიანს, რომელიც გამუდმებით ეძებს სამსახურს, განათლება არ აქვს. განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის 85 პროცენტი 15-დან 24 წლამდე ასაკისაა, მათგან ნახევარი კი დაუსაქმებელია. სწორედ უმუშევრობაა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის წინაშეც ეს ქვეყნები დგანან და რომელთა მოგვარება ურთულესია. კიდევ უფრო დამაფიქრებელია ქალების მდგომარეობა განვითარებადი ქვეყნებში. მათი ხელფასი ბევრად ნაკლებია კაცებისაზე. ეს მხოლოდ იმ პრობლემების მცირედი ჩამონათვალია, რომლის პირისპირ განვითარებადი ქვეყნები ძალიან დიდი ხანია დგანან და მათი გადაჭრის გზებს ეძებენ.

განვითარებადი ქვეყნები გასაღებია გლობალური მწვანე ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. საწყისი მონაცემებით დასტურდება, რომ ამ ქვეყნებს შეუძლიათ, სარგებელი და ახალი შესაძლებლობები მიიღონ როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდში. მოკლე პერსპექტივაში, მწვანე ეკონომიკა საშუალებას იძლევა, სახელმწიფოებმა გააუმჯობესონ გარემოსდაცვითი ბერკეტები მდგრადი ნარჩენების გადამუშავების, წყალსა და ენერჯიაზე უკეთესი წვდომისთვის, წახალისონ სასოფლო-სამეურნეო სასუქების ნაკლები გამოყენება სოფლის მეურნეობაში [3].

მთელი განვითარებადი სამყარო თანხმდება მწვანე ეკონომიკის უნიკალურობასა და აუცილებლობაზე, რადგან მას შეუძლია სიღარიბის შემცირება, მაღალი სოციალური კეთილდღეობისა და სამუშაო ადგილების შექმნა. გარდა ამისა, ეს ქვეყნები ხელს უწყობენ ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციას მაღალი ხარისხისა და პროდუქტიულობის მისაღწევად.

განვითარებადი ქვეყნებში კარგი წინაპირობა არსებობს გლობალური მწვანე ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. თუმცა, მათი ძირითადი ხედვა მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებზე ეხება და ცდილობენ მათი გამოცდი-

ლების გაზიარებას, თუმცა, უნდა ითქვას, რომ XXI საუკუნეში არსებობს სხვა გამოწვევები და სხვა რეალობა, ვიდრე იყო განვითარებული ქვეყნების ისტორიის მანძილზე. ამიტომ უნდა ითქვას, რომ დღეს განვითარებად ქვეყნებს მართებთ, მათი ხედვები და პოლიტიკა თანამედროვე გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესაბამისად შეცვალონ.

აღსანიშნავია, რომ განვითარებადი ქვეყნების ბუნებრივი რესურსები გლობალურ ეკონომიკურ ზრდაზე დიდ გავლენას ახდენენ. ბუნებრივი რესურსების მართვის საკითხები (მაგ: ენერგეტიკა, საკვები პროდუქტები, წყლის რესურსები და კლიმატის ცვლილება) საბოლოოდ ძლიერ ზემოქმედებს ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარებაზე და ზოგადად ქვეყნის განვითარების შესაძლებლობებზე.

განვითარებად ქვეყნებს დიდი შესაძლებლობები აქვთ, მიაღწიონ სინერგიას გარემოსდაცვით და ეკონომიკურ მდგრადობას შორის. მწვანე ეკონომიკის განვითარება მდგრადი და რაციონალური წარმოებისა და მოხმარების დაწყების შანსი და შესაძლებლობაა. მათი მეშვეობით შესაძლებელია მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და საშუალო ფენის განვითარება. ამ პროცესში კი გარემოს დაცვითი ინფრასტრუქტურის გამოყენების გზების გამონახვა საკმაოდ რთულად გადასაწყვეტია და ხშირად ეს ფაქტორი მის განვითარებას აფერხებს, რადგან ფერხდება საინვესტიციო გადაწყვეტილებები.

მრავალი კვლევით დასტურდება, რომ ბიზნესისადმი ტრადიციული მიდგომით გლობალური მოთხოვნა საკვებზე, ინფრასტრუქტურაზე და ენერგეტიკაზე მუდმივად იზრდება. ინფრასტრუქტურის მშენებლობის ტრადიციული მეთოდებით გარემოს დაბინძურების ხარისხი იზრდება, რაც, ადამიანების ჯანმრთელობისა და ეკოლოგიური თვალსაზრისით, სამომავლოდ დიდ რისკებს წარმოქმნის.

OECD მწვანე ზრდას განსაზღვრავს, როგორც საშუალებას, რომელიც, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების აქტივების მართვასა და გარემოს დაცვით მომსახურებას, რომელსაც საზოგადოების კეთილდღეობა ეფუძნება (OECD) [6]. ამ მოსაზრებით, მნიშვნელოვანია ბუნებრივი კაპიტალის როლი კეთილდღეობის მიღწევებაში.

მწვანე ეკონომიკის განვითარება შესაძლებელია გამომდინარეობდეს შემდეგი მიზნებიდან:

- ✓ რესურსების მართვის გაუმჯობესება და პროდუქტიულობის ზრდა;
- ✓ ხელს უწყობს ეკონომიკურ საქმიანობას გრძელვადიანი განვითარების მისაღწევად;
- ✓ ინოვაციური მიდგომებით ახალი შესაძლებლობების მოძებნა;
- ✓ ბუნებრივი კაპიტალის ღირებულების შეფასება, როგორც წარმოების, ასევე მომსახურების სფეროში.

მწვანე ეკონომიკა მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილია. მწვანე ეკონომიკა არ განიხილება, როგორც მდგრადი განვითარების მიღწევის საშუალება. ეს ბუნებრივი რესურსების ისეთი გამოყენებაა, როდესაც ინვესტიციები და ინოვაციები ისეთ თანხვედრაშია, რომ ბუნებრივი კატასტროფების გამომწვევი მიზეზები მაქსიმალურად შემცირებული იყოს. მწვანე ეკონომიკის განვითარება წარმოდგენილი უნდა იქნეს, როგორც მდგრადი განვითარების სოციალური საყრდენი.

ბოლო პერიოდში განვითარებადი ქვეყნების მთავარი მიზანია დროთა განმავლობაში მდგრადი განვითარების მიღწევა, რაც სიღარიბის შემცირებაში, მოსახლეობის მზარდ კეთილდღეობასა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში აისახება. განვითარებად ქვეყნებს, მწვანე ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით, უფრო რთული პოლიტიკური არჩევანის გაკეთება უწევს, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებს.

დასკვნა

საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები გააჩნია, რომელიც მდგრადი ეკონომიკის განვითარებას უზრუნველყოფს. ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის მიზანშეწონილია საქართველოს მთავრობამ მწვანე ტექნოლოგიების დანერგვის სტრატეგია შეიმუშაოს, რომელიც მწვანე ეკონომიკაში საერთაშორისოდ აღიარებული მიღწევების პრაქტიკაში დანერგვისაკენ იქნება მიმართული. მწვანე ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს სახელმწიფოს მხრიდან მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისებაზე.

მწვანე ტექნოლოგიების ბაზაზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისთვის წახალისების ეკონომიკური მექანიზმები ფართოდ უნდა გამოიყენონ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **W. M. Adams (2009)**, Green Development, Environment and Sustainability in a Development World, 3rd edition,
2. **UNEP (2011)**, Towards a Green Economy, Pathways to Sustainable Development and Poverty Eradication.
3. **World Bank, 2012**, Inclusive Green Growth, The Pathway to Sustainable Development.
4. **A. Endl, M. Sedlacko (2012)**, National Sustainable Development Strategies – What Future Role with Respect to Green Economy?, ESDN.
5. **D.A. Anderson, (2010)**, Environmental Economics and Natural Resource Management. 3rd Edition.
6. **OECD, (2012)**, Green Growth and Developing Countries, Cunsultation Draft.

დასკვნები

1. ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო, ბიზნეს-გარემოს სხვა კომპონენტებთან (ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური და სხვ.) შედარებით, ნაკლებად გამოკვლეული სფეროა, როგორც გლობალურ დონეზე, ისე ცალკეული ქვეყნების ჭრილში. ეს სფერო ნაკლებადაა შესწავლილი განსაკუთრებით პოსტსაბჭოურ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოში. ყოველივე ეს დღის წესრიგში აყენებს ამ სექტორის სიღრმისეული გამოკვლევის აუცილებლობას, მით უმეტეს, თანამედროვე სწრაფად მზარდი ტექნოლოგიური ბუმის პირობებში, როდესაც კონკურენტუნარიანი საქონლის და მომსახურების წარმოებისათვის შესაძლებელი ხდება ტრადიციული ბუნებრივი რესურსების ახალი ტექნოლოგიებით ჩანაცვლება.
2. ტექნოლოგიური გარემო საზოგადოების, მათ შორის, ბიზნესის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია და ასახავს მათ განვითარებას ტექნიკური და ტექნოლოგიური თვალსაზრისით. უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი საქონლისა და მომსახურების წარმოებას. მათი დანერგვა მოითხოვს კვალიფიციურ სამუშაო ძალას – ინტელექტუალურ კაპიტალს.
3. ეკონომიკურ ლიტერატურაში „ტექნოლოგიის“ სხვადასხვა განსაზღვრება გვხვდება, რომლებიც პირობითად სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. პირველი, ტექნოლოგია გაიგივებულია მის მატერიალურ მატარებლებთან ან კონკრეტულ საწარმოო ინტერესებთან. მეორე, ტექნოლოგიად მიჩნეულია ინფორმაციის დამუშავება და საზოგადოებრივი გამოყენება ანუ იგი გაიგივებულია იმ ცოდნასთან, რომელსაც ადამიანი საწარმოო საქმიანობასა და სამეცნიერო კვლევებში იყენებს. მესამე, ტექნოლოგია საკმაოდ ფართო ცნებაა და სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის ერთობლიობას წარმოადგენს, რომელსაც ასევე მის დანერგვასთან დაკავშირებული თანამდევრი ეფექტები ემატება.

4. თანამედროვე ეტაპზე ბიზნესის განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ტექნოლოგიური გარემო ასრულებს, რომელზეც დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და მისი გლობალური კონკურენტუნარიანობა. ტექნოლოგიურ გარემოში მოქმედი ფაქტორები ხელს უწყობს ძირითადი კაპიტალის განახლებასა და გაფართოებას, ახალი დარგების შექმნასა და ძველი წარმოებების ტექნიკურ რეკონსტრუქციას, შრომის მწარმოებლურობისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.
5. ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო გარკვეული კანონზომიერებების შესაბამისად ფუნქციონირებს და ნეოტექნოლოგიური მიმართულების თეორიებს ეფუძნება, რომელთა შორის აღსანიშნავია კლებადი ხარჯების (მასშტაბის ეფექტის), ტექნოლოგიური უფსკრულის, საქონლის სასიცოცხლო ციკლის და მფრინავი ბატების თეორიები. ამ თეორიებით შეიძლება აიხსნას ამა თუ იმ ქვეყნის ტექნოლოგიური განვითარების ეტაპები და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრინციპულად ახალი შესაძლებლობები, მათ შორის, ინტელექტუალური (ადამიანისეული) კაპიტალის მნიშვნელობა, რომელიც დღეს ეკონომიკის ზრდის მთავარ წყაროდ და მისი მართვის ინსტრუმენტად გვევლინება. თანამედროვე ეტაპზე ინტელექტუალური პოტენციალის რაციონალური გამოყენება, ინოვაციური საქმიანობის გააქტიურება თითოეული ქვეყნისა და მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მასტიმულირებელი ფაქტორია. შესაბამისად, ეკონომიკური აღმავლობა ვლინდება იქ, სადაც მაღალია ინტელექტუალური განვითარების დონე და ინოვაციური უნარი. ამასთან, ყოველ ქვეყანას, მათ შორის, საქართველოს ტექნოლოგიური (ინოვაციური) განვითარების საკუთარი სტრატეგია სჭირდება და იგი მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში აღიარებულ თეორიულ-მეთოდოლოგიურ პრინციპებს უნდა დაეფუძნოს.
6. ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს სიღრმისეული კვლევისთვის ნაშრომში დაჯგუფებულია ის ძირითადი ცვლადი კომპონენტები, რომელთა ანალიზით შესაძლებელია ქვეყნის ტექნოლოგიური გარემოს ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება და მათი გაუმჯობესების გზების დასახვა. ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო ცვლადების საკ-

მაოდ ფართო სპექტრს მოიცავს, რომელიც საწარმოს ოპერაციულ ეფექტიანობაზე პირდაპირ ან ირიბად ზემოქმედებს. ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს შეფასებისას, საქმე გვაქვს, ერთი მხრივ, წარმოების ფაქტორებთან, მათ რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებთან, რასაც პირობითად სტატიკური პარამეტრები შეიძლება ვუწოდოთ, მეორე მხრივ, მათი გამოყენების ხერხების და მეთოდების ეფექტიანობასთან, რასაც განსაზღვრავს ქვეყნის ინოვაციური პოტენციალი და ტექნოლოგიურ დინამიზმში ვლინდება. სტატიკური პარამეტრები ყველა იმ ბუნებრივ-სტატიკურ უპირატესობას მოიცავს, რაც მიმზიდველს ხდის ქვეყანაში წარმოების ორგანიზებას – ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ხელმისაწვდომი ბუნებრივი, შრომითი და ფინანსური რესურსები, ინფრასტრუქტურის განვითარების დონე. დინამიკური პარამეტრები ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის ამსახველ ცვლადებს მოიცავს: კვლევა და განვითარება, ინოვაციები საწარმოებში, მაღალტექნოლოგიური წარმოება და ცოდნაზე დაფუძნებული მომსახურების სექტორი, ინტელექტუალური საკუთრება, ადამიანისეული რესურსები მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში, ინფორმაციული საზოგადოების ინდიკატორები, სამეწარმეო და სამეცნიერო სექტორების პარტნიორული ურთიერთობა, სახელმწიფოს მასტიმულირებელი როლი და კვლევების ინტერნაციონალიზაცია.

7. ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს შეფასებისათვის თანამედროვე მსოფლიოში ფართოდ გამოიყენება გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მაჩვენებელი. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ქვეყნების კონკურენტუნარიანობას 1979 წლიდან აფასებს და მისი მეთოდოლოგია სისტემატურად იხვეწება. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, საქართველოს მდგომარეობა თანდათანობით უმჯობესდება. 1.4 2009-2010 წლებში მსოფლიოს 133 ქვეყანას შორის საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსია (GCI) 90, მაშინ როდესაც ამ მაჩვენებელმა 2015-2016 წლისთვის 140 ქვეყანას შორის 70 შეადგინა.
8. ქვეყნების ინოვაციური განვითარების შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია გლობალური ინოვაციური ინდექსი (გიი),

რომელიც გამოითვლება ორი ჯგუფის ინდიკატორების შეფასებათა შეწონილი ჯამით: არსებული რესურსები და ინოვაციათა განხორციელების პირობები (Innovation Input); ინოვაციათა განხორციელების შედეგად მიღებული პრაქტიკული შედეგები (Innovation Output). 2015 წლის გლობალური ინოვაციური ინდექსი გამოთვლილია 141 ქვეყნის მიხედვით, რომელთა შორის საქართველო 73-ე ადგილზეა, მათ შორის, პირველი ჯგუფის მაჩვენებლებით, მას 67-ე ადგილი უკავია, ხოლო მეორე ჯგუფით – 86-ე. ინოვაციების ეფექტიანობის კოეფიციენტი საქართველოში 0.6 შეადგენს და ამ მაჩვენებლით იგი 107-ე ადგილზეა. წინა წელთან შედარებით, მისი პოზიცია 17 პუნქტით გაუარესდა: 2014 წელს საქართველოს 90-ე ადგილი ეკავა 143 ქვეყანას შორის და მისი ეფექტიანობის კოეფიციენტი 0.7 იყო .

9. უკანასკნელ წლებში საქართველოში, ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს გაუმჯობესების კუთხით, გარკვეული პოზიტიური ძვრები შეინიშნება. კერძოდ:

- 2012 წლის სექტემბერში გერმანიის საერთაშორისო დახმარების ორგანიზაციამ (GIZ) დააფუძნა საქართველოს ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი, რომლის მიზანია, დააკმაყოფილოს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის ტექნოლოგიური საჭიროებები, ხელი შეუწყოს კვლევითი ორგანიზაციებიდან ეკონომიკის რეალურ სექტორში ტექნოლოგიების გადაცემის პროცესს, მოარგოს მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მოთხოვნები საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზარზე არსებულ ნოუ ჰაუსს, კვლევასა და განვითარებას (R&D) [10];
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე შეიქმნა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, რომლის მიზანია ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის ფორმირება, სხვადასხვა სექტორში ინოვაციების და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება, ინოვაციური მეწარმეობის, კვლევების და გამოგონებების კომერციალიზაციის ხელშეწყობა. სააგენტოს მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა ექსპორტზე ორიენტირებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინდუსტრიის ფორმირებას,

- ასევე, ინოვაციური Start-up-ების და ტექნოლოგიური კომპანიების გაჩენის ხელშეწყობას, ინოვაციების და ტექნოლოგიების კომერციალიზაციისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის ფორმირებას, მათ შორის ტექნოლოგიური პარკების, ინოვაციების ცენტრების, აქსელერატორების, ინოვაციების ლაბორატორიების შექმნას;
- ევროკავშირის ინიციატივით, აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში, შეიქმნა სამთავრობო პანელი „კვლევა და ინოვაცია“, ხოლო ვილნიუსის 2013 წლის 28-29 ნოემბრის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტის ერთობლივ დეკლარაციაში განსაზღვრულია ის მიზნები, რომლებიც პარტნიორობამ უნდა განახორციელოს. მათ შორისაა ცოდნისა და ინოვაციების საერთო სივრცის ეტაპობრივი განვითარება, კვლევისა და ინოვაციების დარგში თანამშრომლობის რამდენიმე არსებული მიმართულების გაერთიანების მიზნით;
 - უკანასკნელ წლებში საქართველომ მონაწილეობა 63 ევროპულ პროექტში მიიღო. 2013 წელს შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ჩაერთო სამწლიან რეგიონულ პროექტში „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი“. თბილისში გაიხსნა საქართველოში პირველი ტექნოლოგიური პარკი, რომელიც აშენდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“ ძალისხმევით. მისი მიზანია ცოდნაზე დაფუძნებული მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობის გაზრდა და მათი განვითარება, საქართველოში საერთაშორისო კომპანიების წარმომადგენლობების დაფუძნება და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ტექნოლოგიური ცენტრი მოიცავს მცირე ინკუბატორებს, სასწავლო ცენტრებსა და ლაბორატორიებს, დიდ ოფისებს კომპანიებისათვის, ერთობლივ სამუშაო ადგილებსა და რეკრეაციულ სივრცეს.
 - საქართველოში ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს გაუმჯობესების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ საგრანტო კონკურ-

სის ორგანიზაცია, რომლის საფუძველზეც დაარსდა პირველი სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია, ე.წ. ფაბლაბი (FabLab) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. იგი აღჭურვილია ისეთი დანადგარებით, როგორებიცაა 3D პრინტერი, 3D სკანერი, ლაზერული მჭრელი, პროგრამირებადი ჩარხი (CNC) და ა.შ. გამომგონებლებსა და მეწარმეებს ლაბორატორია საშუალებას აძლევს, შექმნან ნებისმიერი ინოვაციური პროდუქტის პირველადი პროტოტიპები, დაამზადონ საცდელი პარტიები და საფუძველი ჩაუყარონ საკუთარი **Start-up** კომპანიების მშენებლობას. ასეთივე სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია გაიხსნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. მსგავსი ლაბორატორია უახლოეს მომავალში ქუთაისში და სხვა ქალაქებში გაიხსნება.

- საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტთან შეიქმნა საინოვაციო საბჭო, ევროკავშირის ENPARD პროგრამის მხარდაჭერით შემუშავებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია სამეცნიერო-ტექნოლოგიური ღონისძიებები და ა. შ.
- თანამედროვე ეტაპზე ინოვაციური საქმიანობის გააქტიურება ნებისმიერი ქვეყნის განვითარების მასტიმულირებელი ფაქტორია, ამიტომ საქართველოსთვის ევროკავშირის მიერ უმნიშვნელოვანესი R&D მხარდაჭერა მსოფლიო დონის მიღწევებზე ორიენტირებულ კვლევებსა და დამუშავებებს, ახალი ცოდნის დაროვებას, ინტელექტუალური კაპიტალის ხარისხის ამაღლებას უზრუნველყოფს. ეს კი, საბოლოოდ, ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და ტექნოლოგიების საერთაშორისო გაცვლაში აქტიურობის ზრდაში გამოიხატება. 2013 წელს საქართველომ \$ 21683 ათასის მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტი განახორციელა, რაც სამრეწველო საქონლის ექსპორტის მხოლოდ 2.6%-ს შეადგენს. დაბალია, აგრეთვე, საპატენტო აქტი-

ვობა, სტატიების რაოდენობა სამეცნიერო-ტექნიკურ ჟურნალებში და ა.შ.

- ქვეყნის ინოვაციურ განვითარებაში ერთ-ერთი საკვანძო პრობლემა ტექნოლოგიების კომერციალიზება. ამიტომ საქართველოს ინოვაციური სექტორის შესაქმნელად საჭიროა ინოვაციური პოტენციალის შეფასება, არსებული მეცნიერული დამუშავებებისა და გამოგონებების დაყვანა „საბაზრო კონდიციაზე“, აქტუალური სიახლეების ძიება და მათზე მოთხოვნის სტიმულირება, ვენჩურული ბიზნესის განვითარება და ა. შ. ქართული ფორმების საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქცეს ახალი მცირე ინოვაციური (Start-up ტიპის) საწარმოების შექმნა და საწყის ეტაპზე მათი სახელმწიფო სტიმულირება, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და საწარმოებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა, ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების მასტიმულირებელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი პირობების შექმნა და, საბოლოოდ, ისეთი ეროვნული პოლიტიკის ფორმირება, რომელიც მძლავრი ინოვაციური სექტორის ჩამოყალიბებას ხელს შეუწყობს. ამ პოლიტიკის ბირთვი საქართველოს ეკონომიკის პროგრესული სტრუქტურულ-ტექნოლოგიური ცვლილებების უზრუნველმყოფი ღონისძიებების სისტემა უნდა გახდეს, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის საწარმოებში კონკურენტუნარიანი ეროვნული საქონლისა და მომსახურების წარმოების შესაძლებლობას განაპირობებს.
- ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს გაუმჯობესება ბევრად არის დამოკიდებული განათლების სისტემის საერთაშორისო სწავლების ქსელში ინტეგრაციაზე. ამ მიმართულებით უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში. ქართველ სტუდენტების გარკვეულ ნაწილს საზღვარგარეთ სწავლის საფასურს სახელმწიფო უნაზღაურებს. ქართველ სტუდენტებს ამერიკული განათლებისა და ამერიკული დიპლომის მიღების საშუალება მიეცათ საქართველოში სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხაზით, რომელიც ათასწლეულის პროგრამის ფარგლებში შეირჩა. პროგრა-

მები განხორციელდება თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზებზე. ამით ხელი შეეწყობა საქართველოში საბუნებისმეტყველო და საინჟინრო ტექნოლოგიური დარგების განვითარებასა და ქვეყანაში მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადებას.

- ბიზნესის ტექნოლოგიური გარემოს გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული პროფესიული განათლების სახელმწიფო სტრატეგია და პროგრამა, რომლის თანახმად, პროფესიული განათლების მიღების მსურველები ვაუჩერებითა და გრანტებით ფინანსდებიან. ასევე პრიორიტეტული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები უნივერსიტეტებში სახელმწიფოს მიერ ვაუჩერული წესით ფინანსდება, რომელთა შორის წამყვანი ადგილი განეკუთვნება საინჟინრო-ტექნოლოგიურ და საბუნებისმეტყველო მიმართულებებს: აგრარული მეცნიერებები, ინჟინერია და ტექნოლოგიები, ზუსტი და საბუნებისმეტყველო (სიცოცხლის შემსწავლელი) მეცნიერებები, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა, ჯანდაცვა და სამედიცინო მიმართულებები, ურბანული განვითარება, არქიტექტურა, რესტავრაცია და კონსერვაცია და სხვა.
10. ინოვაციურად წარმატებული ქვეყნების გამოცდილების ანალიზით დადგენილია, რომ გლობალურ ეკონომიკაში ყველა ქვეყანას ინოვაციური განვითარების საერთო ინსტრუმენტები აქვს, მაგრამ არ არსებობს ინოვაციური განვითარების მთლიანად იდენტური პროგრამები და სტრატეგიები. ამიტომ ყოველ ქვეყანას ინოვაციური განვითარების საკუთარი სტრატეგია სჭირდება. ასეთი სტრატეგია საქართველოშიც არ არსებობს, რაც აფერხებს ქვეყნის ინოვაციურ განვითარებას. საქართველოს ინოვაციური განვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყანას, ფაქტობრივად, ტექნოლოგიური სიახლეების შექმნის, მიღებისა და გავრცელების უნარი არ გააჩნია. შესაბამისად, საქართველო განვითარების რესურსების დაკარგვის საშიშროების წინაშე დგას. ამის თავიდან აცილება კი პროგრესული ეკონომიკური პოლიტიკითა და განვითარების ინოვაციურ მოდელზე გადასვლითაა შესაძლებელი. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მძლავრი

ინოვაციური სექტორის ჩამოყალიბებას, მეცნიერების აღორძინებასა და განათლების სისტემის სრულყოფას, ინტელექტუალური კაპიტალის ხარისხის ამაღლებას.

11. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2014-2015 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით, მიუხედავად გაუმჯობესებული რეიტინგისა, საქართველოს პოზიცია, ინოვაციების თვალსაზრისით, კვლავ არასახარბიელოა. მსოფლიოს 144 ქვეყნიდან ინოვაციების მიმართულებით, საქართველო 121-ე ადგილზეა, 98-ე ადგილზეა განათლების სისტემის ხარისხით, ხოლო 105-ე ადგილზე – მათემატიკისა და ზუსტი მეცნიერებების სწავლების ხარისხით. ქვეყანა 122-ე ადგილზეა მეცნიერებისა და ინჟინრების ხელმისაწვდომობის მხრივ. ამ მიმართულებით საჭიროა სახელისუფლებო ძალისხმევის გაძლიერება და დამატებითი ხარჯების გაღება საინჟინრო-ტექნიკური და საბუნებისმეტყველო დარგების განვითარებისათვის.
